დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2024 წლის 24 - 30 ივნისი

N 27 1545

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი




# მეორე მერცხალი



*პირველად იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაში...*
*პირველად იყო საქართველოს დროშა და ჰიმნი...*
*პირველად იყო ათასობით ქართველი გულშემატკივარი სტადიონის ტრიბუნებზე...*
*პირველად იყო ეს ყველაფერი ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე.*

# მეორე მერცხალი

მატჩი კი შედგა თურქეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს შორის **გერმანიის ქალაქ დორტმუნდში, სტადიონ „სიგნალ იდუნა პარკ-ზე“, სადაც ეტევა 80 ათასამდე გულშემატკივარი** და იმ დღეს იმათი 80 პროცენტი იყო თურქი.

ხოლო **დღე იგი 2024 წლის 18 ივნისი** — დიდი ქართველი ფეხბურთელისა და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის **დავით ყიფიანის** დაბადების დღე ისევე, როგორც სახელოვანი იტალიელი ფეხბურთელის, თურქეთის ეროვნული ნაკრების დღევანდელი მთავარი მწვრთნელის **ვინჩენცო მონტელას** დაბადების დღეც.

იმ დღეს — 2024 წლის 18 ივნისს **ყიფიანი გახდებოდა 73 წლის, ხოლო მონტელა 50 წლის გახდა.**






**კადრი ფილმიდან „პირველი მერცხალი“:**
**ქართველების დაპირისპირება თურქებთან**

### საქართველოს ნაკრების შემადგენლობა 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველ, ისტორიულ მატჩში თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ:

**მამარდაშვილი, კაშია, კვირკველია, დვალი, კაკაბაძე, წიტაიშვილი, ქოჩორაშვილი, მექვაბიშვილი, ჩაკვეტაძე, კვარაცხელია, მიქაუტაძე.**

*შეცვლაზე შევიდნენ:*

**დავითაშვილი, ლოჩოშვილი, ზივზივაძე, ალთუნაშვილი.**

*განაცხადში იყვნენ, მაგრამ არ უთამაშიათ:*

**გუგეშაშვილს, გველესიანს, გოჩოლეიშვილს, კვეკვესკირს, კიტეიშვილს, ლობჟანიძეს, სიგუას, შენგელიას, ტაბიძეს, ქვილითაიას.**



**გიორგი მამარდაშვილი, გურამ კაშია, სოლომონ (საბა) კვირკველია**



**ლაშა დვალი, ოთარ კაკაბაძე, გიორგი წიტაიშვილი**

# ფიქრები ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი მატჩისა და ქართულ ფეხბურთზე გადაღებული პირველი მხატვრული ფილმის „პირველი მერცხლის“ გარშემო

თამაშის დაწყებამდე სტადიონის ტრიბუნებზე იყო ხელჩართული ჩხუბი თურქ და ქართველ გულშემატკივრებს შორის და თუ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეოებით ვიმსჯელებთ, **აშკარა უმცირესობაში მყოფმა ქართველმა ქომაგებმა ჩხუბში აშკარად დაჯაბნეს აშკარა უმრავლესობაში მყოფი თურქი ქომაგები,** რომლებიც მთელ მსოფლიოში განთქმული არიან თავიანთი შფოთისთავობითა და მარტო მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკივრებს კი არა, ერთმანეთსაც ხშირად უბათქუნებენ.

მოკლედ, იყო ჩხუბი და, ხუმრობითა თუ ნახევრად სერიოზულად, გაივლო ისტორიული პარალელი **903 წლის წინანდელ ბატალიასთან,** რასაც ჰქვია დიდგორი და ქართველთა მიერ საკვირველი ძლევა თითქმის ათჯერ მრავალრიცხოვანი თურქ-სელჩუკებისა.

ასეთი რამეები, ზოგადად, დიდი ფეხბურთის თანმხლებია და უხდება კიდეც დიდ ფეხბურთს, ცხადია, ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანებისა და მსხვერპლის გარეშე.

**დიდი ფეხბურთი კი იმ დღეს ნამდვილად იყო!**

საქართველომ წააგო თავისი პირველი და, მაშასადამე, ისტორიული მატჩი ევროპის ჩემპიონატზე, თუმცა კი, მატჩი იყო, როგორც იტყვიან, **არწასაგები.** ჰო, სულ ცოტა, **არწასაგები,** თორემ იმ ხარისხის ფეხბურთით, რაც ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტმა საქართველოს ნაკრებმა თავის სადებიუტო თამაშში აჩვენა, თურქეთის დონის გუნდის დამარცხებაც შეიძლებოდა.

**დიდ ტურნირებზე თამაშის გამოცდილება და იღბალი! — აი, რა დააკლდა საქართველოს ნაკრებს მასზე გამოცდილ თურქეთის ნაკრებთან დაპირისპირებაში, რომელსაც დიდ ტურნირებზე ბევრჯერ უთამაშია და დიდი წარმატებისთვისაც მიუღწევია, რაც გამოიხატება მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მოპოვებაში 2002 წელს და 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტობაში.**

ჰოდა, მოგვიგო თურქეთმა 3:1, თუმცა, ანგარიში ნამდვილად არ ასახავს თამაშის რეალურ სურათს. ჯერ ერთი, რომ მესამე გოლი გაგვიტანეს მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის ბოლო წამებზე, როცა ჩვენი კარი ცარიელი იყო, რადგან მეკარე **გიორგი მამარდაშვილი** მეტოქის საჯარიმოში ჩავიდა, რადგან ბოლო წუთზე კუთხურს ვაწვდიდით და ანგარიშის გათანაბრებისა და ქულის მოპოვების შანსი გვქონდა. მთავარი კი ის არის, რომ ბოლო წუთამდეც არაერთხელ შეგვეძლო ანგარიშის გათანაბრება და წინ გასვლაც კი.

**მოკლედ, ვითამაშეთ კარგად, მაგრამ წავაგეთ!**

არადა, ჯობდა, გვეთამაშა ცუდად, მაგრამ მოგვეგო, რადგან, როგორც იტყვიან, ფეხბურთში მთავარია ტაბლო და არცთუ იშვიათად ხდება, რომ ცუდად მოთამაშე გუნდი უგებს კარგად მოთამაშე გუნდს. ამას ეძახიან პრაგმატულ თამაშს, ჩაკეტილ თამაშს, ავტობუსის ჩაყენებას და სხვა ამისთანებს, რაც კლავს ფეხბურთის სილამაზესა და რომანტიზმს, მაგრამ მოაქვს შედეგი.

**ჩვენ კი ვითამაშეთ ლამაზად და რომანტიკულად, თუმცა, წავაგეთ!**



კადრი ევროპის ჩემპიონატიდან:
ქართველების დაპირისპირება თურქებთან

## საქართველოს ნაკრებმა თამაში ვერ მოიგო, მაგრამ მოიგო მსოფლიოში უამრავი გულშემატკივრის გული!

— ეს დაწერა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ და მარტო იმან კი არა, ევროპის წამყვანმა გამოცემებმა და ტელეარხებმა, ფეხბურთის უცხოელმა ექსპერტებმა და ქომაგებმა ქება-დიდება არ დააკლეს ჩვენებს. მარტო ის რად ღირს, რომ მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტიანმა სპორტულმა მედიაგიგანტმა „იესპიენმა“ (ESPN) საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი, თურქეთის კარში გოლის შემგდები **გიორგი მიქაუტაძე** ევროპის ჩემპიონატის პირველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა, სადაც ვერ მოხვდა ვერცერთი ფეხბურთელი თურქეთის ნაკრებიდან.

მეტი რაღა ვთქვათ, **ვიბრძოლეთ, ვიომეთ, ვითამაშეთ, დავმარცხდით და დავსველდით, რადგან 18 ივნისს დორტმუნდში მაგრად წვიმდა და ბევრ ქართველ გულშემატკივარს არც ცრემლების წვიმა დაჰკლებია, ოღონდ ეს მარტო სინანულისა და გულდაწყვეტის ცრემლები არ ყოფილა, სიამაყითა და სიხარულით გულაჩუყების ცრემლებიც იყო, რადგან საქართველოს ნაკრები ასე ღირსეულად, ლამაზად და თავდადებით გამოვიდა თავისთვის პირველი ევროპის ჩემპიონატის პირველივე მატჩში.**

რაღაცნაირად ფილმის სიუჟეტს ჩამოჰგავდა ეს ყველაფე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



გიორგი ქოჩორაშვილი, ანზორ (ანრი) მექვაბიშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე



ხვიჩა კვარაცხელია, გიორგი მიქაუტაძე



მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი

# მეორე მერცხალი

## ფიქრები ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი მატჩისა და ქართულ ფეხბურთზე გადაღებული პირველი მხატვრული ფილმის „პირველი მერცხლის“ გარშემო

*დასაწყისი მე-2 გვერდზე*

რი და პირველი ფილმი, რომელიც ამაზე გაგახსენდება, არის **ნანა მჭედლიძის „პირველი მერცხალი“** — პირველი და ყველაზე მაგარი ქართული კინოსურათი ქართული ფეხბურთის შესახებ. ფილმი იმაზე, როგორ იბადებოდა ქართული ფეხბურთი დიდი ქართველის — ნიკო ნიკოლაძის მიერ აშენებულ საპორტო ქალაქ ფოთში, რომელიც საქართველოს კარიბჭედ იწოდება და, მათ შორის, ქართული ფეხბურთის კარიბჭეც გამოდის.

ჩვენთვის პირველი ევროპის ჩემპიონატის პირველი მატჩისა არ იყოს, **„პირველ მერცხალშიც“ ქართველები ფეხბურთს ეთამაშებიან თურქებს,** მაგრამ ეთამაშებიან არა ქულების მოსაპოვებლად, როგორც საქართველოს ნაკრები ეთამაშა 18 ივნისს თურქეთის ნაკრებს, არამედ ეთამაშებიან ფულზე — **10 მანეთზე,** რაც უნდა გახდეს ფოთელი ფეხბურთელების პირველი ფინანსური შემოსავალი.

თუ ევროპის ჩემპიონატზე ქართველები თურქებთან 1:3 დავმარცხდით, „პირველ მერცხალში“ ქართველები 3:2 ამარცხებენ თურქებს. **მერე სხედან, მოგებულ ფულს ითვლიან და ბჭობენ, რაში და როგორ დახარჯონ — თანაბრად გაიყონ და პირადი საჭიროებისამებრ მოიხმარონ თუ გუნდისათვის ფორმები და სხვა სახის საჭირო ინვენტარი შეიძინონ?** ამ კამათში არიან, როცა „მერცხლის“ ერთ-ერთი ფეხბურთელი აღმოაჩენს, რომ ყველა კუპიურას ერთნაირი ნომერი აქვს, ესე იგი, ფული ყალბია და თურქებმა მწარედ გააცურეს. გამწარებული ფეხბურთელები პორტისაკენ გარბიან, რათა თურქებს პასუხი მოსთხოვონ, მაგრამ ვერ მიუსწრებენ, მათი გემი უკვე შუა ზღვაშია გასული.

**„პირველ მერცხალში“** ქართველები ჯობნიან თურქებს ფეხბურთში, მაგრამ თურქები ქართველებს ჯობნიან აფერისტობასა და თაღლითობაში, **იასონ კვირკველია და მისი ბიჭები** კი — ჯიბეგაფხეკილი რომანტიკოსები — იხტიბარს მაინც არ იტეხენ და აგრძელებენ ფეხბურთის თამაშს, ფეხბურთის სიყვარულს, ფეხბურთის ერთგულებას. ისინი საბრძოლო **„აბა, ულას“** მღერიან მაშინაც კი, როცა სასტიკად მარცხდებიან ფეხბურთის სამშობლოს — ინგლისის წარმომადგენლებთან.

კი, დამარცხებული, წვიმისაგან გალუმპული, ტალახში ამოგანგლული, ვალებში ჩაძირული და ნახევრად მშიერი ფოთის „მერცხლის“ ფეხბურთელები ზღვის ნაპირთან დგანან და მღერიან **„აბა, ულას“.**

ასე **„მთავრდება პირველი“** მერცხალი, ხოლო ქართველების სიყვარული ფეხბურთისადმი, ქართველების გაგიჟება ფეხბურთზე, ქართველების მიერ თავიანთი ეროვნული იდენტობისა და ეროვნული სულის ფეხბურთთან დაკავშირება არ მთავრდება.

ამის დასტურია 2024 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ასპარეზობაც, რაც ნამდვილად ჰგავს კინოს და შეიძლება, დავარქვათ **„პირველი მერცხლის“** გაგრძელება, ანუ **„მეორე მერცხალი“,** რასაც აუცილებლად მოჰყვებიან მესამე, მეოთხე, მეხუთე... მეასე მერცხლები, რომლებიც მოიყვანენ ქართული ფეხბურთის გაზაფხულს!

**ჯაბა ხუბუა**



**კადრები ფილმიდან „პირველი მერცხალი“: ფოთელ ფეხბურთელთა გუნდი „მერცხალი“**





**კადრები ევროპის ჩემპიონატიდან: საქართველოს ნაკრები ზეიმობს ჩეხეთის კარში გატანილ გოლს!**

## P.S.

**ქართული ფეხბურთისათვის ისტორიული მოვლენაა საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული პირველი ქულაც, რაც ჩეხეთთან დაძაბულ ბრძოლაში ფრედ (1:1) დასრულებული მატჩის შემდეგ მივითვალეთ. ამ ქულით საქართველოს ნაკრებმა ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა და თუ 26 ივნისს გასამართ ბოლო ტურის მატჩში უძლიერესი, მაგრამ ორი გამარჯვებით უკვე პლეიოფში გასული და უმოტივაციო პორტუგალიის დამარცხებას შეძლებს, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი კიდევ უფრო დიდ ისტორიულ სიმაღლეს დაიპყრობს!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**გახარია და ხაზარაძე** ერთმანეთის **თაღლითის** და **თვალთხარიას** უწოდებდნენ, დღეს დაავალეს, რომ **თვალთხარია და თაღლითი** უნდა გაერთიანდნენ, ისინიც მზად არიან ამისთვის, **ასეთია ჯაშუშისა და აგენტის ბედი.**

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ამერიკული სანქციები** არ არსებობს, არსებობს **ამერიკული მეგობრობა,** ევროპულ გზას გავაგრძელებთ, ღირსეულად ვივლით. მოსახლეობამ უნდა გააკეთოს არჩევანი **ქვეყნის მტრებს, რადიკალებს, კრიმინალებსა და პატრიოტებს შორის** — დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა აუცილებლად სწორ არჩევანს გააკეთებს.

„ინტერპრესნიუსი“

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტარი*



ოპოზიცია **ბოიკოტის რეჟიმშია,** თუმცა, ხელფასის აღებას **ბოიკოტს არ უცხადებენ.** იყო აქტიური ჩართულობა, რომ **სკოლისა და ბაღის ბავშვებისთვის** ესწავლებინათ, რას ნიშნავს **ერთნაირსქესიანი წყვილის შვილად ყოფნა.**

„ინტერპრესნიუსი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



პრეზიდენტი მუდმივად ჭკუას გვარიგებს, რომ არ უნდა ვიყოთ პოლარიზებაში, თავად კი **ფეხბურთის ფედერაციაში, სადაც პოლიტიკას ადგილი არ უნდა ჰქონდეს,** დაყო ადამიანები გაურკვეველი ნიშნით.

„პირველი არხი“



# ყოვლად უღირსი პრეზიდენტის ხელით ღირსების ორდენის მიღება არ ღირს!

**2024 წლის 26 მარტს, როცა საქართველოს საფეხბურთო ეროვნულმა ნაკრებმა თბილისში ბერძნებს სძლია და ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა ღირსების ორდენზე წარადგინეს ყველა ის ფეხბურთელი, მწვრთნელი და ფედერაციის თანამშრომელი, ვინც ქართული ფეხბურთის ამ უპრეცედენტო წარმატებაში საკუთარი წვლილი შეიტანა.**

ღირსების ორდენით დაჯილდოება, მოგეხსენებათ, საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციაა და მიუხედავად იმისა, რომ **სალომე ზურაბიშვილი** კარგა ხანია, მომსახურების ზონიდან არის გასული, მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, პოლიტიკურ ქაჯობას ისეთ ზეპოლიტიკურ საკითხშიც თუ გამოავლენდა, როგორიც ქართული ფეხბურთის ისტორიულ მიღწევაში წილის დამდები ხალხისათვის სახელმწიფო ჯილდოს მინიჭება გახლავთ.

თუმცა, კაცი ბჭობდა და ხელმეორედ **განაცემული სალომე ზურაბიშვილი** იცინოდაო!

აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ **საქართველოს პრეზიდენტად წოდებულმა პარიზელმა ხანუმამ** ღირსების ორდენზე წარდგენილთა სია გაცხრილა და 53 კაციდან მხოლოდ 34 დააჯილდოვა.

კერძოდ, ზურაბიშვილის განკარგულების თანახმად, ღირსების ორდენს მიიღებს ერთა ლიგის ფინალში საბერძნეთთან დაპირისპირებისას საქართველოს ნაკრების განაცხადში მყოფი 26 ფეხბურთელი: **გიორგი მამარდაშვილი, გიორგი ლორია, ლუკა გუგეშაშვილი, სოლომონ კვირკველია, საბა საზონოვი, გურამ კაშია, გიორგი გველესიანი, ლაშა დვალი, ლუკა ლოჩოშვილი, ოთარ კაკაბაძე, გიორგი გოჩოლეიშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი, ლევან შენგელია, გიორგი წიტაიშვილი, ოთარ კიტეიშვილი, ნიკა კვეკვესკირი, გიორგი ჩაკვეტაძე, სანდრო ალთუნაშვილი, გიორგი ქოჩორაშვილი, ჯაბა კანკავა, ანზორ მექვაბიშვილი, ზურიკო დავითაშვილი, ხვიჩა კვარაცხელია, გიორგი მიქაუტაძე, ბუდუ ზივზივაძე, გიორგი ქვილითაია.**

საქართველოს ნაკრების მწვ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე



## კახა კალაძე:

## ეროვნული ნაკრების გადასაწყვეტია, რამდენად უღირთ ასეთი ორდენები, როცა მათი კოლეგები – ადამიანები, რომლებიც მათთან ერთად იბრძოდნენ, გამოტოვეს. ეს წარმოუდგენელია!





ზურაბ ხიზანიშვილი და ვილი სანიოლი

## კვირგვინოსნები



**ვილი სანიოლი**
*საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი*

მიყვარს საქართველო, მაგრამ **ევროპის ჩემპიონატის მოგების იმედი ნამდვილად არ მქონდა.** დასაკარგი არაფერი გვაქვს, მთავარი გამოცდილების მიღებაა. ეს მომავალში გამოგვადგება. პორტუგალია ძალიან ძლიერია. **ვეცდებით, ძალები აღვიდგინოთ და დადებით შედეგს მივაღწიოთ. ეგებ უკეთაც ვითამაშოთ.**

„SPORTALL.GE“



**გიორგი მამარდაშვილი**
*საქართველოს ნაკრების მეკარე*

შემდეგი თამაში პორტუგალიასთან გვაქვს, ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი გუნდია, მაგრამ **ფეხბურთში ყველაფერი ხდება — ჩვენ ჩვენს თამაშს ვითამაშებთ და ჩვენს გასაკეთებელს გავაკეთებთ.**

„პრაიმტაიმი“



**ხვიჩა კვარაცხელია**
*საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი*

სანამ შანსი 1 პროცენტი მაინც გვაქვს, **ყველა გუნდთან ვიბრძოლებთ ბოლომდე და გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია.** ოპტიმალურ ფორმაში არ ვიცი, ვარ თუ არა, **ნაკრებისთვის ყველაფერს ვაკეთებ, რასაც მავალებენ, იმის მიუხედავად, რომ ჩემ პოზიციაზე არ მიწევს თამაში.** ვფიქრობ, რომ უკეთესადაც შემიძლია, **საკუთარი თავით კმაყოფილი არასდროს არ ვარ.**

რადიო „ჯორჯიან თაიმსი“



**ბიძინა ბარათაშვილი**
*სპორტის ჟურნალისტი*

საქართველოს ნაკრები საქართველოსია, **ის ქვეყანას წარმოადგენს და არა „ქართულ ოცნებას“ ან ნაციონალურ მოძრაობას.** ეს არის ეროვნული ნაკრები და იმის თქმა, **ნუ მოიგებს, იმიტომ, რომ ამას ვიღაც მიიწერს თავის წარმატებადო,** დაუშვებელია! ამ ბიჭების მწყობრიდან გამოყვანა კარგს არაფერს მოიტანს.

„კვირის პალიტრა“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

რთნელთა 8-კაციანი შტაბიდან **სალომე ზურაბიშვილმა** ღირსების ორდენით 5 მწვრთნელი — **ვილი სანიოლი, ადელ შედლი, ზურაბ ხიზანიშვილი, დავით გვარამაძე და ფაბიენ ბოსუე** დააჯილდოვა, ხოლო სამი მწვრთნელის — **ირაკლი ჩიტაურის, ლევან ზამთარაძისა და დევიდ ვების** დაჯილდოებაზე უარი განაცხადა.

ზურაბიშვილისვე გადაწყვეტილებით, ღირსების ორდენი ერგოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ლევან კობიაშვილს,** გენერალურ მდივან **დავით მუჯირსა** და პირველ ვიცე-პრეზიდენტ **კახა ჭუმბურიძეს,** ხოლო ვიცე-პრეზიდენტები — **ალექსანდრე იაშვილი, ნიკოლოზ ჯღარკავა და აკაკი ალადაშვილი** ჯილდოს გარეშე დარჩნენ.

სალომე ზურაბიშვილმა არ ინება, ღირსების ორდენით დაეჯილდოებინა საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკური, სამედიცინო და სამეურნეო პერსონალი: **გიორგი კაციტაძე, ვლადიმერ დვალიშვილი, დავით ხარაბაძე, გიორგი ჩანგელია, მიხეილ აბრამიშვილი, გიორგი ბჟალავა, თენგიზ გულბიანი, გიორგი ქოჩლაძე, გრიგოლ ლეჟავა, გელა გუჩუა, გიორგი დულაძე და კონსტანტინე თედელური.**

**პრეზიდენტად წოდებულ ზურაბიშვილს, რომელიც 2024 წლის 18 ივნისს ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების პირველ მატჩს დიდის ამბით დაესწრო და იმდენი უტიფრობაც კი ეყო, რომ სტადიონის ტრიბუნაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გვერდით გამოჭიმულიყო, დღემდე არ შეუწუხებია თავი საზოგადოებისათვის იმის ასახსნელად, თუ რა**

# ყოვლად ულირსი პრეზიდენტის ხელით ღირსების ორდენის მიღება არ ღირს!



ალექსანდრე იაშვილი

**უკეთესიც არის, რომ ალექსანდრე იაშვილისა და დათო ხარაბაძისნაირი ღირსეული ადამიანები ნიკა გვარამიასა და ლაზარე გრიგორიადისის შემწყალებელი ულირსი პრეზიდენტისაგან ღირსების ორდენს არ მიიღებენ!**



დავით ხარაბაძე



დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, კახა ჭუმბურიძე

**პრინციპითა და კრიტერიუმებით გაცხრილა ღირსების ორდენზე წარდგენილთა ნუსხა.**

ალბათ, არც არანაირი აზრი არა აქვს, რომ **სალომე ზურაბიშვილს** ვინმემ ჰკითხოს, რატომ არ მიანიჭა ღირსების ორდენი **საქართველოს ნაკრების ისტორიულ წარმატებაში წვლილის შემტან 19 ადამიანს,** რადგან პრეზიდენტად წოდებულსა და მისი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, გამჭვირვალობის კანონზე ვეტოს დადებისა არ იყოს, ამ შემთხვევაშიც, კითხვაზე — **„რატომ?“** — პასუხი ექნებათ — **„იმიტომ!“**

აბა, ყოვლად შეუძლებელია, **სალომე ზურაბიშვილს** რამე ლოგიკური, წონადი და დამაჯერებელი არგუმენტი ჰქონდეს იმის ასახსნელად, **რატომ არ იმსახურებენ ღირსების ორდენს, მაგალითად, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე იაშვილი და ეროვნული ნაკრების მთავარი ექიმი დავით ხარაბაძე?**

დარწმუნებული ვართ, სალომე ზურაბიშვილმა არ იცის, რომ უახლოეს წარსულში სახელოვანი ფეხბურთელის, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელისა და ამჟამად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის **ალექსანდრე იაშვილის** უშუალო ფუნქცია-მოვალეობა სწორედ ეროვნული ნაკრების კურატორობა გახლავთ და გუნდის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი მუშაობის ხარისხზე.

**მაშ, რატომ ამოიღო სალომე ზურაბიშვილმა ღირსების ორდენზე წარდგენილთა სიიდან ალექსანდრე იაშვილი,** რომელსაც თავისი წილ პასუხისმგებლობას წარმატებით რომ არ გამკლავებოდა, საქარ-

## კვირგვინოსნები

**ვინჩენცო მონტელა**
თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი



**საქართველოს ნაკრები** ფიზიკურად ძლიერი და კარგად ორგანიზებული გუნდია — **ამ გუნდმა დაამტკიცა, რომ ევროპის ჩემპიონატზე შემთხვევით არ მოხვედრილა.**

„იმედინიუსი“

**დათო ხარაბაძე**
საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი ექიმი



**ფეხბურთელობა მინდოდა, მაგრამ არ გამოვიდა ჩემგან ფეხბურთელი.** ისიც ვერ მოვახერხე, ფეხბურთზე მევლო. ფიზიკურად სუსტი ვიყავი და მშობლებმა ჩათვალეს, რომ არ ღირდა ცდა. **ბავშვობიდანვე ყველა ფეხბურთელი ზეპირად ვიცოდი,** შესაბამის წიგნებს ვაგროვებდი და ასე შემდეგ. დღემდე ასე ვარ. **ალბათ, მართლა რაღაც არსებობს, რომ ჩემი ცხოვრება თავიდან ბოლომდე ფეხბურთს დაუკავშირდა.**

„თბილისელები“

**ბექა ოდიშარია**
პარლამენტარი



**ყველა მიშისტი, ნაციონალური მოძრაობის ყველა ანასხლეტი** ამ პარტიასთან ერთად უნდა აღმოჩნდეს **ერთ ნავში ერთიანი სიით** და მკაფიო არჩევანი ექნება საზოგადოებას, სიბოროტე თუ სიკეთე.

„პირველი არხი“

**ილია დარჩიაშვილი**
საგარეო საქმეთა მინისტრი



გვახარებს ფაქტი, რომ **გერმანია არის ერთ-ერთი მთავარი გამწევი ძალა** საქართველოს ევროპული ინტეგრაციისკენ.

„ინტერპრესნიუსი“

**დავით მათიკაშვილი**
პარლამენტარი



ოპოზიცია **აუცილებლად მიიღებს შესაბამის განაჩენს** ქართველი საზოგადოებისგან 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

„იმედინიუსი“



# სალომე ზურაბიშვილი ყოველგვარი გაცხრილვის გარეშე იხუტებს გულში ანტიქართულ ნაცოპოზიციას, მაგრამ ცხრილავს ქართული ფეხბურთის ისტორიულ წარმატებაში წვლილის შემტანი ადამიანების სიას!

## უღირდეთ ღირსების ორდენის მიღება უღირსი პრეზიდენტისაგან, რომელიც ცდილობს, დაყოს და დაანაწევროს ერთიანი გუნდი, ერთობლივი შრომითა და ბრძოლით რომ მიაღწია უპრეცედენტო წარმატებას დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში!

თველოს ნაკრები ისტორიულ შედეგს ვერ მიაღწევდა და ევროპის ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებდა?

**ანდა, რატომ არ ჩათვალა სალომე ზურაბიშვილმა ღირსების ორდენის ღირსად საქართველოს ეროვნული ნაკრების ექიმი დავით ხარაბაძე,** რომელსაც ფეხბურთელების ჯანმრთელობა აბარია და მისი პროფესიონალური და პასუხისმგებლიანი მუშაობა დიდწილად განსაზღვრავს, რამდენად ოპტიმალური შემადგენლობა ეყოლება ნაკრებს ამა თუ იმ მატჩში?

**ცხადია, სალომე ზურაბიშვილს ამ კითხვებზე პასუხები არა აქვს!**

**თუმცა, ამ კითხვებზე პასუხი თავად სალომე ზურაბიშვილია!**

ამ კითხვებზე პასუხია **სალომე ზურაბიშვილის სამარცხვინო პრეზიდენტობა, მისი უპრინციპობა და პოლიტიკური უზნეობა,** რამაც საბოლოოდ ამოაყოფინა თავი იქ, სადაც ახლა იმყოფება — **ნაცში და საქართველოს მტრების სამსახურში!**

**ამიტომაც არის, რომ სალომე ზურაბიშვილი** ყოველგვარი გაცხრილვის გარეშე, მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ ნაცებთან ერთად იხუტებს გულში **ანტიქართულ ოპოზიციას**, მაგრამ ცხრილავს ქართული ფეხბურთის ისტორიულ წარმატებაში წვლილის შემტანი ადამიანების სიას!

**ამიტომაც არის, რომ სალომე ზურაბიშვილმა** უარი არ თქვა, შეეწყალებინა ორი სისხლის სამართლის დამნაშავე — ნაცრეჟიმის პროკურორი **ნიკა გვარამია** და ქართველი პოლიციელებისათვის ბენზინის ბომბების მსროლელი **ლაზარე გრიგორიადისი,** მაგრამ უარი განაცხადა, ღირსების ორდენით დაეჯილდოებინა საქართველოს ნაკრების ისტორიულ წარმატებაში წვლილის შემტანი ორი ღირსეული ადამიანი — **ალექსანდრე იაშვილი და დავით ხარაბაძე!**

ისე, კაცმა რომ თქვას, შეიძლება, უკეთესიც არის, რომ **ალექსანდრე იაშვილისა და დათო ხარაბაძისნაირი** ღირსეული ადამიანები ნიკა გვარამიასა და ლაზარე გრიგორიადისის შემწყალებელი **უღირსი პრეზიდენტისაგან** ღირსების ორდენს არ მიიღებენ!

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ **პრეზიდენტად წოდებულმა ზურაბიშვილმა** ღირსების ორდენზე წარდგენილი 53 კაციდან 19 არ დააჯილდოვა, **თბილისის მერმა, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა კახა კალაძემ** განაცხადა:

> *„ეროვნული ნაკრების გადასაწყვეტია, რამდენად უღირთ ასეთი ორდენები, როცა მათი კოლეგები — ადამიანები, რომლებიც მათთან ერთად იბრძოდნენ, გამოტოვეს. ეს წარმოუდგენელია“.*




საქართველოს ნაკრების გასახდელი ევროპის ჩემპიონატზე







**საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და ფედერაციის წარმომადგენლებს შეიძლება, მართლაც არ**

ფეხბურთის ფედერაცია და ეროვნული ნაკრები, რა თქმა უნდა, თავად გადაწყვეტენ, მიიღებენ თუ არა სახელმწიფო ჯილდოს **ქართული სახელმწიფოს სარკომად გადაქცეული სალომე ზურაბიშვილისაგან,** ქართველი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას კი უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ ამა წლის 26 ოქტომბერს გასამართ ისტორიულ არჩევნებში **ეს პოლიტიკური სარკომა** თავის მეტასტაზებთან ერთად საბოლოოდ მოიშოროს!

## P.S.

***„ასავალ-დასავალი“, როგორც ქართული ფეხბურთის მხურვალე გულშემატკივარი, ქართველ ხალხთან ერთად, უდიდესი სიყვარულით, პატივისცემითა და მადლიერებით აჯილდოებს უკლებლივ ყველას, ვინც საკუთარი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიულ წარმატებაში; ხალხის სიყვარული, პატივისცემა და მადლიერება კი ნამდვილად არის ყველაზე დიდი და ღირსეული ჯილდო, რომელიც ფეხბურთსა და, ზოგადად, სპორტში მოღვაწე ადამიანმა შეიძლება, მიიღოს!***

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ალეკო ასლანიშვილი**
*ჟურნალისტი*



ოპოზიცია არჩევნებისთვის კი არა, **ხელჩართული ბრძოლისთვის, სისხლისღვრისთვის** ემზადება. მძიმე ფიზიკური ბრძოლის გადახდა მოგვიწევსო! **საარჩევნო უბნებზე მძიმე ფიზიკური ბრძოლები** რაღაც ახალია ყველა დროისა და ყველა ხალხის საარჩევნო ისტორიაში. **მსგავსი რამ ფაშისტურ გერმანიაშიც არ მომხდარა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



**საქართველოს ელჩებო, მოგმართავთ თქვენ** — მე არაფერს გასწავლით და არაფერს გკარნახობთ, მაგრამ მინდა, გითხრათ, **რომ ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის არაჩვეულებრივი არჩევნები** 26 ოქტომბერს ჩატარდება, მაგრამ **თქვენთვის არჩევანის დრო უკვე დადგა.**

„ინტერპრესნიუსი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*პარლამენტის ევროკავშირთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



**სალომე ზურაბიშვილი** ყველა ბერკეტს იყენებს, რათა **სახელმწიფოს მოუწყოს საბოტაჟი,** მისი მოწოდებაც დიპლომატიური კორპუსის მიმართ **საბოტაჟის მცდელობაა.**

„პირველი არხი“

**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*



პარტნიორები ერთმანეთს **სანქციებითა და შეზღუდვით** არ უნდა ელაპარაკებოდნენ, იმედს ვიტოვებთ, ასეთი მიდგომა გადაიხედება.

„რეზონანსი“

**პაატა კვიჟინაძე**
*პარლამენტარი*



**ანაკლიის პორტთან** დაკავშირებით არც ამერიკის და არც ევროპის კომპანიებს სურვილი არ გამოუთქვამთ, **ჩინეთის ტვირთის გარეშე ეს ობიექტი მომგებიანი არ არის.**

„რეზონანსი“

# ბრიქს ილი მიაუ?

## ყაზანში გამართულ ბრიქსის თამაშებში „დამოუკიდებელი აფხაზეთისა“ და „დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის“ გამოყვანით საქართველოს პოლიტიკური სილა გააწნეს!

***ადრე, უინტერნეტო და უგაჯეტებო ხანაში, ბავშვები ნაირგვარი ცოცხალი თამაშით ერთობოდნენ და მათ შორის ერთ-ერთს „ბრის ილი მიაუ?“ (БРЫСЬ ИЛИ МЯУ?) ერქვა.***










თამაშის წესი ასეთი იყო: **მონაწილეთაგან ერთი თვალებს დახუჭავდა ან დანარჩენებს ზურგს შეაქცევდა; თამაშის წამყვანი ერთ-ერთი მონაწილისაკენ გაიშვერდა თითს და თვალდახუჭულსა თუ ზურგშექცევით მდგომს ჰკითხავდა — „ბრის ილი მიაუ?“ თუ პასუხი იქნებოდა — „მიაუ“, მაშინ მთქმელს ლოყაზე უნდა ეკოცნა იმ მოთამაშისათვის, რომლისკენაც წამყვანს თითი ჰქონდა გაშვერილი, ხოლო თუ უპასუხებდა — „ბრის“, დაუსახელებდნენ რამდენიმე ფერს, მაგალითად, „წითელს“, „ყვითელს“, „შავს“ და თითოეულ მათგანში სხვადასხვა დავალება იყო „დაშიფრული“. მოთამაშე „შავს“ თუ აირჩევდა, მითითებული მონაწილისათვის სილა უნდა გაეწნა.**

ასე და ამრიგად, **„ბრის ილი მიაუს“** მოთამაშეებს ლოყები ან კოცნისაგან ჰქონდათ აღაჟღაჟებული ან — გალაწუნებისაგან.

ჰოდა, სწორედ ეს **„ბრის ილი მიაუ?“** გაგვახსენა 2024 წლის 12-23 ივნისს რუსეთის ქალაქ ყაზანში გამართულმა **ბრიქსის** თამაშებმა, რომელსაც ჩვენ **„ბრიქს ილი მიაუ?“** დავარქვით, რადგან მისმა ორგანიზატორებმა **საქართველოს სილა გააწნეს,** არადა, საქართველოს არც **„ბრიქს“** უთქვამს და არც — **„მიაუ“,** რადგან მაგ **„ბრიქს ილი მიაუში“** საერთოდ არ მონაწილეობდა.

მოგეხსენებათ, **ბრიქსი** ეწოდება სახელმწიფოთა გაერთიანებას, რომელიც ჯერ კიდევ 2006 წელს რუსეთში, პეტერბურგის ეკონომიკურ სამიტზე ჩამოყალიბდა და მასში დღეისათვის **ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა** შედიან. რაც შეეხება ბრიქსის თამაშებს, იგი 2017 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელიწადს იმართება და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ერთგვარ ეპიგონს წარმოადგენს.

წლეულს ყაზანში გამართულ **ბრიქსის თამაშებში** ევროპის, აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტების ასამდე ქვეყანა მონაწილეობდა. ჩემპიონატის გახსნის ცერემონია საკმაოდ პომპეზური გახლდათ და ოლიმპიადის გახსნას წააგავდა: კონფერანსიე ლათინური ანბანის მიხედვით, ჯერ — რუსულად და მერე ინგლისურად აცხადებდა მონაწილე ქვეყნების სახელებს, რის შემდეგაც დიდ სცენაზე გამოდიოდა ორი ადამიანი — ერთი ზრდასრული და ერთი ბავშვი; ზრდასრული მოაფრიალებდა დასახელებული ქვეყნის დიდ დროშას, ხოლო ბავშვს ეჭირა ვარსკვლავის ფორმის პატარა ფირნიში, რომელზეც ლათინური შრიფტით ეწერა დასახელებული ქვეყანა.

ჰოდა, ანბანის მიხედვით, პირველი მოუწია **აფხაზეთი.** ჯერ რუსულად გამოაცხადეს — **„აბხაზია“,** მერე ინგლისურად — **„აბქაზია“** და სცენაზე გამოჩნდა თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, თეთრი ყაბალახით თავწაკრული მამაკაცი, რომელმაც ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის დროშა გამოიტანა. ამას მოჰყვა ისევ ლათინური ანბანის მიხედვით, ავღანეთი, ალჟირი, არგენტინა და ა.შ.

ესეც პოლიტიკური ალიყური საქართველოსათვის — **რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთს ბრიქსის თამაშებში „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ სახით აღებინებენ მონაწილეობას და გაეროს მიერ აღიარებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მარაქაში რევენ!**

თითქოს ვიღაცა საქართველოს **„ბრიქს ილი მიაუს“** ეთამაშება და ლოყაში ულაწუნებს!

თუმცა, რაღა „ვიღაცა“, როცა **ბრიქსის თამაშები** რუსეთში ჩატარდა და მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი **ჩინეთი** გახლდათ!

თანაც, ბრიქსის გაერთიანებაში შემავალი ყველა ქვეყანა, რუსეთის გარდა, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და რუსეთის მიერ ოკუპირებული **აფხაზეთისა** და **ე.წ. სამხრეთ ოსეთის** დამოუკიდებლობას არ ცნობს.

მაშ, რა გამოდის, **ბრიქსის ქვეყნები** თან ლოყაზე გვკოცნიან და თან იმავე ლოყაში გვილაწუნებენ?

გეუბნებით, **„ბრიქს ილი მიაუს“** გვეთამაშებიან!

კი, არც ე.წ. **სამხრეთ ოსეთი** გამორჩენიათ ბრიქსის თამაშებში და ისიც გამოაცხადეს — **„იუჟნაია ოსეტია“, „საუთ ოსეტია“** და ახალგაზრდა გოგომ გამოიტანა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დროშა.

თუმცა, ეს ყველაფერი როდია... **ბაოგნებისაგან ყბა მაშინ ჩამოგვივარდა, როცა ბრიქსის თამაშების მონაწილედ საქართველო გამოაცხადეს და სცენაზე ხუთჯვრიანი დროშა გამოიტანეს.**

**მარტო ყურებს კი არა, თვალებსაც არ ვუჯერებდით, რო-**

## კვირგვინოსნები



**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*

ყველაფერ ნეგატიურს აქვს თავი მოყრილი **სალომე ზურაბიშვილში — მავნებლობა, ამორალიზმი, უზნეობა, სიბოროტე** და ა.შ. კარგია, შენთან ერთად, შენნაირი მავნებლებიც თუ გაუყვებიან **რუსული გემის გზას.** შენი ფავორიტი **ლავროვი** იქ უკვე გელოდებათ.

„ფეისბუქი“



**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*

სამწუხაროა, რომ **ამდენი წლის განმავლობაში ამერიკიდან ერთი სერიოზული ინვესტიცია არ შემოსულა საქართველოში.** ამ ფონზე განცხადების გაკეთება, რომ **თითქოს ჩინური ინვესტიციები საქართველოში უარყოფითი ნიშნის მატარებელია,** ეს არის არამეგობრული დამოკიდებულების გამოვლენა.

„იმედინიუსი“



**ალექსანდრე თვალჭრელიძე**
*საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი*

„ქართულმა ოცნებამ“ **სტრატეგიული პარტნიორების ნდობა დაკარგა,** როცა სიტყვა გატეხა და „აგენტების“ კანონი დააბრუნა.

„ინტერპრესნიუსი“



**რობინ დანიგანი**
*აშშ-ის ელჩი საქართველოში*

**ვცდილობთ თუ არა ქართველი ხალხის დასანქცირებას?** ცალსახად არა! ჩვენ გვსურს საუკეთესო ამ ქვეყნისთვის და **გვსურს, რომ ეს ქვეყანა წარმატებული იყოს.**

„ინტერპრესნიუსი“

# БРИКС ИЛИ МЯУ?




## საქართველოს არც რუსეთისაგან და არც ბრიქსის სხვა ქვეყნებისაგან ლოყაზე კოცნა არ სჭირდება, მაგრამ მათგან არც ლოყაზე სილის შემორტყმას იმსახურებს!

**საქართველოს, რომელმაც კოლექტიური დასავლეთის მხრიდან უზარმაზარი ზეწოლის მიუხედავად, მეორე ფრონტი არ გახსნა, რუსეთი ამ სამარცხვინო ფარსით არ უნდა პასუხობდეს!**

**ცა ბრიქსის თამაშების სცენაზე ერთად ვხედავდით საქართველოს, სეპარატისტული აფხაზეთისა და სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის დროშებს.**

რა ჯანდაბა ხდება?

როგორ დათანხმდა საქართველო იმ ღონისძიებაში მონაწილეობას, სადაც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ გამოდიან?

**რა გამოდის, საქართველო ოკუპირებული და სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას აღიარებს?**

ეს და ამგვარი ავბედითი ფიქრები თავში ერთბაშად რომ დაგვიტრიალდა, პასუხების ძიებას მაშინვე შევუდექით. რაკი ბრიქსის თამაშების ოფიციალურ საიტზე მითითებული იყო, რომ საქართველოს სახელით ღონისძიებაში მონაწილეობა ქართველ სამბისტებს — **ნინო ოქლაშვილსა და ელენე ქებაძეს** უნდა მიეღოთ, ინფორმაციის გადამოწმებაც ამ მიმართულებით დავიწყეთ. პირველად გულზე მაშინ მოგვეშვა, როცა სოციალურ ქსელში მივაკვლიეთ საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის ოფიციალურ განცხადებას, რომელშიც ეწერა:

> *„საქართველოს სხვადასხვა მედიასაშუალებით გავრცელდა ყალბი ინფორმაცია, თითქოსდა ჩვენი სპორტსმენები იმყოფებოდნენ ქალაქ ყაზანში არაღიარებულ ბრიქსის თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. გაცნობებთ, რომ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები არიან საქართველოში და ემზადებიან მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. საქართველოს სამბოს ფედერაცია მოუწოდებს მედიის წარმომადგენლებს, მომავალში სანდო ინფორმაციის მისაღებად მიმართონ ფედერაციას და თავიდან აარიდონ ქართველ სპორტსმენებს ცილისწამება და უსაფუძვლო ბრალდებები“.*

სოციალურ ქსელში განთავსებულ მოკლე განცხადებას მაინც არ დავჯერდით და პირადად დავუკავშირდით **საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტ გია გაზდელიანს,** რომელმაც დაგვიდასტურა, რომ **არც ნინო ოქლაშვილს, არც ელენე ქებაძეს და, საერთოდ, არცერთ ქართველ სამბისტს ბრიქსის თამაშებში მონაწილეობა არ მიუღია.**

— **რა სისულელეა, ამას როგორ ვიზამდით?!** — გვეუბნება **გია გაზდელიანი,** — **ეს ხომ ჩვენი მხრიდან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ტოლფასი იქნებოდა?!**

როგორც აღმოჩნდა, ყაზანში ბრიქსის თამაშებზე საქართველოდან აზიური ხალხური ჭიდაობის სახეობა კურაშის წარმომადგენლები — **ვალერი იარღანაშვილი, თამაზ ბედინაძე, ვახტანგ ტაბარუკიშვილი და ზურაბ ჩაგელიშვილიც** მიუწვევიათ, თუმცა, ქართველ სპორტსმენებს ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარი უთქვამთ მას შემდეგ, რაც შეუტყვიათ, რომ მოასპარეზეთა შორის ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებიც იქნებოდნენ.

ესეც ასე, საქართველოს **„ბრიქს ილი მიაუში“** მონაწილეობა არ მიუღია!

**უფრო სწორად, „ბრიქს ილი მიაუში“ საქართველოდან აფხაზები და ოსები მონაწილეობდნენ, ოღონდ „დამოუკიდებლად“ და არა — ქართული სახელმწიფოს სახელით!**

მაშ, ვის და რატომ დასჭირდა ბრიქსის თამაშებში საქართველოს დროშის აფრიალება მაშინ, როცა ყაზანში გამართულ ღონისძიებაში საქართველოს სახელით არცერთი სპორტსმენი არ მონაწილეობდა?

ვფიქრობთ, ამ კითხვაზე ერთადერთი პასუხი არსებობს: **რუსეთის ქალაქ ყაზანში გამართულ ბრიქსის თამაშებში „დამოუკიდებელი აფხაზეთისა“ და „დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის“ მონაწილეობა და მათი დროშების გვერდით საქართველოს სახელმწიფო დროშის აფრიალება კრემლის ექსპანსიონისტური პოლიტიკის მორიგი გამოვლინებაა!**

ზოგადად, **ბრიქსის თამაშები** იმ დიდი პროექტის ნაწილი გახლავთ, რომელიც ბრიქსის გაერთიანების ახალ გეოპოლიტიკურ პოლუსად ფორმირებას ისახავს მიზნად.

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ბრიქსის თამაშები,** რასაც ჩვენ **„ბრიქს ილი მიაუ?“** დავარქვით, სინამდვილეში, პოლიტიკური თამაშებია.

**ბრიქსის გაერთიანება,** რომელშიც მსოფლიოს უზარმაზარი ქვეყნები, მათ შორის, ყველაზე მზარდი ეკონომიკების მქონე ჩინეთი და ინდოეთი შედიან, მართლაც მძლავრი პოლიტიკური კონგლომერატია და მასთან თანამშრომლობა საქართველოსთვის ყოველმხრივ სასარგებლო იქნება, ოღონდ ეს სწორედაც თანამშრომლობა უნდა იყოს და არა „ბრიქს ილი მიაუს“ თამაში, რომელშიც ქართულ სახელმწიფოს სილას გააწნავენ მაშინაც კი, როცა თამაშში საერთოდ არ მონაწილეობს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **საქართველოს, რომელმაც რუსეთთან მიმართებაში კონსტრუქციული, სამშვიდობო პოლიტიკა აირჩია და კოლექტიური დასავლეთის მხრიდან უზარმაზარი ზეწოლის მიუხედავად, მის წინააღმდეგ მეორე ფრონტი არ გახსნა, რუსეთი იმ სამარცხვინო ფარსით არ უნდა პასუხობდეს, რასაც ყაზანში გამართულ ბრიქსის თამაშებში ჰქონდა ადგილი!**

საქართველოს არც რუსეთისაგან და არც ბრიქსის სხვა ქვეყნებისაგან ლოყაზე კოცნა არ სჭირდება, მაგრამ მათგან არც ლოყაზე სილის შემორტყმას იმსახურებს!

საქართველომ შეიძლება, ბრიქსთან ითანამშრომლოს, მაგრამ **„ბრიქს ილი მიაუს“** არ ითამაშებს!

**ჯაბა ხუბუა**



## კვირგვინოსნები

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ პოლიტიკური მდივანი*



მგონი, პრეზიდენტის ადმინისტრაციას აქვს პასუხი კითხვაზე, თუ **რატომ** დააჯილდოვა **სალომე ზურაბიშვილმა** ღირსების ორდენით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან მხოლოდ ნაწილი და ეს პასუხია — „იმიტომ“.

„აიპრესი“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*



ალტერნატივა არ არის ნაციონალური მოძრაობა, **სააკაშვილის** გარემოცვა, სადაც ბელადი **სააკაშვილი** და დონორი **კეზერაშვილი** თავიანთი ახირებით წყვეტენ, **როდის და ვინ იქნება ლიდერი.**

„პირველი არხი“

**რომან გოცირიძე**
*„ევროოპტიმისტების“ წევრი, პარლამენტარი*



**ე.წ. ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ** ბრძოლის კანონპროექტი არის **„რუსული კანონი 2“** — მის განხილვაში მონაწილეობას არ მივიღებთ.

„ინტერპრესნიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი*



ჩემთვის **ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობა** აღარ არის მკაფიო წითელი ხაზი.

„ინტერპრესნიუსი“

# ტრამპი მიხვდა, რომ მხილების გარეშე ამერიკა ვერ გადარჩება!

***მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელმა ადმინისტრაციამ დონალდ ტრამპის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, იგი ტელეკომპანია „ფოქს-ნიუსის“ წინაშე წარდგა და განაცხადა — საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, შეერთებული შტატების 35-ე პრეზიდენტის ჯონ კენედის მკვლელობის, 11 სექტემბრის ტერაქტისა და მილიარდერ ჯეფრი ეპშტეინის შესახებ დოკუმენტებს გამოვაქვეყნებო!***



## თუ ტრამპს დაასაჩდეს და არ მოკლეს, მსოფლიოს შემაძრწუნებელი სიურპრიზები ელის!

იმავე განცხადებაში მისტერ დონალდი ნიუ-იორკის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა — **ჩემი შურისძიება წარმატებული იქნება. ეს ცუდი ხალხია. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ავად არიან. მე რომ არ ვყოფილიყავი, იმავეს სხვას გაუკეთებდნენ!**

მოგეხსენებათ, ნიუ-იორკის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** სისხლის სამართლის საქმეზე დამნაშავედ ცნო და, ამდენად, იგი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველი ყოფილი პრეზიდენტია, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულისთვის გაასამართლეს. როგორც ცნობილია, მოსამართლემ ტრამპს სასჯელი 11 ივლისს უნდა გამოუცხადოს!

**რაც შეეხება დონალდ ტრამპის პირობას, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში, კენედის მკვლელობის, 11 სექტემბრის ტერაქტისა და ეპშტეინის საქმის მასალებს გამოაქვეყნებს, ეს განცხადება უკვე ამტკიცებს იმას, რაც მთელი მსოფლიოსთვის დიდი ხანია, ისედაც დამტკიცებულია — სამივე საქმე გაყალბებულია!**

მიგვაჩნია, რომ **ტრამპი,** როგორც სკანდალისტი, მაგრამ, ამასთანავე, ქრისტიანული ფასეულობების ერთგული და ხმალამოწვდილი დამცველი, ამ განცხადებით ამერიკის მმართველ ელიტასა და საიდუმლო მთავრობას აშანტაჟებს, რომლებიც **გამოჩერჩენქოებულ ბაიდენს** აღმა-დაღმა დაატარებენ. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ **ტრამპს** ზემოხსენებული საიდუმლო დოკუმენტები უკვე ხელთ აქვს და **როკფელერებს, როტშილდებსა და მორგანებს,** რომლებიც არამარტო ამერიკას, არამედ მთელ მსოფლიოს მართავენ, მკაცრად აფრთხილებს — თუ საპრეზიდენტო არჩევნებს კიდევ ერთხელ გამიყალბებთ, დანდობა არ იქნება და თქვენი შავბნელი საქმეები გამომზეურდება!

ხმები იმის შესახებ, რომ 1963 წლის 22 ნოემბერს პრეზიდენტი **ჯონ ფიტცჯერალდ კენედი** ვიღაცლ **ლი ჰარლი ოსვალდმა** კი არა, სინამდვილეში ამერიკული ცერეუს აგენტებმა მოკლეს, იმ დღიდან არ ცხრება, რაც **ოსვალდი** ადგილობრივი, დალასელი ღამის კლუბის მფლობელმა **ჯეკ რუბიმ** ასეულობით პოლიციელისა და ტელეჟურნალისტის თვალწინ „კობრა კოლტის“ სისტემის რევოლვერით დახვრიტა. **რუბი** ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ, 1967 წლის 3 იანვარს კიბოთი გარდაიცვალა...

ცნობილია, რომ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე **პრეზიდენტმა კენედიმ** ამერიკელ ახალგაზრდებს მიმართა და იმ საშიშროების შესახებ გააფრთხილა, რასაც დღეს **„გლობალური ომის პარტიას“** უწოდებენ. **კენედიმ** მაშინ ახალგაზრდებს მოუწოდა, რომ შეწინააღმდეგებოდნენ იმ ბნელ ძალას, რომელიც მთელ მსოფლიოში აწყობდა რევოლუციებს, სახელმწიფო გადატრიალებებს, ამხობდა ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებებს, კლავდა პრეზიდენტებსა და პრემიერ-მინისტრებს და იწვევდა ომებს!

**ამერიკელმა პროფესორმა ჯეფრი საქსმა ცოტა ხნის წინათ ტაკერ კარლსონთან ინტერვიუში პირდაპირ დაადო ხელი ცერეუს და თქვა, რომ საიდუმლო ორგანიზაცია სხვა ქვეყნებში გადატრიალებების მოწყობით არის დაკავებული!** ხოლო ბოლივიის ყოფილმა პრეზიდენტმა **ევო მორალესმა** რამდენიმე წლის წინათ მრავალმნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა — **ვაშინგტონში სახელმწიფო გადატრიალება არასოდეს მოხდება, რადგან იქ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო არ არისო!**

მოკლედ, ტრამპის მუქარას თუ კარგად ავწონ-დავწონით, დიდი ალბათობით, კენედის მკვლელობის კვალი ცერეუს შტაბბინისკენ, ლენგლისკენ მიდის. სხვათაშორის, ბოლო დროს ამერიკელებმა ცერეუს ბიუჯეტი გაასაიდუმლოეს... 1998 წელს










## კვირგვინოსნები

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვს **მისი ინტერესების დაცვის სასარგებლოდ,** საქართველომ **უარი თქვას საკუთარ ინტერესებზე.**

**გუბაზ სანიკიძის მუქარა** წამოცდენა არ არის, ეს არის მათი სცენარის ნაწილი — **მუქარის აღსრულებას აპირებენ,** თუ ღმერთმა არ ქნას და ხელისუფლებაში მოვიდნენ.

„იმედინიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



კითხვა მაქვს ევროკავშირის ელჩთან: იმ ათეულობით მილიონმა ევროპელმა ჩვენ მსგავსად **უარი რომ უთხრა ლგბტ პროპაგანდასა და ულტრალიბერალურ ფაშისტურ პოლიტიკას,** მათაც ურთიერთობების გაყინვის სურვილი აქვთ?

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



კანადამ დაჩქარებული წესით მიიღო მორიგი **„რუსული კანონი“ — გამჭვირვალობის თემის** საერთაშორისო ექსპორტირებას სწორედ ჩვენ მივეცით ბიძგი და ამ პროცესებს ვეღარავინ შეაჩერებს.

„იმედინიუსი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



სანქციებზე ბევრი მოვისმინეთ, მაგრამ არცერთი კონკრეტული შედეგი არ გვინახავს, **ნიუ-იორკში მაღალი დონის შეხვედრები მქონდა,** რომლებზეც საქართველოს პროგრესი იყო ნახსენები.

„პირველი არხი“

**არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, ვიფიქროთ, რომ ამერიკული ცერეუს აგენტებმა მილიარდერი ჯეფრი ეპშტეინი რუდოლფ ჰესის მსგავსად მოიშორეს!**



ჯეფრი ეპშტეინი

ორგანიზაციის ბიუჯეტი დაახლოებით 27 მილიარდი დოლარი იყო.

**რაც შეეხება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს, როცა ცხრამეტმა ტერორისტმა ოთხი კომერციული თვითმფრინავი გაიტაცა და ხალხით სავსე ხომალდები „ტყუპებსა“ და პენტაგონის შენობებს დააჯახა, მაშინვე ითქვა, რომ ეს ისევ და ისევ ცერეუს მიერ მოწყობილი უბინძურესი სპეცოპერაცია იყო, რომლითაც შეერთებული შტატების ავღანეთსა და ერაყში შეჭრა უნდა გამართლებულიყო! მოძრაობა „თალიბანის“ შექმნის უკან რომ ცერეუ იდგა და საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ომში ბინ ლადენი რომ ამერიკელების მთავარი მოკავშირე იყო, ეს ფაქტია. არც ის არის დამალული, რომ „ალ-ყაიდასა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ სათავეებთან სწორედ ამერიკელი ცერეუშნიკები იდგნენ...**

ამდენად, თუ **ტრამპს** დააცადეს და არ მოკლეს, მსოფლიოს შემაძრწუნებელი სიურპრიზები ელის. დიდი ალბათობით, ჩვენ ვიხილავთ ისეთ ამაზრზენ დოკუმენტებს, რომლებიც 1090 წელს დაარსებული **ჰასან იბნ-საბაჰის ისმაიტელთა,** ანუ მულიდთა სექტის მიერ ჩადენილ პოლიტიკურ მკვლელობებსა და ტერაქტებსაც კი გააფერმკრთალებს...

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე კიდევ უფრო შთამბეჭდავია **ტრამპის** კიდევ ერთი მუქარა, რომლის თანახმადაც ის გაპრეზიდენტების შემთხვევაში **„ეპშტეინის საქმის“** მასალებს გაასაჯაროებს. შეგახსენებთ, რომ ამერიკელი მილიარდერი **ჯეფრი ეპშტეინი,** რომელიც 2019 წელს ციხეში ჩამომხრჩვალი იპოვეს, მცირეწლოვანი გოგონების გარყვნისთვის დააპატიმრეს. ეპშტეინთან ერთად ამ საქმეში გარეულები იყვნენ **ელისაბედ მეორის უმცროსი ვაჟი, პრინცი ენდრიუ** და მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსები, მომღერლები, მსახიობები და რეჟისორები.

ცნობილია, რომ **ადოლფ ჰიტლერის მოადგილე რუდოლფ ჰესი** ამერიკელებმა 1987 წლის 17 აგვისტოს ბერლინში, შპანდაუს ციხეში მოკლეს და მერე ჩამოხრჩობის იმიტაცია გაითამაშეს, რათა 93 წლის მოხუცს საბჭოთა ჟურნალისტებთან არ გაეთქვა მეორე მსოფლიო ომის დაწყების საიდუმლო და არ გამოეცხადებინა, რომ ჰიტლერს მოსკოვის წინააღმდეგ ამერიკელები და ბრიტანელები აგულიანებდნენ და ეხმარებოდნენ. **არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, ვიფიქროთ, რომ ამერიკული ცერეუს აგენტებმა მილიარდერი ჯეფრი ეპშტეინი რუდოლფ ჰესის მსგავსად მოიშორეს და ისიც საკანში ჩამოჰკიდეს, რათა გარყვნილ მილიარდერს ევროპა-ამერიკის დემორალიზებული და გახრწნილი პოლიტიკური, ფინანსური თუ სახელოვნებო ელიტის წარმომადგენლებისთვის ხელი არ დაედო...**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **დონალდ ტრამპი** მხილებით ემუქრება იმ დამპალ და მანკიერ სისტემას, რომელმაც მსოფლიოს ყველა იმპერია დაღუპა და დღეს შეერთებულ შტატებსაც დაღუპვისკენ მიაქანებს.

**დონალდ ტრამპი მიხვდა, რომ მხილების გარეშე ამერიკა ვერ გადარჩება!**

გადარჩება თუ არა ამ განცხადებების შემდეგ თავად ტრამპი და მოასწრებს თუ არა ის ამერიკის გადარჩენას, **ეს ამბავი სულ რამდენიმე თვეში გაირკვევა!**

***დიტო ჩუბინიძე***



***მწერალი მერაბ შათირიშვილი საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ ამერიკელები და ევროპელები ჩვენი მეგობრები და ე.წ. „სტრატეგიული პარტნიორები“ კი არა, სინამდვილეში იმპერიალისტები არიან, რომლებსაც საქართველოს მიმართ კონკრეტული ზრახვები ამოძრავებთ:***



# მერაბ შათირიშვილი:

# ამერიკელები ამ ხელისუფლებას აქამდე ცხრაჯერ დაამხობდნენ, მაგრამ ვერაფრით გამონახეს კიტოვანი!

— ამერიკის ელჩმა **რობინ დანიგანმა,** როგორც მოსალოდნელი იყო, დუმილი დაარღვია და საქართველოში პოლიტიკური ვითარების პოლარიზების მიზნით, სკანდალური განცხადება გააკეთა — **ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა გაწყვიტეთო!** ცხადია, თავად ამერიკა და თავად ევროპა ჩინეთთან ვაჭრობისა და ეკონომიკური კავშირების გაწყვეტას არ აპირებენ. პირიქით, ამერიკას თითქმის 600-მილიარდიანი სავაჭრო ბრუნვა აქვს ჩინეთთან, ხოლო ევროკავშირს — 800-მილიარდიანი. **მაგრამ ჩვენ გვაიძულებენ, ეს გავაკეთოთ, რადგან ამერიკელები და ევროპელები ჩვენი მეგობრები და ე.წ. სტრატეგიული პარტნიორები კი არა, სწორედაც რომ იმპერიალისტები არიან!** ისინი ასეთები იყვნენ და ასეთებად დარჩნენ, როგორც რუსები. საერთოდ, ერთი რამ ყველამ კარგად დაიმახსოვროს — მსოფლიოში თავისი გავლენებით უდიდესი და უძლავრესი თერმობირთვული იმპერიები — ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი ან ჩინეთი არ შეიძლება იყოს ისეთი პატარა ქვეყნის **მეგობარი** და **სტრატეგიული პარტნიორი,** როგორიც საქართველოა.

**— ბატონო მერაბ, ამერიკის ელჩი რობინ დანიგანი აქამდე კორექტულობით გამოირჩეოდა, მაგრამ ახლა რა ბზიკმა უკბინა, ასეთი განცხადება რომ გააკეთა?**

— არაფერი, ელჩია და რაც დაავალეს, ის თქვა. **რობინ დანიგანის** ეს განცხადება იმას ნიშნავს, რომ **შემოდგომაზე ამერიკელები საქართველოში აუცილებლად შეეცდებიან სიტუაციის არევას და გადატრიალების მოწყობას,** მაგრამ, თუ ჩვენ მაგრად დავდგებით და მხოლოდ ხელისუფლების იმედად არ ვიქნებით, საქართველოს ვერ არევენ, გამორიცხულია. პირდაპირ ვაცხადებ: **ზვიად გამსახურდიას შემდეგ საქართველოს არ ჰყოლია ისეთი მოჭირნახული და ეროვნული ხელისუფლება, როგორიც დღეს გვყავს,** მაგრამ მხოლოდ ხელისუფლებას ნუ ავკიდებთ საქართველოს დაცვის ტვირთს, ჩვენც უნდა დავიცვათ ქვეყანა ამ იმპერიალისტებისგან! მაგათ რაც უნდათ, გასაგებია — არ აძლევთ ხელს საქართველოს ეკონომიკური წინსვლა, განვითარება და ნერვებს უშლით ის ფაქტი, რომ მაგათი ნებართვის გარეშე ქვეყანაზე ვზრუნავთ. საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაანებოს თავი საომარ რიტორიკას, რადგან შექმნილ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში ჩვენს ქვეყანას ომის უფლება არა აქვს. საერთოდ, კარგად რომ დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ, ვის უნდა ეომოს საქართველო?

ამიტომ ვამბობ, რომ უნდა გავაძლიეროთ ეკონომიკა, აიწიოს ცხოვრების დონემ და ვიზრუნოთ დაკარგული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე.

**— როგორ, რანაირად?**

— თურქეთისაგან განსხვავებით, რომელმაც ტაო-კლარჯეთი შეიერთა და წაგვართვა, **რუსეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს თავის ტერიტორიად ჯერ კიდევ არ თვლის.** ამის უპირველესი დასტური ის გახლავთ, რომ კრემლი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სერიოზულ ინვესტიციებს არ ახორციელებს და ინფრასტრუქტურასაც არ ავითარებს. **აფხაზეთში განადგურებულია ყველაფერი ზუსტად ისე, როგორც ამ ოცდაათი წლის წინათ, მაგრამ რუსეთი თითქმის არაფერს აკეთებს.** არადა, რუსეთმა უკრაინაში უკვე განადგურებული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა და შემოერთება დაიწყო. რუსეთი ასე იმიტომ იქცევა, რომ უკრაინის ტერიტორიას თავისად მიიჩნევს, ხოლო აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ჯერ კიდევ სხვის მიწად თვლის!

**— თავის მიწად თუ არ თვლის, დაბრუნებას რა უდგას წინ?**

— რუსეთმა კარგად იცის, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო მისი არ არის, მაგრამ ამ ტერიტორიებს საქართველოსთან სავაჭროდ იტოვებს. ბუნებრივად დაისმის კითხვა — რა უნდა გააკეთოს საქართველომ ამ სიტუაციაში? საქართველომ უნდა იმოქმედოს მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად და არავითარ შემთხვევაში არ დაემონოს ამერიკის ნაკარნახებს. ჩვენ გადავრჩით, გამოვაღწიეთ შუა საუკუნეების კუნაპეტიდან, როგორც ერს, განადგურება აღარ გვემუქრება, დანარჩენი ყველაფერი კი დროის საკითხია და გონივრული პოლიტიკით დაკარგულის დაბრუნება აბსოლუტურად შესაძლებელია.

**— ადეიშვილის მოადგილე დავით საყვარელიძემ უკრაინიდან განაცხადა — საქართველო ქართველ ზელენსკის ელოდებაო!**

—- ეს სწორედ ის არის, რის შესახებაც ზემოთ მოგახსენებდით! ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას საქართველოს ხელისუფლების ბედი გადაწყვეტილი აქვს! **ამერიკელები ამ ხელისუფლებას აქამდე ცხრაჯერ დაამხობდნენ, მაგრამ ვერაფრით გამონახეს კიტოვანი, რომელიც საცოდავ ქართველ ახალგაზრდებს რკინის ტყეში გაიტყუებს და მერე თბილისის ზღვიდან ჩამოსული, ხელისუფლებას რუსულ ჰაუბიცებს დაუშენს!**

**— „ასავალ-დასავალში“ ფართო მსჯელობა და პოლემიკაა გაშლილი იმაზე, თავი მოიკლა თუ მოკლეს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. თქვენ რას ფიქრობთ?**

— ზვიად გამსახურდიას თავი არ მოუკლავს! ზვიადი მოკლა იმ ბნელმა და სისხლიანმა სისტემამ, რომელიც შევარდნაძემ შექმნა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***





ბაიდენი და კიტოვანი

# „რუსეთი უკრაინის ტერიტორიას თავისად მიიჩნევს, ხოლო აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ჯერ კიდევ სხვის მიწად თვლის!“

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ოპოზიციურ პარტიებს ჰგონიათ, რადგან ხელისუფლება ცუდია, **მე ავტომატურად შინ მომართმევენ ძალაუფლებას ხონჩითო.** ბატონებო, ასე არ ხდება პოლიტიკაში, ხალხში უნდა გახვიდეთ.

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



თუ არჩევნებს „ქართული ოცნება“ მოიგებს, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ **ოპოზიცია ყოფილა სუსტი და ყოვლად უნიათო.** შესაბამისად, არანაირი **სამოქალაქო დაპირისპირება** არ იქნება.

„კვირის პალიტრა“

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



ქართველების გადასაწყვეტია, **სურთ თუ არა ევროკავშირის წევრობა,** ჩვენი მხრიდან კი საკითხი ნათელია, **საქართველო წევრობის კანდიდატია და გელით.**

„პირველი არხი“

**კახა გოგოლაშვილი**
*რონდელის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი*



არჩევნების გზით **თუ არ შეიცვალა ხელისუფლება,** ევროკავშირში ჩვენი წინსვლა არ მოხდება.

„კვირის პალიტრა“

# სამი მოთხრობა

*1934 წელს, პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების 10 წლისთავთან დაკავშირებით, ებრაული წარმოშობის რუსმა რეჟისორმა ძიგა ვერტოვმა, იგივე დავით აბელის ძე კაუფმანმა გადაიღო ფილმი „სამი სიმღერა ლენინზე“, რომლის პირველი ჩვენებაც 1935 წელს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.*

ვერ გეტყვით, ქართველი კომპოზიტორის **რევაზ გაბიჩვაძისათვის** რამდენად წარმოადგენდა შთაგონების წყაროს **ძიგა ვერტოვის ფილმი „სამი სიმღერა ლენინზე“,** მაგრამ 1973 წელს მან შექმნა მუსიკალური ნაწარმოები **„სამი მონოლოგი ლენინზე“,** მამაკაცის დაბალი ხმისა და ქალთა გუნდისათვის, ფორტეპიანოს თანხლებით.

ჰოდა, **ძიგა ვერტოვის** კინონაწარმოები **„სამი სიმღერა ლენინზე“** და **რევაზ გაბიჩვაძის** მუსიკალური ნაწარმოები **„სამი მონოლოგი ლენინზე“** საფუძვლად დაედო წინამდებარე წერილის სათაურს **„სამი მოთხრობა ლენინელებზე“,** რომლის პერსონაჟებიც საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები — **რობინ დანიგანი, პაველ ჰერჩინსკი და რიინა კალიურანდი** ბრძანდებიან.

პირველი მათგანი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი გახლავთ, მეორე — ევროკავშირის, მესამე კი — ესტონეთის.

**რა საერთო აქვთ საქართველოში ამერიკის, ევროკავშირისა და ესტონეთის ელჩებს ბოლშევიზმთან და ლენინიზმთან, ამას თავადვე მიხვდებით, როცა მათი ბოლო განცხადებებისა და საქციელების შესახებ მოგითხრობთ.**







## 1. დანიგანის განდაგანა

***ეჰ, თურმე, რა ტყუილად შეაქო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რობინ დანიგანი — მის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას გამოვხატავ, რადგან თვისობრივად განსხვავდება წინა ელჩისაგან, რომელმაც საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობაში ძალიან ბევრი რამ გააფუჭაო!***

ესე იგი, **დანიგანი** ბევრად უკეთესი ელჩია, ვიდრე მისი წინამორბედი დეგნანიო!

მაგრამ აწყინა, აშკარად აწყინა ქებამ ამერიკის მოქმედ ელჩს, რომელმაც გასულ კვირას ერთ-ერთ ქართულ მედიასაშუალებასთან ინტერვიუში დიპლომატის მანტია გაიძრო, გენერალ-გუბერნატორის კიტელი მოირგო და საქართველოს შინაურ საქმეებში ისე ძალუმად იწყო ხელების ფათური, თვით **კელი დეგნანსაც** კი შეშურდებოდა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამერიკის ელჩის განცხადება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტში ჩინური ინვესტიციის მოზიდვასთან დაკავშირებით:

*„კომპანიის უმეტესი ნაწილის მფლობელი, რომელთანაც საქართველოს მთავრობამ კონტრაქტი გააფორმა, ჩინეთის კომუნისტური პარტიაა, რომელიც დღეს რუსეთის არმიის ნომერ პირველი დამფინანსებელია. ასე რომ, ერთი კითხვა არსებობს — რატომ უნდა გააღრმავო ეკონომიკური კავშირი იმ პარტიასთან, რომელიც თქვენს ოკუპანტს აფინანსებს?“*

იფ, რა განდაგანა ჩამოუარა ქალბატონმა **დანიგანმა!**

ოღონდ, ეს ამერიკული განდაგანა, ჩვენებური ცეკვის — აჭარული განდაგანისგან განსხვავებით, თვალსასეირო და გულის გამხარებელი სულაც არ არის!

რაღაც ძალიან მახინჯი და გულის შემაღონებელია ეს ამერიკული პოლიტიკური განდაგანა **ელჩ დანიგანის** შესრულებით!

როგორც ჩანს, მისი წინამორბედი **დეგნანივით დანიგანსაც** ბრიყვი და უვიცი ჰგონია ქართველი ხალხი, თორემ ასეთ პრიმიტიულ პროპაგანდას არ შემოაგდებდა — **ჩინეთის კომპარტია რუსეთის არმიას აფინანსებს და საქართველო ჩინეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებს არ უნდა აღრმავებდესო!**

კი მაგრამ, რას ნიშნავს, ჩინეთის კომუნისტური პარტია რუსეთის არმიას აფინანსებს?

ჩინეთის სახელმწიფო ბიუჯეტში სპეციალური ხარჯებია გათვალისწინებული რუსული არმიის დასაფინანსებლად თუ **სი ძინპინის** ხელისუფლება ჩინურ კერძო და სახელმწიფო კომპანიებს ავალდებულებს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში მილიარდები გადარიცხონ?

**ამას ეუბნება ამერიკის ელჩი ქართველ საზოგადოებას?**

**ასეთი პიტალო დემაგოგიით სურს ქალბატონ დანიგანს ქართველების პატრიოტულ გრძნობებზე თამაში?**

თუ ამერიკის ელჩი იმას გულისხმობს, რომ რუსეთი ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით მიღებული ფინანსური სარგებლის ნაწილს საკუთარი არმიის გაძლიერებას ახმარს, ამ ლოგიკით ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირიც რუსული ჯარის დამფინანსებლები გამოდიან, რადგან, მათივე დაწესებული სანქციების მიუხედავად, რუსეთისაგან დღემდე ყიდულობენ გაზს, ნავთობსა და სხვა ათასგვარ წიაღისეულსა თუ ნედლეულს, რაც თავიანთი ეკონომიკების გამართული მუშაობისათვის სჭირდებათ.

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი თავად წარმოადგენენ ჩინეთისა და, შესაბამისად, მისი მმართველი კომუნისტური პარტიის მსხვილ ეკონომიკურ და სავაჭრო პარტნიორებს. მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით, ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო ბრუნვამ გასულ წელს 575 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო იმავე ჩინეთთან ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვამ 860 მილიარდ დოლარს მიაღწია.

**მაშ, რატომ არ უნდა ესწრაფოდეს საქართველო ჩინეთთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებას ისევე, როგორც ამას ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის ქვეყნები აკეთებენ?**

**რატომ არ უნდა ცდილობდეს საქართველო ჩინეთთან პარტნიორობით ეკონომიკური სარგებლის ნახვას ისევე, როგორც ამერიკა და ევროპა ნახულობენ?**

აჰ, აქ ხომ ყველაფერი მარტივად არის: პატარა საქართველოს ვინ მისცა უფლება, დიდი ამერიკისა და დიდი ევროპის მსგავსად მოიქცეს?

სხვანაირად რომ ვთქვათ, **პატარა საქართველოს რა უფლება აქვს, საკუთარი სუვერენული ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს და „დიდი ძმების“ ნებართვის გარეშე დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგას?**

მოკლედ, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ჩინეთთან ურთიერთობის საკითხშიც ისე უქნევს თითს, როგორც უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონთან დაკავშირებით — **მე მაქვს, მაგრამ შენ არ უნდა გქონდესო!**

კი, ამერიკას უფლება აქვს, ჩინეთის ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორი იყოს, მაგრამ საქართველოს უფლება არა აქვს, იყოს ჩინეთის სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორი, რადგან ეს ამერიკის ინტერესებში არ შედის!

მერე რა, რომ საქართველოს ინტერესებში შედის, ამერიკის ინტერესებში არ შედის!

**ამერიკას უფლება აქვს, ჰქონდეს „ფარას“ კანონი, რომელიც უცხოური გავლენების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს, მაგრამ საქართველოს არა აქვს უფლება, ჰქონდეს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, რადგან ეს ამერიკას არ სჭირდება!**

**მერე რა, რომ საქართველოს სჭირდება, ამერიკას არ სჭირდება!**

ასეთია ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ — **მეტროპოლიის დამოკიდებულება კოლონიისადმი თუ ცენტრის დამოკიდებულება პერიფერიისადმი,** ეს კი სწორედ ბოლშევიკური და ლენინური დამოკიდებულება გახლავთ, რასაც გამოხატავს და ახმოვანებს კიდეც ლენინელი **ელჩი დანიგანი!**

## 2. ჰერჩინსკი გვერჩინსკი!

***ბოლშევიკურ სულისკვეთებასა და ლენინელობაში ამერიკის ელჩ რობინ დანიგანს არაფრით ჩამოუვარდება ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი, რომელიც საქართველოს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღების გამო***

**ამერიკა საქართველოს ჩინეთთან ურთიერთობის საკითხშიც ისე უქნევს თითს, როგორც უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონთან დაკავშირებით – მე მაქვს, მაგრამ შენ არ უნდა გქონდესო!**

## კვირგვინოსნები

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



მოფიქრება არ გინდა, **ერთმანეთის მაგინებელი, მლანძღველი და მტრულად განწყობილი პარტიები** თუ სუბიექტები ერთად რომ დააყენო, კოალიცია დაარქვა, თან ისეთი მანტია გადააფარო, რომ **მათი ნაცური, თაღლითური თუ ბოროტი წარსული დამალო?!**

„იმედინიუსი““

**ლევან იოსელიანი**
*სახალხო დამცველი*



სამწუხაროა, რომ საქართველო **პატიმრების რაოდენობით ევროპის მასშტაბით, ისევ მეორე ადგილზეა** — ქვეყანაში 9 500 პატიმარია, ეს რიცხვი საკმაოდ მაღალია, მისი შემცირება შესაძლებელია.

„ინტერპრესნიუსი“

**რიინა კალიურანდი**
*საქართველოში ესტონეთის ელჩი*



საქართველო შესაძლოა, ძალიან დიდხანს დარჩეს **ევროკავშირის მოსაცდელ ოთახში.**

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი კუპრაძე**
*„ლელოს“ გენერალური მდივანი*



„ლელო“**გახარიასთან** თანამშრომლობას არ განიხილავს — ეს ამბავი **ცალმხრივი სიყვარულის** ისტორიას ჰგავს.

„ინტერპრესნიუსი“

# ლენინელებზე



***ჭკუას არიგებს და თითს უქნევს, ესტონეთის წარმომადგენელი რიინდა კალიურანდი გახლავთ.***

საქმე ის არის, რომ ესტონეთის საკანონმდებლო ორგანომ — რიიგიკოგუმ საქართველოში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღება და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ „ევროპული ღირებულებების მიტოვება“ სპეციალური განცხადებით დაგმო, ესტონეთის ელჩმა კი განაცხადა:

***„ჩვენ ყოველთვის არ შეგვიძლია კომპრომისების დაშვება, როცა რომელიმე მთავრობა რაიმე სახის კანონს იღებს. არ შეიძლება, მოხვიდე და თქვა: „მინდა კლუბის წევრი გავხდე, მაგრამ ჩემი წესები მაქვს. ეს ასე არ მუშაობს“.***

გესმით, რას ამბობს ესტონეთის ელჩი, **ქალბატონი რიინდა?** „კლუბში“, ანუ ევროკავშირში გაწევრიანება თუ გინდათ, არ შეიძლება, თქვენი „წესები“, ანუ თქვენი ინტერესები გქონდეთო!

ესე იგი, ქართველები რომ გაიძახით — **ევროკავშირში შესვლა ჩვენი ღირსებით, ჩვენი ტრადიციებით, ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვით გვინდაო, ეგრე არ გამოვა, ეგ ყველაფერი გვერდზე უნდა გადადოთ, თორემ ჩვენს კლუბში ფეხს არ შემოგადგმევინებთ!** — გვეუბნება ესტონეთის ელჩი, რომელიც მისი ქვეყნის პოლიტიკური წონისა და მასშტაბის გათვალისწინებით, მთლად ლენინელობას ვერ ქაჩავს, მაგრამ ნორჩ ლენინელობას კი შეიძლება, შესწვდეს.

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ესტონეთის** ელჩი **რიინდა** იმავეს **ამბობს, რაც ცოტა ხნის წინათ, თბილისში გამჭვირვალობის კანონის მოწინააღმდეგეთა მხარდასაჭერად ჩამოსულმა და ანტისამთავრობო მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელიუს ლანდსბერგისმა განაცხადა:**

*„თქვენ თუ გესმით, რას ნიშნავს ევროკავშირის წევრობა? თქვენ უნდა დათმოთ სუვერენიტეტის ნაწილი, ასე მუშაობს ეს სისტემა და სუვერენიტეტის ნაწილი ბრიუსელის ხელში გადადის“.*

მოკლედ, როგორც დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ჯოჯოხეთის შესასვლელს აწერია — აქ შემომსვლელებმა იმედები გარეთ დატოვეთო, ევროკავშირის შესასვლელში გამოკრული წარწერა მსურველებს აფრთხილებს, რომ **სუვერენიტეტი გარეთ დატოვონ!**

ყოველ შემთხვევაში, **ამერიკის ლენინელი ელჩის, ევროკავშირის ლენინელი ელჩის, ესტონეთის ნორჩი ლენინელი ელჩისა** და სხვა მათნაირი ნეობოლშევიკების განცხადებები საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილში სწორედ ასეთ განწყობასა და შთაბეჭდილებას ტოვებს!

**საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კი, რომელიც ლენინიზმსა და საბჭოთა კავშირს კარგა ხნის წინათ დაემშვიდობა, არანაირი სურვილი არა აქვს, მოდერნიზებულ საბჭოთა კავშირში მოდერნიზებულ ლენინელებთან ამოყოს თავი.**

არადა, ესტონეთის ელჩი **რიინდა** და მისნაირები რაც უფრო მეტს ილაპარაკებენ, მით უფრო მეტად მოახდენენ ევროკავშირის დისკრედიტაციას ქართველი ხალხის თვალში!

**ამიტომაც ჯობს, რიინდა და მისნაირები საერთოდ გაირინდონ!**

***ერჩის და ვითომდა დიპლომატიური ნართაულით გვემუქრება — ევროკავშირის წევრობას ვერ ეღირსებითო!***

არადა, ევროკავშირს თავად აქვს გამოცემული დირექტივა, რომლის მიხედვითაც წევრმა ქვეყნებმა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის გაძლიერებაზე უნდა იზრუნონ.

ამასთან, ევროკავშირის წევრ არაერთ ქვეყანასა და ევროკავშირიდან საკუთარი ნებით გასულ დიდ ბრიტანეთში კარგა ხანია, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ისეთი მკაცრი კანონები მოქმედებს, იმათთან შედარებით ქართული კანონი თამაშად და მღერად მოჩანს.

მაგალითად, ევროკავშირის ერთ-ერთმა წამყვანმა ქვეყანამ — საფრანგეთმა — სულ ახლახან მიიღო კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, რომელიც ევროკავშირის არაწევრ ყველა სახელმწიფოზე, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებზეც ვრცელდება და ქართული კანონისაგან განსხვავებით, მხოლოდ ადმინისტრაციულ ჯარიმებს კი არა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს.

მიუხედავად ამისა, **ელჩი ჰერჩინსკი** ქართველებს მაინც **გვერჩინსკი** — გამჭვირვალობის კანონის მიღებით საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი გაყინულიაო:

***„ჩვენ არაერთხელ ვთქვით, რომ უცხოური გავლენის შესახებ კანონის მიღება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სწრაფვაზე უარყოფითად იმოქმედებდა და, სამწუხაროდ, ეს ასეც მოხდა. პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები განიხილავენ და ჩვენ გადავწყვეტთ, რა ზომებს მივიღებთ საქართველოში განვითარებულ ამ მოვლენებთან დაკავშირებით. ამ კანონის მიღებამ, როგორც ამას მე ვხედავ, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია გაყინა“.***

დამოკიდებულება აქაც ნათელია — **საქართველოს არა აქვს უფლება, მიიღოს ისეთივე კანონი, როგორიც ევროკავშირის არაერთ ქვეყანაში მოქმედებს, რადგან ევროკავშირის ინტერესებში არ შედის, დეკლარირებული და საჯარო გახდეს, მისი ფონდებიდან რისთვის და რამდენით ფინანსდებიან პოლიტიკური ექსტრემიზმითა და რადიკალიზმით გამორჩეული ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორებიც არიან, მაგალითად, „სირცხვილია“, „დროა“, „ფრანკლინის კლუბი“ და სხვანი.**







**რობინ დანიგანი, პაველ ჰერჩინსკი, რიინდა კალიურანდი**

მერე რა, რომ უცხოური გავლენების გამჭვირვალობა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და პოლიტიკური სტაბილურობისათვის არის აუცილებელი? კოლექტიურ დასავლეთს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოება და პოლიტიკური სტაბილურობა კი არა, საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე საკუთარი გავლენის შენარჩუნება აინტერესებს! მისი მიზანია, მუდმივად ხელთ ეპყრას ბერკეტი, რომელსაც მაშინვე აამუშავებს, როგორც კი ქართული სახელმწიფო სუვერენული ნაბიჯების გადადგმასა და საკუთარი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას გაბედავს!

და კიდევ: **სატირალი რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა ევროკავშირის წარმომადგენელთა განცხადებები იმის შესახებ, თითქოს უკრაინა და მოლდოვა, დემოკრატიული რეფორმების კუთხით, საქართველოზე ბევრად წინ არიან, რის გამოც ევროკავშირი მათთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებს გახსნის. ამის თაობაზე გასულ კვირას ევროკავშირის ელჩმა ჰერჩინსკიმაც განაცხადა:**

*„ნამდვილად გული მწყდება იმის დანახვით, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი, პრაქტიკულად, შეჩერებულია და, ამავდროულად, უკრაინასა და მოლდოვასთან ჩვენ წინ მივიწევთ“.*

ევროკავშირისაკენ მიმავალ გზაზე მაინც რით და როგორ უსწრებს საქართველოს უკრაინა, რომელიც ათწლეულებია, კორუფციის ჭაობში იხრჩობა და ახლა უკვე ავტორიტარული რეჟიმის ტყვეობაშიც იმყოფება, რადგან ზელენსკის ხელისუფლებამ ყველა კრიტიკული მედიასაშუალება დახურა და ყველა ოპოზიციური პარტია გააუქმა?

ან რით არის ევროკავშირთან საქართველოზე უფრო ახლოს მოლდოვა, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ 5 ოპოზიციური ტელეარხი დახურეს იმის გამო, რომ ეროვნული საინვესტიციო პროექტების განვითარების საბჭოში არ წარადგინეს სრულყოფილი ინფორმაცია თავიანთი დაფინანსების შესახებ?

ამ კითხვებზე ერთადერთი პასუხი არსებობს: **უკრაინასა და მოლდოვას, საქართველოსაგან განსხვავებით, დასავლეთის მარიონეტული რეჟიმები მართავენ, ანუ ერთი ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, ვოლოდიმირ ზელენსკი და მაია სანდუ „ძაღლიშვილები“ არიან, მაგრამ დასავლეთის „ძაღლიშვილები“ არიან!**

თუ ჩვენთან გინდათ, სუვერენიტეტსა და ეროვნული ინტერესების დაცვაზე კი არ უნდა დებდეთ თავს, არამედ ჩვენი „ძაღლიშვილები“ უნდა იყოთ! — ასეთია კოლექტიური დასავლეთის გზავნილი ქართული სახელმწიფოსადმი და ასეთია ევროკავშირის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ — **მეტროპოლიის დამოკიდებულება კოლონიისადმი თუ ცენტრის დამოკიდებულება პერიფერიისადმი,** ეს კი სწორედ ბოლშევიკური და ლენინური დამოკიდებულება გახლავთ, რასაც გამოხატავს და ახმოვანებს კიდეც ლენინელი ელჩი ჰერჩინსკი!

## 3. გაირინდე, რიინდა, გაირინდე!

***კიდევ ერთი ელჩი, რომელიც საქართველოს***

## ესტონეთის ელჩი და მისნაირები რაც უფრო მეტს ილაპარაკებენ, მით უფრო მეტად მოახდენენ ევროკავშირის დისკრედიტაციას ქართველი ხალხის თვალში!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ლაშა ხუციშვილი**
*ფინანსთა მინისტრი*



**აშშ-ის ვიზა მაქვს,** მაგრამ **სავიზო რეჟიმის** შეწყვეტასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მომსვლია.

„ინტერპრესნიუსი“

**ვაჟა ბერიძე**
*ექსპერტი*



მესმის დასავლეთის წუხილი, **უნდათ ივანიშვილი გაუშვან და სხვას დაუთმონ ხელისუფლება.** დასავლეთმა ძალიან დიდი თანხები ჩადო ამაში და იქნებ ჩაანაცვლონ პროგრესული, პროდასავლური იმ ჯგუფებით, რომლებიც **ქალბატონი სალომეს** გარშემო გაერთიანდებიან. თუმცა, **არა მგონია, 5-პროცენტიანმა პრეზიდენტმა შეკრას ასეთი ოპოზიციური სპექტრი.** პირდაპირ გეტყვით, დღევანდელი მდგომარეობით **45-50 პროცენტი „ოცნებისაა“.**

„კვირის პალიტრა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი, კონფლიქტოლოგი*



ყველაზე დიდი ტრაგედია ოპოზიციისთვის იქნება, თუ ისინი **ერთმანეთის ჭამას დაიწყებენ.** ყოვლად დაუშვებელია, რომ მხოლოდ **ერთი სია** იყოს. **ერთი სია** გაანადგურებს ოპოზიციას.

„ახალი თაობა“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



ქართველი ხალხი მხოლოდ **პროპაგანდაზე და უსამართლობაზე დაფუძნებულ** და იდეოლოგიურ დროშად მოხმობილ **„ევროპელობას“** არასოდეს მისცემს ხმას. „იმედინიუსი“

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# ჯერ სალომე ბაბოს დანაბარები რა უნდა იყოს და ახლა ამისი წაღებული?



ვააააახ, კაცოოოო, **სალომე ბაბოს ქვეშევრდომი** ისევ მივიდა პარლამენტში, ისევ იბოდიალა, ისევ იძახა — **არ გიპასუხებთო** და ისევ მაიჭრა თავი!

ეს **ანრი ოხანაშვილი** კიდე, სუ იგეთ რაღაცებს ეკითხება, აბნევს და ისედაც ამღვრეულ გონებას უბინდავს.




ტიპი ამტკიცებდა — **17-ის ორი მესამედი 9 არიო** და **ოხანაშვილმა,** რას ლაპარაკობ, **17-ის ორი მესამედი 9 რანაირად არიო?**

ისე, **გიორგი მსხილაძე** ალი-კვალი **სალომე ბაბოა** და რასაც ის ქალი დააბარებს ხოლმე, მარტო ის მიაქ და ხშირად ვერც ის მიაქ პარლამენტში. ჯერ **სალომე ბაბოს** დანაბარები რა უნდა იყოს და ახლა ამისი წაღებული?

☺

კაცო, ეს **ანრი** გადაეკიდა — ეს როგოა, ის როგოაო?

**ამან** — მე რავი, როგოაო?

**ანრიმ** — მა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით შენიშვნებს რო გვიგზავნით, ელემენტარული რაღაცები არ უნდა იცოდეთო?

**ამან** — სამი წლის წინ რა ხდებოდა, მე რა ვიციო...

**ანრიმ** — გადამოწმებას რა უნდაო?

**ამან** — არ ვიციო. ცოტა კიდე რომ გაგრძელებულიყო, იტყოდა, აქაური არა ვარ და, საერთოდ, მე ის კაცი არა ვარო... მერე დაჯდებოდა და იტირებდა, სახლში მინდაო.

**არ ვიცი, რაააა, არ ვიცი, რას გამოუშვებენ ხოლმე ამ ორმეტრიან ყაზილარს სასირცხვილოდ და თავის მოსაჭრელად?**

# ცოცხილა აკლია!

კახეთისკენ მივეშურებოდი და მანქნი რადიოში **დანიგანის** ინტერვიუს კაი მოზრდილი ფრაგმენტი წამიკითხეს. ერთ-ერთი სააგენტოსთვის ინტერვიუ მიუცია და იგეთები ულაპარაკნია, მტრისას! პირდაპირ გვიბრძანებს — **ჩინეთთან ეკონომიკურ ურთიერთობას ნუ ამყარებთო.**

გაიგონეთ? **ჩინეთთან არანაირი ურთიერთობის დამყარება არ შეიძლება,** რადგან მაგ ქვეყნის სათავეში კომუნისტები არიანო.

უკაცრავად!

ეს ქალი, სადღაც გაუგებრობაშია ჩარჩენილი და ცდილობს, რამსები ჩვენც აგვირიოს. ერთი ვინმე ღვთისნიერმა ჰკითხეთ — **თეთრი სახლის მიმდებარედ სუვენირების მაღაზია რომ არის და იმავე თეთრ სახლთან დაკავშირებული სუვენირები იყიდება, ყველა სუვენირს Made in China რატომ აწერია?**

მე არ ვარ **აშშ-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობის** სპეციალისტი, მაგრამ ავი ენები ამბობენ, **ბლინკენი** უკვე ორჯერ ჩავარდა ჩინეთში. მეტიც, იმედოვნებს, რომ ურთიერთობა უფრო გაღრმავდება და დათბება. შორს აღარ წავალ, მე პირადად აშშ-ის ადმინისტრაციისგან არასდროს მომისმენია, ეგენი კომუნისტები არიან და არ დაველაპარაკებითო.

☺

ეს ჩვენი **დანიგანა** მაინც გვეუბნება — კომუნისტებთან ახლოსაც არ გაიაროთ, არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურადო.

ჯერ ერთი, შენ ვინ ჩემი ფეხები ხარ, რომ დამიდგინო, ვისთან უნდა გავიარო და ვისთან არა! მეორეც — შენთვის ყველაფერი მოსულა და მე მიკრძალავ?

კი ამბობდნენ, ეს თავის წინამორბედზე **(გარაჟებში რომ საქმეებს არჩევდა)** უარესიაო, თუმცა, რაღაც იმედი მაინც გვიჭიატებდა, მაგრამ ამას იმაზე მეტი სხმია... სანაძლეოს დავდებ, ცოტა ხანში **გარაჟებთან დაკავშირებულ საქმეებს ესეც გაარჩევს.**

ისე, ჩვენში დარჩეს და... **ესეც კაი გაწეწილია, ცოცხილა აკლია!**




# ემანდ, თვითმფრინავიდან არ ჩამოვარდეს!

თავიდან მეგონა, რომ **ლეხ კაჩინსკი** იყო, პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი... მერე ვიფიქრე — არა, მის ძმას, **იაროსლავ კაჩინსკის** უფრო ჰგავს-მეთქი... არადა, მართლაც თავსატეხი გამიჩინა ამ მუდრეგმა, რომელიც **სუსლოვს** უფრო ჰგავს სიბერეში... მერე, დავხედე ქვემოთ მიწერილს და **სლოვენიაში ელჩად არ გვყოლია?** თან გადამდგარა, თან შეკითხვას უსვამს საკუთარ თავს — **საით მივდივართო?** თან იქვე ჰპასუხობს — **ევროპაშიო!**

აფერისტიც ყოფილა! 2023 წლის 3 დეკემბერს ამოსწურვია ელჩობის ვადა, თურმე, გაუშვიათ, რეზერვში გადაუყვანიათ, 6 თვე სახლში მჯდარა ტაბურეტკაზე და ახლა გვიცხადებს — გადავდექი, წავედიო... სად მივდივაროო? უნდა ეპასუხნა — **თრაკიაშიო,** მაგრამ არა, საკუთარი წარმოსახვითი უნარი ჩართო და... **ევროპაშიო!**

ჩემ ბავშვობაში ერთი ცოტა გულუბრყვილო გამოცანა არსებობდა: **მიდის, მოდის, იქავე დგას, რა არი?**

ჩვენ დაუფიქრებლად ვპასუხობდით — **კარი!**

როცა ესენი იძახიან, ევროპაში მივდივართო, სუ ის **კარი** მახსენდება — **მიდიან, მოდიან, იქავე დგანან** და მეტიც, არა მხოლოდ დგანან, ჭრიალებენ, დაზეთვაც აღარ შველით.

**სად მიდიხარ? ვის შეხვდები? რას ბოდავ? დაეტიე საქართველოში, აფერისტობას თავი დაანებე, მწვანეზე გადასვლა ისწავლე, ნაგავი ბუნკერში ჩაყარე, ტრასაზე მოძრაობის წესები დაიცავი...**

☺

ჰო, ამისი სახელ-გვარი ყოფილა **ირაკლი კოპლატაძე.** აშკარად ეტყობა, ტანჯამენ, **მაღამ პლეზიდანი** თავის ახირებებზე ატანცამებს. **მე იმას ვჩივი, კაჩინსკი რო მეგონა...** ემანდ, თვითმფრინავიდან არ ჩამოვარდეს!



# გენერალისიმუსი

№32 (268) ★ 2024 წლის 24 ივნისი ★ გამოდის 2003 წლიდან


# გენერალისიმუსი და გენერალური უსინდისობა

## რუსეთის ომი სტალინთან ★

***1945 წლის 26 ივნისს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში შემოღებულ იქნა უმაღლესი სამხედრო წოდება — საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი, რომელიც მეორე დღესვე, 27 ივნისს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, მიენიჭა იოსებ ბესარიონის ძე სტალინს.***

*1993 წლიდან* ***გენერალისიმუსის სამხედრო წოდება*** *აღარ შეიტანეს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო წოდებათა ნუსხაში. როგორც ჩანს, ესეც იმ ბრძოლის ნაწილი იყო, რომელიც* ***ლიბერალური დასავლეთის მიერ ხელდასხმულმა რუსეთის ხელისუფლებამ*** *სტალინის სახელსა და ავტორიტეტს გამოუცხადა, თუმცა კი, ვერაფერი დააკლო ისევე, როგორც გორში გენერალისიმუსის ძეგლის დამამხობელმა გენერალურმა უსინდისომ* ***მიხეილ გიულისძემ.***



სტალინი საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის ფორმაში. მხატვარი ვლადიმერ იაკოვლევი. 1945



УКАЗ ПРЕЗИДІЇ ВЕРХОВНОЇ РАДИ СРСР
УКАЗ ПРЭЗІДЫУМА ВЯРХОЎНАГА СОВЕТА СССР
СССР ОЛИЙ СОВЕТИ ПРЕЗИДИУМИНИНГ ФАРМОНИ
ССРО ЖОҒАРҒЫ СОВЕТІ ПРЕЗИДИУМЫНЫҢ УКАЗЫ
ССРИ АЛИ СОВЕТИ РӘЈСӘТ ҺЕЈ'ӘТИНИН ФӘРМАНЫ
TSRS AUKŠČIAUSIOSIOS TARYBOS PREZIDIUMO ĮSAKAS
УКАЗУЛ ПРЕЗИДИУМУЛУЙ СОВЕТУЛУЙ СУПРЕМ АЛ УРСС

PSRS AUGSTĀKĀS PADOMES PREZIDIJA DEKRETS
СССР ЖОГОРКУ СОВЕТИНИН ПРЕЗИДИУМУНУН УКАЗЫ
УКАЗИ ПРЕЗИДИУМИ СОВЕТИ ОЛИИ СССР
СССР ЁКАРЫ СОВЕТИНИҢ ПРЕЗИДИУМЫНЫҢ УКАЗЫ
NSV LIIDU ÜLEMNÕUKOGU PRESIIDIUMI SEADLUS
SNTL:n KORKEIMMAN NEUVOSTON PUHEMIEHISTÖN ASETUS

УКАЗ

ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР

О присвоении Верховному Главнокомандующему всеми вооруженными силами СССР Сталину Иосифу Виссарионовичу высшего воинского звания - генералиссимус Советского Союза.

Верховному Главнокомандующему всеми вооруженными силами СССР СТАЛИНУ Иосифу Виссарионовичу присвоить высшее воинское звание - ГЕНЕРАЛИССИМУС СОВЕТСКОГО СОЮЗА.

Председатель Президиума Верховного Совета СССР - М.КАЛИНИН.

Секретарь Президиума Верховного Совета СССР - А.ГОРКИН.

Москва, Кремль.
27 июня 1945 г.

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“. 2024 წლის №22-31*

## საუბრები იმპერიის ნანგრევებზე ★



რაულ ჩილაჩავა

# ლავრენტი ბერიას ვაჟი

**— მკითხველი უთუოდ შენიშნავდა, რომ თქვენ ერთხელაც არ აღიარეთ მამა დამნაშავედ და ბოროტმოქმედად. ხომ არ გაიგებენ ამას მისი მოღვაწეობის შელამაზებისა და გულწრფელი პასუხებისთვის თავის არიდების ცდად?**

— რომც მომკლათ, ვერ დავიჯერებ იმ ამაზრზენ დანაშაულებს, რომლებსაც მამაჩემს მიაწერენ. მე ვიცი სულ სხვა ლავრენტი ბერია — გულისხმიერი და ოჯახის მიყვარული. მე ხომ მისი შვილი ვარ და არა ყოფილი თანამშრომელი, რომელიც ახალი უფროსების საამებლად ირჯება! მესმის, რომ ჩემი ბევრი მსჯელობა ემოციებისა და მამაშვილური სიყვარულის დონეზეა, თუმცა, ცხადია, აჯობებდა, რომ ხელთ მქონოდა ამ მსჯელობათა დამადასტურებელი საბუთები. **სამწუხაროდ, „ბერიას საქმე“ დღემდე დალუქულია და მიუწვდომელი. და ეს შემთხვევითი ამბავი როდია: რუსეთის გავლენიან წრეებს სურთ, საზოგადოებრივი გაკიცხვისგან დაიცვან წარსულის ბევრი მოღვაწე, რომლებსაც კეთილშობილი თუ არა, მეტ-ნაკლებად პატიოსანი ადამიანების სახელი აქვთ.** ადრე თუ საქმე ეხებოდა სისტემის პრესტიჟს, ამჟამად საუბარია ეროვნული ღირსების შენახვაზე. მამაჩემისთვის და, გნებავთ, ჩემთვისაც, უკვე ყველაფერი სულ ერთია: უარესად ვერც მოგვექცევიან და ვერც გაგვთათხავენ! ისე კი, საბედნიეროდ, არის ჯერ კიდევ ხალხი, რომელიც არ გადაჩვეულა სიმართლის თქმას. აბა, რა გამოდის: ყველას სჯერა, რომ „ავრორას“ ზალპიდან მოყოლებული ყველა საბჭოური დანაშაულის თავი და თავი მამაჩემია, მაგრამ თითქმის არავინ არაფერი იცის მის დიდ დამსახურებაზე საბჭოთა კავშირის ატომური იარაღით აღჭურვაში. მართალია, გაკვრით, მაგრამ **ეტინგერი** ამას აღიარებს.

**— მაგრამ იგი ბერიას აღიარებს ჯალათადაც. ბატონო სერგო, მაინც რა ეშველება ამ ყველაზე მთავარ და საშინელ დამღას — „ჯალათი“ (გავიხსენოთ თუნდაც ა. ანტონოვ-ოვსეენკოს წიგნი „ჯალათის კარიერა“!).**

— ამ კითხვაზე მე ვუპასუხებ ერთი ახალგაზრდა რუსი მწერლის ციტატით ნარკვევიდან „სტალინის ხსოვნას“ **(ა. ტერეხოვი, „პრავდა“, 05. 03. 93).** ავტორი, რომლის მშობლებსაც კი, შესაძლოა, არ ახსოვდეთ „ჯალათი“ ბერია, შეუბრალებლად ამხელს რუსული თვითმპყრობელობის ძირის ძირებს, რაც „ბატიუშკა“ მეფის განუსაზღვრელ ძალაუფლებამდე დაიყვანება. მოვუსმინოთ მწერალს: ***„სტალინური გარდაქმნები** მიღწეულია სისხლის, გოდების, მონობის ფასად? განა ასეთივე მეწამული ლაქები არ ამჩნევია **პეტრეს** ყველა ნამოქმედარს?.. განა პეტრე თავებს არ აყრევინებდა სტრელეცებს?.. რა საზღაურია გადახდილი ქალაქების, გრანიტის სანაპიროების, განათლების, გემების, გამარჯვებისა და სხვა საგმირო საქმეებისთვის, ამ გენიოსსა და გოლიათს რომ ჩაუდენია? „ავსიტყვაობისთვის“ სიკვდილით დასჯით. სიკვდილით დასჯით დაუბეზღებლობისთვის. სიკვდილით დასჯით დაგვიანებული დაბეზღებისთვის. სამსახურიდან გაქცეულ ჯარისკაცს — ჩამოხრჩობა. ბრალეულ მებაჟეს — ადგილზე ჩამოხრჩობა. მთავრობის ბრძანებულების ჩამოხევისთვის — კატორღა ან სიკვდილი. სენატის გადაწყვეტილებაზე სენატში ჩივილისთვის — სიკვდილი. ხელმწიფის მიმართ ავი ჩანაფიქრისთვის (მხოლოდ ჩანაფიქრისთვის!) — აკუწვა...“.*

საშინელი სურათია, არა? მაგრამ ესაა **პეტრე დიდის** მიერ დაკანონებული „მართლმსაჯულების“ ისტორია. საბჭოთა კავშირში შენარჩუნებული იყო რუსული სახელმწიფო მენტალიტეტი — სასტიკი და საზიზღარი. დღეს, რა თქმა უნდა, ხელსაყრელია ყოველივე ეს ერთი კაცის სისაძაგლით ახსნა, მაგრამ მსგავსი მოქმედება განა სამართლიანია?

**— „როცა ცრემლმორეულმა ხრუშჩოვმა „ივან დენისოვიჩის“ დაბეჭდვის ნება დამრთო, მას მტკიცედ სწამდა, რომ ეს სტალინის ბანაკებზეა, რომ მას ასეთი ბანაკები არა აქვს“, — შენიშნავს ა. სოლჟენიცინი წიგნში „არქიპელაგი გულაგი“. დღეს ჩვენ ვიცით, რომ „გულაგი“ არამარტო ხრუშჩოვის დროს არსებობდა, არამედ ჩვენამდეც მოაღწია. იქნებ უფრო შემცირებულად, იქნებ უფრო სახეშეცვლილად, მაგრამ მაინც მოაღწია.**

— მამა იყო საშუალედო რგოლი ბოლშევიზმის სადამსჯელო სისტემაში, რომელიც საკუთარი, ალოგიკური პრინციპით მოქმედებდა. **მაქსიმ გორკიმ** ინტელიგენციის ყოვლად უდანაშაულო წარმომადგენელთა ციხიდან განთავისუფლების თხოვნაზე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადისგან ასეთ პასუხი მიიღო: *„ისინი დღეს არიან უდანაშაულო, მაგრამ ხვალ შეიძლება დანაშაული ჩაიდინონ, ამიტომ, დაე, იჯდნენ!“* ეს გამონათქვამი მოგვიანებით დაკანონდა, საფუძვლად დაედო სადამსჯელო ორგანოების საქმიანობას. ალბათ, გეხსომებათ, რომ უკანასკნელი საბჭოთა პოლიტპატიმრები გორბაჩოვის დაცემის წინ გამოუშვეს. სისტემას სჭირდებოდა „გულაგი“ და ამიტომ ინახავდა მას.

**— მე მივაქციე ყურადღება იმას, რომ თქვენს გვარს, ქართული გვარების რუსული მართლწერის შესაბამისად, არ აბრუნებდნენ, მერე კი ბრუნება დაუწყეს...**

— როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობითაც. მათთან, ვინც მართლმსაჯულება გათელა, მართლწერა რა მოსატანია!

●

**— ამბობენ, პოლიტიკა სფინქსია, რომელიც ნთქავს ყველას, ვინც მისი ამოცანა ვერ ამოხსნა. რომელი თავსატეხი იქცა, თქვენი აზრით, ბერიასთვის საბედისწეროდ?**

— საბჭოთა პოლიტიკაში სფინქსი თვითონ **იოსებ სტალინი** იყო. მამაჩემი წარმატებით ხსნიდა არამარტო სტალინის, არამედ მისი შინაური და გარეშე მტრების თავსატეხებსაც. მისთვის საბედისწეროდ იქცა არა პოლიტიკური თავსატეხი, არამედ ყველაზე ელემენტარული წინდაუხედაობა. **გარდაცვლილი სფინქსის გარშემო მან ვერ შენიშნა თავმოკატუნებული ნიანგების ხროვა, რომლებიც ხელსაყრელ დროს ელოდნენ, რათა მსხვერპლი გადაესანსლათ.**

**— 1945 წელს ამერიკელ სერჟანტს უთქვამს რუსი სამხედრო ტყვისთვის, რომელმაც სამშობლოში დაბრუნება არ ისურვა: თუკი სტალინი არ მოგწონთ, გადაირჩიეთო. სერჟანტი, რა თქმა უნდა, ამერიკული კატეგორიებით აზროვნებდა და საკუთარი გულუბრყვილობა ვერ წარმოედგინა. მაგრამ დრონი იცვლებიან: ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს უკვე ჰყავთ საყოველთაო კენჭისყრით არჩეული პრეზიდენტები. ჰყავს იგი საქართველოსაც. როგორ შეაფასებდით მის მისიას დღევანდელ საქართველოში?**

— შემფასებლის როლს ვერ ვიკისრებ, მხოლოდ შევნიშნავ: ერი, რომელიც ერთმა კაცმა უნდა იხსნას, შებრალების ღირსი არაა. ეს სიტყვები მე-18 საუკუნის ერთ-ერთ დიდ გერმანელს ეკუთვნის. მიმძიმს ამ სიტყვების მშობელი ერის მიმართ განმეორება, მაგრამ, ვაი, რომ სწორედ ასეთ სურათთან გვაქვს საქმე!

**— როგორ განმარტავდით ცნებას „თავისუფლება?“**

— მას, რომ იგი შეგნებული აუცილებლობაა, დავამატებდი: **„ესაა ადამიანის დამთრგუნველი და შემბოჭველი ვითარებისგან სრული დამოუკიდებლობა“.**

**— უკაცრავად, მაგრამ თქვენ მსჯელობთ, როგორც ჭეშმარიტი ჰუმანისტი და არა „ჯოჯოხეთის მანქანის“ კონსტრუქტორი...**

— ნებისმიერი იარაღი, მათ შორის, რაკეტებიც, გამიზნულია არამარტო მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, არამედ მისგან თავდასაცავადაც. მეცნიერები, რომლებიც ქმნიან და სრულყოფენ სხვადასხვა სახის იარაღს, ქვეყნად სიცოცხლის შენარჩუნებაზე ფიქრობენ. მათი ბრალი როდია, თუკი ავყია პოლიტიკოსების ხელში მეცნიერული აზრის ნაყოფი შანტაჟისა და მასობრივი განადგურების საშუალებად იქცევა.

●

**— ლავრენტი ბერიასთან ანგარიშსწორებისა და იოსებ სტალინის ნეშტის მავზოლეუმიდან გამოტანის შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვი საძულველი ბელადების სამშობლოს ეწვია, აბა, შემომხედეთ, რა მაგარი ვინმე ვარო. იქიდან დაბრუნებულს კი იდეა გასჩენია: „საქართველო უქართველებოდ!“ თქვენამდე არ მოუღწევია ასეთ ხმებს?**

— მე კარგად მახსოვს ის ვიზიტი, როცა, ცნობილი ანეკდოტისა არ იყოს, თბილისის ვაგზალზე „ძვირფას სტუმარს“ სამოქალაქო სამოსში გადაცმული „ადგილობრივი მოსახლეობა“ შეეგება. სწორედ იმ გადაცმულებმა იხსნეს იგი ორგანიზებული თავდასხმისგან: ჩვენში ხომ ბევრი სტალინის ლანძღვას ეროვნულ შეურაცხყოფად აღიქვამდა. პიროვნების კულტის კრიტიკა მართლაც ჟღერდა ანტიქართულად, განსაკუთრებით ყოფით დონეზე. რაც შეეხება უქართველებო საქართველოს, ეს ბოდვა მარტო ხრუშჩოვს როდი აწვალებდა, მაგრამ არ ჩაუვიდათ და არც ჩაუვათ ფეხი!

**— თქვენ თუ გამოგყვათ მამის ხასიათი, და თუ გამოგყვათ, რა გავლენა იქონია მან თქვენს ბედზე?**

— მე უკვე მოგახსენეთ, რომ მამა მტკიცე ნებისყოფის კაცი იყო. მიზანს რომ დაისახავდა, მისთვის აუცილებლად უნდა მიეღწია. ამ კუთხით ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო. ცხოვრების ყველა დარტყმა მე მოვიგერიე იმიტომ, რომ საკუთარი თავის მჯეროდა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყველა როდი გაუძლებდა ბედის ისეთ გამოცდას, მე რომ გავუძელი. როცა ინჟინერ-პოლკოვნიკიდან და მეცნიერებათა დოქტორიდან არარაობად მაქციეს, საჭირო იყო სულიერ ძალთა მოხმობა და სიმხნევის შენარჩუნება, სიტუაციასთან გამკლავება და არყოფნის წყვდიადიდან გამოსვლა. გულწრფელად გეტყვით, რომ ამას მივაღწიე ხასიათის სიმტკიცისა და თვით გარკვეული სიჯიუტის წყალობითაც, რაც, დარწმუნებული ვარ, მამისგან დამყვა.

**— ბატონო სერგო, თქვენ მორწმუნე ბრძანდებით?**

— მორწმუნე ვარ-მეთქი, ვერ გეტყვით, თუმცა, პატივს ვცემ ადამიანთა რელიგიურ გრძნობებს. ჩემი თაობა შემტევი ათეიზმის ძლიერი გავლენის ქვეშ იზრდებოდა, რამაც „მერყევ“ ქრისტიანად მაქცია. პირადი ბუნებითაც და პროფესიითაც მატერიალისტი ვარ, თუმცა, ღვთის მგმობელი არასოდეს ვყოფილვარ.

**— მეზობლებმა თუ იციან თქვენი ნამდვილი ვინაობა?**

— **არსად და არასოდეს მე არ დამიმალავს საკუთარი ბიოგრაფია. მეზობლებმაც და თანამშრომლებმაც მშვენივრად იციან, ვინცა ვარ, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამის გამო ვინმე უდიერად მომქცეოდა.** თვით მათაც, ვისაც შინსახკომთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან პირადი ანგარიში ჰქონდათ, საკუთარი თავისთვის ასეთი უფლება არ მიუციათ.

●

**— ცნობილ ადამიანებზე მუდამ ათასი ჭორი დადის. ვფიქრობ, განმარტება სჭირდება ლავრენტი ბერიაზე გავრცელებულ ბევრ ჭორსაც. მართალია, რომ მამათქვენს ჰყავდა ფანატიკურად ერთგული ორასი ქართველისგან შემდგარი ელიტური გვარდია?**

— არავითარი ეთნიკურად სუფთა, ფეოდალური ყაიდის გვარდია **გორბაჩოვამდე** საბჭოთა კავშირში არ არსებულა. მიღებული წესის თანახმად, პოლიტბიუროსა და მთავრობის წევრებს, ასევე რესპუბლიკების ხელმძღვანელებს, გამოეყოფოდათ მკაცრად რეგლამენტირებული დაცვა. მამაჩემი არ ყოფილა არც მეფე ლუდოვიკო და არც კარდინალი რიშელიე, თქვენი თქმისა არ იყოს, „ელიტური გვარდია“ რომ ჰყოლოდა.

**— ბევრ თბილისელსა თუ მოსკოველს ახსოვს, რომ ბერია დადიოდა შავი „პაკარდით“, რომელიც თითქოს საბჭოთა საელჩოს დაკვეთით ვაშინგტონში დაამზადეს...**

— ისევ და ისევ გორბაჩოვის „პერესტროიკამდე“ საბჭოთა მთავრობის არცერთ წევრს არ შეეძლო საზღვარგარეთ რაიმეს შეძენა. ჯავშნიანი „პაკარდი“, რომელიც მამას საბჭოთა „ზილების“ გამოჩენამდე ემსახურებოდა თბილისსა და მოსკოვში, შინსახკომის სპეციალური დაკვეთით იყო დამზადებული. ასეთი მანქანები **კიროვის** მკვლელობის შემდეგ გამოუყვეს სახელმწიფოსა და რესპუბლიკის ხელმძღვანელებს.

**— მამას შეეძლო მანქანის ტარება?**

— ოჯახში (დედაჩემის ჩათვლით) ყველას შეგვეძლო არამარტო მანქანის ტარება, არამედ მომსახურება და რემონტიც კი.

**— მოსკოვში თქვენ გქონიათ გრაფ ორლოვისეული აგარაკი, სადაც განლაგებული ყოფილა აუზები, საჩოგბურთო კორტები, საფრენბურთო მოედნები, ტირი, კინოდარბაზი...**

— მამაჩემის აგარაკი გრაფ ორლოვის სრასახლი კი არა, 30-იანი წლების საბჭოთა ნაგებო-






# მოგვითხრობს

ბა იყო. ეზოში ხარობდა რამდენიმე ვაშლისა და ალუბლის ხე, მოცხარისა და ჟოლოს ბუჩქი, არავითარი აუზები და სპორტული ნაგებობანი იქ არ ყოფილა. საკუთარი აგარაკები მამას არ ჰქონია არსად — არც საქართველოში, არც რუსეთში. მარმარილოს სასახლეები, აუზები, ესკალატორები პარტიულმა ბონზებმა აიშენეს „განვითარებული სოციალიზმის“ ეპოქაში. გავიხსენოთ თუნდაც დღეს საქვეყნოდ ცნობილი „ფოროსი“.

**— მამას სპორტი თუ იტაცებდა?**

— როცა საზოგადოება „დინამო“ ყალიბდებოდა, მამა პროპაგანდისტული მიზნით მონაწილეობდა სპორტულ ღონისძიებებში. საერთოდ კი უყვარდა ფეხბურთი, ფრენბურთი, სპორტული სიარული...

**— მართალია, რომ ლავრენტი ბერიას უყვარდა კლასიკური მუსიკა და ჰქონდა სუპერთანამედროვე აპარატურა?**

— კლასიკური მუსიკა მამას მართლაც უყვარდა, თუმცა, სუპერაპარატურა არ ჰქონია. მისი საყვარელი კომპოზიტორები იყვნენ ფალიაშვილი, ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, შოპენი...

**— ერთ-ერთ მოგონებაში წავიკითხე, რომ ბერიას უტირია, როცა ერთ შესანიშნავ მოსკოველ პიანისტს რახმანინოვის მეორე პრელუდია დაუკრავს. შეიძლებოდა, ასეთი რამ მომხდარიყო?**

— არა, რა თქმა უნდა. მამა არ იყო იმდენად სენტიმენტალური პიროვნება, რომ მუსიკის მოსმენაზე ეტირა.

**— გამიგია, ლავრენტი ბერიას უზარმაზარი გარდერობი ლონდონსა და რომში შეკერილი ტანსაცმლისგან შედგებოდაო...**

— იმ წლებში მთავრობის ვერცერთი წევრი ვერ ჩაიცვამდა უცხოურ კოსტიუმს. მათ ემსახურებოდა მოსკოვის სამკერვალო, რომელსაც **თერძი ფურმანი** ხელმძღვანელობდა.

**— ალან უილიამსი „ბერიას დღიურებში“ წერს: „ბერია სტალინს ქართულად გადაულაპარაკებდა ხოლმე, რითაც თავზარს სცემდა პოლიტბიუროს სხვა წევრებს. როცა მოლოტოვმა ქართულის შესწავლა დაიწყო, ბერიამ მისი მასწავლებელი დააპატიმრა და მოლოტოვიც მიხვდა გადაკრულსო...“**

— შემიძლია, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო: **სტალინი უცხოთა თანდასწრებით მამაჩემს ქართულად არასოდეს ელაპარაკებოდა.** მოლოტოვის ქართული ენით დაინტერესება და მისი მასწავლებლის დაპატიმრება კი საერთოდ ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია.

**— მაშ, ისიც სტალინს მუდამ „ხაზეინს“ ეძახდა და არა „ამხანაგ სტალინს?“**

— პოლიტბიუროს წევრები სტალინს სახელით და მამის სახელით მიმართავდნენ. მე ეს შემიძლია, დავადასტურო, რადგან მათთან ერთად არაერთხელ დავსწრებივარ კრემლის თათბირებს თავდაცვითი მრეწველობის საკითხებზე. სტალინი, თავის მხრივ, თვით უახლოეს თანამებრძოლებსაც კი თქვენობითა და გვარით მოიხსენიებდა, მხოლოდ მოლოტოვს თუ მიმართავდა ზოგჯერ სახელითა და მამის სახელით. თვით მოლოტოვი სტალინს მის ძველ პარტიულ მეტსახელს — **კობას** ეძახდა.

სტალინი „ხაზეინი“ იყო ჩეკისტების, დაცვისა და მომსახურე პერსონალისთვის, და ისიც პირად საუბრებში, როცა ნამდვილი სახელის წარმოთქმა არ უნდოდათ. გამორიცხულია, რომ მამას სტალინისთვის ასე მიემართოს.

მინდა, კიდევ ერთხელ განვაცხადო: ლავრენტი ბერიასადმი მიძღვნილი მთელი მასობრივი ლიტერატურა ერთი ძირიდანაა ამოზრდილი. **1953 წლიდან მოყოლებული უზარმაზარი საბჭოთა პარტიული აპარატი, მისი აგიტაციისა და პროპაგანდის სტრუქტურები მუშაობდნენ ჯერ ბერიას სახელის მიჩქმალვაზე, შემდეგ კი მის სრულ დისკრედიტაციაზე.**

**— წერენ, რომ დაპატიმრების დღეს ლავრენტი ბერიას რუხი გახეხილი პიჯაკი და თეთრი, უჰალსტუხო პერანგი ეცვა. იგი ჩაცმულობას არად აგდებდა?**

— რაკი მამაჩემი საკუთარ სახლში მოკლეს, არაა გამორიცხული, რომ იგი შინაურულად ჩაცმული ყოფილიყო. საერთოდ, მას კოხტად ჩაცმა უყვარდა, სამსახურში სამოქალაქო ტანსაცმლით დადიოდა, თუმცა, სიმსუქნის გამო, მისი პიჯაკი ცოტა მიჯაჯულად გამოიყურებოდა.

**— ვინ სტუმრობდა თქვენთან ყველაზე ხშირად?**

— სტუმრები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუ ჩემსა და დედაჩემის მეგობრებს არ გამოვრიცხავთ, ჩვენ თითქმის არ გვყოლია. მოდიოდნენ სამხედროები, უფრო სწორად, სამხედრო უწყებათა ხელმძღვანელები, მეცნიერები — ერთი სიტყვით, მამასთან სამსახურებრივად დაკავშირებული პირები.

**— რას გვეტყვით საზღვარგარეთ მამის საიდუმლო მოგზაურობებზე?**

— საიდუმლო მოგზაურობები მამას, რამდენადაც ვიცი, არ ჰქონია. მას ჰქონდა საქმიანი ვიზიტები, რაზეც პრესაში ოფიციალურად იწერებოდა.

**— 1949 წელი ორგზის საიუბილეო იყო სსრ კავშირის პოლიტიკურ კალენდარზე: შესრულდა იოსებ სტალინის დაბადების 70 და ლავრენტი ბერიას დაბადების 50 წელი. ამ თარიღებთან დაკავშირებით იუბილარებმა ერთმანეთს თითქოს უნიკალური საჩუქრები მიართვეს.**

— იმ წლებში საიუბილეო დღესასწაულები უფრო პროპაგანდისტული ხასიათისა იყო და მეტწილად მედიაში აღინიშნებოდა, ვიდრე ხალხმრავალ საზეიმო სუფრასთან. უნიკალურ საჩუქრებზე კი ხმები, უბრალოდ, გადაჭარბებულია, ისინი არ შეესაბამება დროის რეალიებს.

**— კონსტანტინე სიმონოვმა ლავრენტი ბერიას „საშინელი კაცი“ უწოდა. არ გიმძიმთ „საშინელი კაცის“ შვილობა?**

— მამაჩემი საშინელი გახადა სისტემამ, რომელიც მართლაც საშინელი იყო. ამიტომაც ეს ეპითეტი ეკუთვნის არამარტო **ლავრენტი ბერიას,** არამედ ჩვენი ყოფილი ტოტალიტარული წყობილების ყველა უმაღლესი რანგის ჩინოვნიკს. ახალგაზრდობაში მართლაც მიმძიმდა მოსმენა იმისა, რასაც მამაზე ამბობდნენ. როცა საბოლოოდ მივხვდი, სადაა ძაღლის თავი დამარხული, მსგავს გამოხდომებს ყურადღებას აღარ ვაქცევ. რაც შეეხება თავად **სიმონოვს,** იგი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, „საშინელი“ ხალხის ყურადღება და პატივისცემა არ მოჰკლებია.

**— თქვენ აგრძელებთ აქტიურ სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობას, ისახავთ ახალ გეგმებს. სად აპირებს ცხოვრებას პენსიონერი სერგო ბერია, ემზადება თუ არა იგი მომავალი სიბერისთვის?**

— სიმართლე რომ გითხრათ, ვერ წარმომიდგენია თავი უსაქმურ პენსიონერად, რომელსაც ყველაფერი წარსულში დარჩენია. სამწუხაროდ, სიცოცხლე უსასრულო როდია, ამიტომ **მინდა, დარჩენილი წლები მშობლიურ საქართველოში გავატარო. მე ვერ მოვიხადე მის წინაშე მამაშვილური ვალი, მაგრამ ღმერთია მოწმე, ეს მარტო ჩემი ბრალი არაა!**

**— ცნობილი რუსი ქირურგი პიროგოვი ამბობდა: ცხოვრების ნიჭი ისაა, რომ დროულად რაღაცას მიეჩვიო, რაღაცაზე კი უარი თქვაო. თქვენი ბიოგრაფიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხოვრების ნიჭი უხვად გაქვთ მომადლებული. მითხარით, რას მიეჩვიეთ და რაზე თქვით უარი?**

— სიჭაბუკიდანვე მე ვიზრდებოდი როგორც სამხედრო პირი, ზედმეტი ფუფუნებისა და განცხრომის გარეშე. რაც მეცნიერებამ გამიტაცა, სულ გადავეჩვიე დროის ტარებას. და მაინც, განდეგილი არ ვყოფილვარ, ვპოულობდი დროს ოჯახისთვისაც და მეგობრებისთვისაც. ბოლოს და ბოლოს ასეთადაც დავრჩი, თუმცა, ოჯახი, ჩვეულებრივი გაგებით, დიდი ხანია, არა მყავს. იძულებული გავხდი, შევჩვეოდი შინაგან მარტოობას, როცა ურიცხვი ადამიანის გარემოცვაშიც თავს ეულად გრძნობ. უარი კი არაფერზე მითქვამს: არც სამშობლოზე, არც მშობლიურ ენაზე, არც მშობელ მამაზე. დიდხანს ცდილობდნენ, ჩემთვის ასეთი უარი დაეცდინათ, მაგრამ ამაოდ. ცრუმოყვრები და ცრუმეგობრები კი თავისით შემომეცალნენ და მოხარული ვარ, რომ ისინი არცთუ ბევრნი ყოფილან.

**— მამათქვენი მოღალატედ და იმპერიალიზმის აგენტად შერაცხეს. თქვენ მთელი ცხოვრება იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბჭოთა არმიის აღჭურვას შეალიეთ. დადგა დრო და საბჭოთა კავშირი აღესრულა, აღარაა საბჭოთა არმიაც. ხომ არ გწყდებათ გული საბჭოთა კავშირის დაშლის გამო?**

— საბჭოთა იმპერიის დაშლა კანონზომიერი მოვლენაა. ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო. მართალია, არ მჯეროდა, რომ ამ ისტორიულ დღეს მოვესწრებოდი. გონიერი ხელმძღვანელობისა და დემოკრატიული რეფორმების პირობებში საბჭოთა კავშირს შეეძლო, კიდევ დიდხანს ეარსება. საამისოდ მას ჰქონდა ეკონომიკური, ინტელექტუალური და სამხედრო პოტენციალი.

**— ბატონო სერგო, თქვენ განვლეთ მეტად რთული, მაგრამ საინტერესო და ნაყოფიერი ცხოვრების გზა, მოესწარით მათ დაცემას, ვინც მამათქვენი ეშაფოტზე გაგზავნა. მოგანიჭათ თუ არა ამან ზნეობრივი კმაყოფილება?**

— მე ძალიან მომწონს **მონტენის** გამონათქვამი: **„ადამიანი ყოველთვის არ უნდა გაურბოდეს ტკივილს და არც ყოველთვის ესწრაფვოდეს სიამოვნებას.“** საკუთარ ტკივილს ყოველთვის თან დავატარებ, ხოლო სხვისი უბედურებით ტკბობა არ მჩვევია. განსაცდელი ადამიანს განსჯას აჩვევს და ხანგრძლივი განსჯის შემდეგ საბოლოოდ ვირწმუნე: **მამაჩემი მოკლეს არა იმიტომ, რომ სხვებზე ცოდვილი იყო. არა! მიზეზი სხვაგანაა — სტალინის შემდეგ აუცილებლად უნდა შემდგარიყო ბოლშევიკური მსხვერპლშეწირვის მორიგი რიტუალი და არჩევანი მამაჩემზე შეაჩერეს, რათა შემდეგ პარტიის მიერ ჩადენილი ყველა უმსგავსობა ორი აზიელის — სტალინისა და ბერიას — მხეცობით აეხსნათ.**

მთავრობამ, რომელმაც ტყვიამფრქვევებით დაცხრილა მამაჩემი, შემდეგაც არაერთი საშინელი ძალმომრეობა ჩაიდინა. შემზარავია მათი მასშტაბები, აღმაშფოთებელია მათი ცინიზმი. მამაჩემის მტრებმა უსახელოდ დაასრულეს თავიანთი გზა, მაგრამ, როგორც ვატყობ, ბევრი თანამედროვე პოლიტიკოსი სხვების შეცდომებზეც ვერაფერს სწავლობს. ეს კი სავალალოა. ჩვენ ხომ სულ სხვა ქვეყანაში, სულ სხვა ფასეულობათა სამყაროში ვცხოვრობთ!

**— მეც იმის თქმა მინდა: აღარც უწინდელი ბელადები არიან, არც მათი იდეოლოგიური დოქტრინა დარჩა, არც ოდინდელი ტოტალიტარული სახელმწიფო; შეიცვალა პოლიტიკური ორიენტირებიც: რუსეთში კვლავ აღორძინდა ნიკოლოზისა და მისი დესპოტი პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის კულტი, უკრაინაში ძეგლებს უდგამენ ნაციონალისტთა მამამთავრებს პეტლიურასა და ბანდერას, საქართველოში კი მწერა შორეული წარსულისთვის მიუპყრიათ, რადგან ახლო წარსულში არავინ მოსწონთ. ბერიას სახელიც აკრძალულთა და განკიცხულთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ასეთადვე რჩება. თქვენ გჯერათ, რომ დადგება დრო, როცა შეეცდებიან, მასაც მოაშორონ ჯალათისა და მოღალატის დამღა?**

— ასეთი რამ ახლო მომავალში არ მოხდება.

**— რატომ?**

— უარყოფილი სახელების აღდგენა, როგორც თვითონ შეამჩნევდით, მკაცრი შერჩევით ხდება. **გამოწვლილვით არკვევენ: ვინ რისთვის იბრძოდა, რა მიზნებს ისახავდა.** მეფე და სტოლიპინი რუსეთის დიდ იმპერიას იცავდნენ, პეტლიურა და ბანდერა — დამოუკიდებელ უკრაინას, ხოლო ვის იცავდა ლავრენტი ბერია? არავინ უწყის!

**მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ მამა არ ყოფილა საბჭოთა კავშირის ადეპტი, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობა რომ ენადა, ამაში ნუთიათაც არ მეპარება ეჭვი. ჯერჯერობით იგი ეროვნული ინტერესების მიღმა დგას, ამიტომაც არ სჭირდება არავის: არც ქართველს, არც რუსს, არც უკრაინელს...**

ესაა მისი ჯვარი და მისი ტრაგედია. ოდესმე იქნებ მართლაც გამოჩნდეს მიუკერძოებელი მემატიანე და საბჭოთა ისტორიის განქიქებისას ყურადღება მიაქციოს მამაჩემსაც და თქვას მის შესახებ თუნდაც მწარე სიმართლე. ჯერჯერობით ასეთი დრო არ დამდგარა!

*გაგრძელება იქნება*


„მამაჩემი საშინელი გახადა სისტემამ, რომელიც მართლაც საშინელი იყო!“

# ისტორია, როგორიც იგი არის! ★

***გუშინწინ, 22 ივნისს, 83 წლის წინათ, კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ყველაზე დიდი, სისხლისმღვრელი და საშინელი ომი, რომელმაც მილიონობით სიცოცხლე წარიტაცა.***

22 ივნისი **წლის უგრძესი დღე და უმოკლესი ღამეა.** სწორედ ამიტომ შეარჩიეს ეს დღე ფაშისტებმა ომის დასაწყებად... **გერმანელებს ყველაზე გრძელი დღის შუქზე სურდათ, მაქსიმალურად სწრაფად გადაელახათ რუსეთის თვალუწვდენელი ტრამალები და ძველთაძველ ტევტონთა მსგავსად, ღორის სოლისებურად შეჭრილიყვნენ რუსეთის სიღრმეში.** ასეც მოხდა... ომის პირველ დღეებში ფაშისტებმა არნახულ წარმატებებს მიაღწიეს და საბჭოთა კავშირის საზღვარი ზოგან 600-700 კილომეტრითაც კი მოიტოვეს უკან... აი, მაგალითად, ბელოსტოკ-მინსკის ბრძოლაში გერმანული არმიის „ცენტრის" სარდალმა, გენერალ-ფელდმარშალმა **ფონ ბოკმა** არმიის გენერალი, საბჭოთა კავშირის გმირი და დასავლეთის ფრონტის სარდალი **დიმიტრი პავლოვი** სამარცხვინოდ გააქცია და 28 ივნისს მინსკი აიღო. გერმანელებმა ხელთ იგდეს დაახლოებით 300 ათასი ტყვე, 2500 ტანკი და 1400 ქვემეხი.

სხვათაშორის, ასევე ივნისის თვეში, ოღონდ 24 რიცხვში შეიჭრა ნაპოლეონი რუსეთში და იმავე 1812 წლის მიწურულს განადგურებული გაბრუნდა უკან. **ცხადია, ნაპოლეონმაც იცოდა, რომ 22 ივნისი წლის ყველაზე უგრძესი დღე იყო, რასაც სტრატეგიული თვალსაზრისით, ფრანგული არმიისთვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ნოსტრადამუსის მემკვიდრეებმა და ძველმა ფრანგმა ვარსკვლავთმრიცხველებმა ნაპოლეონს მკაცრად შეახსენეს, რომ რიცხვი „22" უძველესი დროიდან დაწყევლილი იყო და არცერთი ჭკუათამყოფელი ხელმწიფე სერიოზულ საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა.**

დღემდე ვერაფრით ამიხსნია, ისეთმა შიზოიდმა, გაქანებულმა ოკულტისტმა და ფაშისტურ გერმანიაში ძალიან გავლენიანმა ფიგურამ, როგორიც შინაგან საქმეთა მომავალი მინისტრი **ჰენრიხ ჰიმლერი** იყო, როგორ დართო ნება ჰიტლერს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი მაინცდამაინც 22 რიცხვში დაეწყო?!

მიუხედავად ამისა, 1941 წლის ივლისის ბოლოს ჰიტლერს 4 მილიონამდე საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი ჰყავდა დატყვევებული, ხოლო ნაალაფარი და „წითელი არმიისთვის" წართმეული ტანკები ბევრად აღემატებოდა იმ ტანკების რიცხვს, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებოდა სტალინის განკარგულებაში.

**საბჭოთა კავშირ-გერმანიის დაპირისპირება მეორე მსოფლიო ომში ბრძოლის მთავარ თეატრს წარმოადგენდა. ამ ომში ჰიტლერმაც და სტალინმაც უდიდესი რესურსები ჩადეს, ბრძოლა იყო დაუნდობელი, გაუნელებელი და, შესაბამისად, დამარცხებულიც დაუნდობლად გაიწირა და განადგურდა — გერმანია საბოლოოდ ორ ნაწილად დაიშალა.**

ჰიტლერი ცბიერი და ეჭვიანი მმართველი იყო, მაგრამ საშინლად ჯიუტი და ექსცენტრული. ვიდრე საბჭოთა კავშირს დაესხმებოდა თავს, მანამდე ფიურერმა ერთი ფოკუსი ჩაატარა — **1941 წლის მაისში გერმანული „იუნკერს-52" საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში შემოიჭრა და მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე, „დინამოს" სტადიონის მახლობლად, მშვიდად დაფრინდა.** სტალინმა ავიაციის მთელი სარდლობა მკაცრად დასაჯა, მაგრამ მომხდარმა სამარცხვინო ინციდენტმა ფაშისტური არმიის სარდლობა და სპეცსამსახურები დაარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირის ცა აბსოლუტურად დაუცველი იყო და გერმანულ „მესერშმიტებს", „ჰაინკელებსა" და ფოკევულფებს" თავისუფლად შეეძლოთ, ენავარდათ თვალუწვდენელი წითელი იმპერიის თავზე.

ბედის ირონიით, 1987 წლის 28 მაისს, მაინცდამაინც საბჭოთა კავშირის მესაზღვრეთა დღეს, 18 წლის მოყვარული გერმანელი მფრინავი **მათიას რუსტი,** რომელიც ჩეხური წარმოების თვითმფრინავ „ჩესნა-171"-ს მართავდა, წითელ მოედანზე უპრობლემოდ დაეშვა და ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის უძლეველობის მითი წამში დაანგრია. ამ ინციდენტიდან ორ დღეში, 1987 წლის 30 მაისს, **გორბაჩოვმა** თანამდებობიდან გადააყენა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი, მარშალი **სერგეი სოკოლოვი,** რომელსაც მიაყოლეს საბჭოთა გენერლებისა და მარშლების მთელი გუნდი, რომელიც გერმანიიდან ჯარების გამოყვანასა და საბჭოთა კავშირის „მოდერნიზაციას" კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. **არსებობს სერიოზული ეჭვი იმის შესახებ, რომ, როგორც ივანე ბოლოტნიკოვი იყო ვასილი შუისკის აგენტი, სწორედ ისე, მათიას რუსტი მიხეილ გორბაჩოვისა და მისი დამქაშების, ძირითადად, ცერეუს აგენტების ინსტრუქტაჟით მოქმედებდა,** რათა გორბაჩოვს მიზეზი მისცემოდა და **სერგეი სოკოლოვი** და მთელი მისი გუნდი, რომლებიც საბჭოთა კავშირის დანგრევაში ხელს უშლიდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ, გზიდან ჩამოეცილებინა!

**გორბაჩოვმა, იაკოვლევმა და შევარდნაძემ** ეს შეძლეს და დიდი სტალინის მიერ ცეცხლითა და მახვილით შეკოწიწებული თვალუწვდენელი იმპერია ამერიკელების თვალწინ სამარცხვინოდ გაბახებულ-გაქიაქებული დააგდეს!

გერმანია, კაიზერული იყო თუ ფაშისტური, ყოველთვის მოილტვოდა კავკასიისკენ და ყოველთვის მწარედ იკბინებოდა. ასე, მაგალითად, 1918 წლის 28 მაისს ფოთში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველო გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მოექცა. მაშინ საქართველოში ბავარიელთა და სხვა გერმანელთა დაახლოებით 2-ათასკაციანი კორპუსი შემოვიდა, რომელიც საქართველოს რკინიგზის, პორტებისა და ნავსადგურების დასაცავად ქვეყანაში ჩადგა. კახეთში იყო შემთხვევები, როცა გერმანელმა ჯარისკაცებმა ოჯახებში ქალები გააუპატიურეს და ბატები დაკლეს...

**გერმანულმა სამხედრო მანქანამ მეორე მსოფლიო ომში 32 ქართული ბატალიონი შეიწირა, რომელიც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას ეთაყვანებოდა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ 700 ათასი ქართველიდან საქართველოს ცოცხალი მხოლოდ 350 ათასი თუ დაუბრუნდა.**

გერმანელები საქართველოსთვის ალიკაპის ამოღებას მაშინაც ცდილობდნენ, როცა **შევარდნაძემ** და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **დიტრიხ ფონ გენშერმა** პუტჩისტების დასახმარებლად გერმანული ნაგაზები და ხელკეტები საქართველოს მმართველ ძაღლთაპირებს გამოუგზავნეს და საქართველოში სისხლის ტბები დააყენეს.

**ახლაც, როცა საქართველო გზაჯვარედინზე დგას და გასარკვევია, ქვეყანა ამერიკელებს უნდა დაემონოს თუ რუსებს, გერმანია და მისი კანცლერი შოლცი საქართველოს მოსდგნენ და ქვა ქვაზე აღარ დაგვიტოვეს!**

გერმანია მაშინ დასრულდა, როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელებმა ე.წ. „კანცლერაქტზე" ხელი ყველა მმართველს მოაწერინეს და ამოდენა ქვეყანა, ფაქტობრივად, ჯიბეში ჩაიდეს!

**უნდათ, საქართველოც ჯიბეში ჩაიდონ, რაც არ გამოვა!**

**მთელი ეს იწილო-ბიწილოც ამიტომ არის ატეხილი!**

***დიტო ჩუბინიძე***



იაკოვლევი, გორბაჩოვი და შევარდნაძე

# გორბაჩოვმა, იაკოვლევმა და შევარდნაძემ დიდი სტალინის მიერ შეკოწიწებული იმპერია ამერიკელების თვალწინ სამარცხვინოდ გაბახებულ-გაქიაქებული დააგდეს!



## 22 ივნისს:

**ჰიტლერი თავს დაესხა საბჭოთა კავშირს!**



## 24 ივნისს:

**ნაპოლეონი თავს დაესხა რუსეთს!**

ასავალ-დასავალი
2024 წლის 24 ივნისი. №32 (268)
**სარედაქციო კოლეგია**
**„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

## მამა დავითი (ისაკაძე):

# უკრაინაში ეკლესიებს ანგრევენ და წვავენ, ხოლო სასულიერო პირებს და მრევლს ფიზიკურად უსწორდებიან!




*„უკრაინაში ზელენსკის ხუნტა მართლმადიდებელ ეკლესიაზე და მის მრევლზე ძალადობს. მღვდელმსახურებს და ეპისკოპოსებს აპატიმრებენ; ტაძრებს არბევენ და საეკლესიო ქონებას იტაცებენ“,* ***— აცხადებს სოფელ დიღმის წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი დავით ისაკაძე:***

— მდგომარეობა კატასტროფულია. პროცესი მას შემდეგ დაიწყო, რაც მსოფლიო პატრიარქმა **ბართლომეოსმა** ყველა საეკლესიო კანონის დარღვევით უკრაინაში ჩამოაყალიბა სქიზმატური საკრებულო და, ამგვარად, თანამზრახველებთან ერთად, უკრაინის კანონიკური ეკლესიის წინააღმდეგ უმძიმესი საეკლესიო დანაშაული ჩაიდინა. საეკლესიო კანონების თანახმად, ასეთი დანაშაულის ჩამდენი მღვდელმსახურები ეკლესიიდან, ასევე სასულიერო ხარისხიდან განკვეთას ექვემდებარებიან. ეს უნდა აღსრულდეს სრულიად მართლმადიდებელ საეკლესიო კრებაზე, რომლის მოწვევაც, სამწუხაროდ, ძალზე ჭირს. მსოფლიო პატრიარქ**ბართლომეოსის** ამ ნაბიჯმა უკრაინაში ადგილობრივი კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის, მღვდელმსახურების და მრევლის უპრეცედენტო, არნახული დევნა გამოიწვია.

**— რაში მდგომარეობს დევნა?**

— ახლახან კიევში დაანგრიეს ძველი, პატარა სამლოცველო. მანამდე ლვოვში ეკლესიას ცეცხლი წაუკიდეს! ერთ-ერთ ტაძარში, მას შემდეგ, რაც ფაშისტებმა დაიკავეს და იქიდან მართლმადიდებელი სასულიერო პირები და მრევლი გამოყარეს, ნამდვილი სატანური შაბაში გამართეს, როკავდნენ ნახევრად შიშველი ადამიანები. ამ შაბაშის ამსახველი ვიდეორგოლები სოციალურ ქსელებში უხვად მოიპოვება! ცილისმწამებლური ბრალდებებით არიან დაპატიმრებულები სხვადასხვა იერარქიის სასულიერო პირები, მათ შორის, ორი მიტროპოლიტი — **პავლე და არსენი.** უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ჩამორთმეულია და სქიზმატური დაჯგუფებისთვის გადაცემულია დიდძალი საეკლესიო ქონება. პირდაპირ ქუჩებში და ტაძრებშიც კანონიკური ეკლესიების წარმომადგენელ სასულიერო პირებს და მრევლს აყენებენ შეურაცხყოფას, ფიზიკურად უსწორდებიან და ხშირად უმიზეზოდ აპატიმრებენ.

**ჩვენ, ქართველი მღვდელმსახურები, ვლოცულობთ უკრაინელი მართლმადიდებელი და-ძმებისთვის, მუდმივად გამოვხატავთ მათ მიმართ თანადგომას, მაგრამ, ვფიქრობ, აუცილებელია, ამ საკითხზე ყურადღება მსოფლიო ეკლესიამ გაამახვილოს.** თუ დღეს უკრაინის კანონიკური, მართლმადიდებელი ეკლესია არის დევნაში, არ არის გამორიცხული, რომ იმ ძალებმა, რომლებმაც უკრაინელი ხალხის და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს, ანალოგიური ქმედება ნებისმიერი ქვეყნის ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, თუნდაც საქართველოში, განახორციელონ. მთელი მართლმადიდებელი სამყარო ფეხზე დგას და გმობს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნას. **ჩვენი ვალია, ბოლომდე ვამხილოთ უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლების ეს ფაშისტური დაჯგუფება, რომელიც საკუთარი ხალხის მიზანმიმართულ გენოციდს ეწევა.** სამწუხაროდ, ე.წ. დემოკრატები დასავლეთიდან, უკრაინაში მართლმადიდებელი ეკლესიის, სასულიერო პირების და მრევლის წინააღმდეგ მიმდინარე ამაზრზენ პროცესებს დუმილით ეგებებიან, რაც დანაშაულის წახალისებად აღიქმება.

**— და რით აიხსნება, რომ მართლმადიდებელთა დევნას ყურადღება არ ექცევა?**

— შეგახსენებთ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყოფილი წამყვანი იდეოლოგის **ზბიგნევ ბჟეზინსკის** გამოთქმას: ჩვენ დავამარცხეთ კომუნიზმი, ამჯერად ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე არის მართლმადიდებელი სარწმუნოება! აღსანიშნავია, რომ კოლექტიური დასავლეთი სწორედ ამ კალაპოტს მიჰყვება. არადა, უკრაინის კანონიკურ ეკლესიაში ვითარება დღითი დღე იძაბება, რის გამოც ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა და მრევლის ერთი ჯგუფი უახლოეს დღეებში ვაპირებთ, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ოფისის წინ შევიკრიბოთ, მათ გასაგონად ვამხილოთ ფაშისტური რეჟიმის მიერ უკრაინის მკვიდრი მართლმადიდებლების დევნის უახლესი ფაქტები; საერთაშორისო ორგანიზაციებს სამართლიანობის საქომაგოდ მოვუწოდოთ და იქვე ჩვენი უკრაინელი თანამოძმეების მხარდასაჭერად სავედრებელი პარაკლისი აღვავლინოთ!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***





ნახანძრალი მართლმადიდებლური ტაძარი ლვოვში



სვიატოგორსკის ლავრის წინამძღვარი, მიტროპოლიტი არსენი სასამართლო პროცესზე

## უკრაინის კანონიკური ეკლესიის დევნის უახლესი მაგალითები:

- 2024 წლის 17 მაისს კიევში ზელენსკის ხელისუფლებამ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილი ტაძარი დაანგრია.

- 2024 წლის 7 ივნისს ქალაქ დნეპრის სასამართლომ განიხილა სვიატოგორსკის ლავრის წინამძღვრის, **მიტროპოლიტი არსენის (იაკოვენკო)** საქმე მისი აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. სასამართლოზე მივიდა მრავალრიცხოვანი მრევლი, ხოლო უზენაესი რადას 10 დეპუტატი სხვადასხვა ფრაქციიდან მზადყოფნას გამოთქვამდა, თავდებში ჩასდგომოდა ლავრის წინამძღვარს და სასამართლოს სათანადო განცხადებითაც მიმართეს. ადრინდელის მსგავსად, **მიტროპოლიტმა არსენმა არ აღიარა ბრალდება — თითქოს ქადაგების დროს გადმოსცა საგუშაგოების მდებარეობა, რითიც მტერს შეეძლო, ესარგებლა.** სასამართლომ **მიტროპოლიტი არსენი** გირაოს შეთავაზების მიუხედავად, წინასწარი დაკავების იზოლატორში დატოვა.

- **პოჩაევის ლავრიდან** უახლოეს მომავალში შეიძლება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია გამოასახლონ. ამის შესახებ ინფორმაციები მას შემდეგ გაჩნდა, რაც ლავრის ინსპექტირებას უკრაინის კულტურის სამინისტრო შეუდგა. შესაძლო გამოსახლების მიზეზად შესაძლოა, სამართალდამცავი ორგანოების გამოძიების შედეგებიც აღმოჩნდეს. პოჩაევის ლავრაში ჩხრეკა, სულ მცირე, ორჯერ ჩატარდა.

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ცენტრის Amsterdam & Partners LLP ხელმძღვანელმა **რობერტ ამსტერდამმა** განაცხადა, რომ მას აქვს მონაცემები, რომლის მიხედვითაც, შვეიცარიის სამიტის შემდეგ ზელენსკის ძალაუფლება კიევში ახალი, უფრო მკაცრი რეპრესიებით შეუტევს უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებლურ ეკლესიას.

*უფლება არ გვაქვს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტანჯვას წავუყრუოთ! — აცხადებს სერბეთის საპატრიარქოს წევრი, გორნოკარლოვაცკის ეპისკოპოსი* ***გერასიმე*** *და დასძენს: — უდავოა, რომ დღეს უკრაინაში ვპოულობთ მართლმადიდებლური სარწმუნოების ახალ აღმსარებლებს — ესენი არიან ციხეში დაღუპული პატიმრები, აგრეთვე არიან მისი უწმინდესობა, ტულჩინისა და ბრაცლავსკის მიტროპოლიტი* ***იონათანი,*** *ვიშგოროდის კიევო-პეჩორის ლავრის წინამძღვარი* ***პავლე,*** *ზაპოროჟიელი და მელიტოპოლელი* ***ლუკა,*** *ჩერკასელი და კანეველი* ***ფეოდოსი,*** *სვიატოგორსკელი* ***არსენი,*** *ბანჩენელი* ***ლონგინოზი.*** *ყველანი, ჩვენი ეს ძმები, უდანაშაულოდ იტანჯებიან უმთავრესად ცრუ ბრალდებებით შეთითხნილ სასამართლო პროცესებზე, პატიმრობით და ფიზიკური ზემოქმედებით, სალოცავი ადგილების ჩამორთმევით და ადამიანის ყველა სხვა ძირითადი უფლების აღკვეთის შედეგად!*

# «საქართველოში სახელმწიფო

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №25-26*

***პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, ქალაქ თბილისის ყოფილი სამხედრო კომენდანტი გოჩა ბახია საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გარემოებებზე ისევ ვრცელ განმარტებას აკეთებს და იმ ღალატზე საუბრობს, რომელიც ქართველებმა საკუთარი სამშობლოს წინაშე ჩაიდინეს:***

— ჩვენმა ინტერვიუმ, სადაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წამებისა და მკვლელობის შესახებ ამ ორიოდე კვირის წინათ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე ვისაუბრე, საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა და რეზონანსი გამოიწვია. ბევრმა ისიც გაიხსენა, თითქოს წლების წინ პრეზიდენტის მკვლელობის სულ სხვა ვერსიას ვავითარებდი და, როგორც იტყვიან, ახლა „პირველი ჩვენება“ შევცვალე.

**ხაზგასმით ვაცხადებ და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლულია რუსული წარმოების „მარგოლინის“ იარაღით, რომელიც ხელში ეჭირა გენერალ გია გულუას.**

კიდევ ერთხელ ვაზუსტებ:

**ზვიად გამსახურდია მოკლულია „გეკოს“ ტყვიით, რომელსაც „მარგოლინის“ პისტოლეტი ისვრის. გულუა ზვიად გამსახურდიას სწორედ „მარგოლინით“ სცემდა და ტყვიაც ამ დროს გაუვარდა.**

პრეზიდენტს „გეკოს“ ტყვია ნიკაპის ქვეშ მოხვდა და იქვე, სენაკის აეროპორტშივე მოკვდა. ამის შემდეგ მკვდარ ზვიად გამსახურდიას, მკვლელობის დაფარვის მიზნით, ზემოდან, საფეთქელში დაახალეს მეორე, „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტის ტყვია და გაითამაშეს თვითმკვლელობის სცენა...

**— ბორის კაკუბავას ჩემთვის ნათქვამი აქვს — კარლო ღურწკაიას სახლში შევარდნაძის უშიშროებამ ზვიადის ორეული მიიყვანა, რომელიც დღესაც ცოცხალია და სამეგრელოში ცხოვრობსო! რას იტყვით?**

— ამ საკითხს მეც ვიკვლევ. ეს პიროვნება ცოცხალია თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მთელ ამ ისტორიაში ორეული ფიგურირებს. რაც უეჭველია და ფაქტია, ის გახლავთ, რომ **ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან ღურწკაიების სახლამდე** პრეზიდენტისა და მისი ამალის მარშრუტი, გადაადგილება თავიდან ბოლომდე კონტროლდებოდა შევარდნაძისა და მისი ძალოვნების მიერ. ზვიად გამსახურდიას ამ უკანასკნელ გზაზეც უთვალთვალებდნენ. **ძმებმა ანატოლი და ზაურ ჩუხუებმა** პრეზიდენტი ღურწკაიებამდე მიიყვანეს და შეასრულეს თავიანთი მისია, ამის შემდეგ პროცესები დრამატულად განვითარდა.

— **ვაჟა ჭინჭარაული და ირაკლი გოგაძე რობიზონ მარგველანსა** და მის ჯგუფს არ ენდობოდნენ და მათთან ერთად არსად ჩერდებოდნენ, მაგრამ პრეზიდენტის ადგილსამყოფელს მაინც არ შორდებოდნენ და ზვიად გამსახურდიას სიცოცხლეს თავიანთი ღირსებით იცავდნენ. მაგათ ყველას ვიცნობ, ყველასთან ურთიერთობა მქონდა, რადგან მაგ ჯგუფებს იარაღს სწორედ მე ვაწვდიდი. აბა, იარაღს საიდან მიიღებდნენ?

**— ბადრი ზარანდიამ გია გულუა ზუგდიდის ციხიდან რატომ გაუშვა?**

— ეს საკითხი მეც ძალიან ძალიან ძლიერი და მძიმე პისტოლეტია. „სტეჩკინი“ რუსებმა ჩამოწერეს, შეიარაღებიდან ამოიღეს და გადასცეს სპეცსამსახურს — „კაგებეს“.

**— ისევ ზვიადის ორეულის საკითხს მივუბრუნდეთ! თუ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში ორეული ფიგურირებს, მაშინ, ბოლოს და ბოლოს, ვინ მიიყვანეს მარგველანმა, გუგუშვილმა, გვანცელაძემ და ჩუხუებმა კარლო ღურწკაიას სახლში?**

— კიდევ ერთხელ ვაცხადებ — ამ საკითხს ვაზუსტებ! ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ **მარგველანმა, გუგუშვილმა, გვანცელაძემ და ჩუხუებმა** კარლო ღურწკაიას სახლში სინამდვილეში ვინ მიიყვანეს, ეს ჯერ კიდევ დასადგენია! ჩემთვის ცნობილია რამდენიმე კაცის გვარი და სახელი, რომლებიც ამ საქმეში დამატებით ფიგურირებენ, მაგრამ ახლა ამ საკითხზე ლაპარაკი არ მსურს. რაც შეეხება **ბესარიონ გუგუშვილს,** იმ საბედისწერო მომენტში, როცა ვითომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა, გუგუშვილს ეძინა. ამას ის ინტერვიუში თავად ამბობს... კიდევ ერთხელ ვაკონკრეტებ: **ღურწკაიების სახლში მიიყვანეს მკვდარი ზვიადი, მერე ესენი შეკრიბეს და დააშინეს — „შენ ეს თქვი და შენ ის თქვი, თორემ ოჯახებს ამოგიწყვეტთო!“**

**— მაშინ ის მითხარით, ზვიად გამსახურდია შევარდნაძის ხუნტის სპეცსამსახურებმა როდის დაატყვევეს?**

— ეს მოხდა იქიდან 4-5 საათის შემდეგ, რაც **ჩუხუებმა** ზვიადი **კარლო ღურწკაიას სახლში** მიიყვანეს. თვითმფრინავი, რომელშიც ზვიადს აწამებდნენ, მეორე დილით ჩამოფრინდა თბილისიდან... ეს მოხდა **1993 წლის 28 დეკემბერს.** ზვიად გამსახურდია 28 დეკემბერს დილითვე ჩაიყვანეს სენაკის აეროპორტში. მგზავრობა დაახლოებით 1 საათი გაგრ-



## გოჩა ბახია:

## ნუგზარ მოლოდინაშვილი, რომელიც ისევ და ისევ შევარდნაძესთან დაკავშირებული აღმოჩნდა, მუხლებში ჩამივარდა და მთხოვა, ბესიკ ქუთათელაძე გამეშვა!



*ნუგზარ მოლოდინაშვილი*

**— ჩუხუები ზვიადის ხსოვნის წინაშე პირნათელი არიან?**

— ვერ ვიტყვი, რომ მათ პრეზიდენტს უღალატეს, უბრალოდ, ისინი დისტანცირებული იყვნენ ამალის დანარჩენი წევრებისაგან დაახლოებით ისე, როგორც ცხონებული **ვაჟა ჭინჭარაული და ირაკლი გოგაძე.**

**— რას გულისხმობთ?**

მაინტერესებს! **მკვდარ ზვიად გამსახურდიას რომ „სტეჩკინიდან“ დაახალეს საფეთქელში, ის „სტეჩკინი“ ბადრი ზარანდიამ სწორედ გია გულუას წაართვა.** ამის შემდეგ ზარანდიამ ეს „სტეჩკინი“ ზვიად გამსახურდიას აჩუქა. „სტეჩკინი“ არ არის სატარებელი იარაღი, ეს არის ტანკისტების იარაღი, რომელიც ნახევრად ავტომატური,



*ბესიკ ქუთათელაძე*



*სოსო ქუთათელაძე*

**„1992 წლის 3 იანვარს მოღალატე ბესიკ ქუთათელაძემ თბილისის ანძა პუტჩისტებს გადასცა და მთაწმინდიდან „მინამიოტები“ დაგვიშინა! მაგისი ძმა სოსო ქუთათელაძეც მოღალატე იყო!“**

## კვირგვინოსნები

**მიხეილ გალუზინი**
*რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე*



აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა **სუვერენული არჩევანი** ჯერ კიდევ 2008 წელს გააკეთეს, მას შემდეგ რაც **მიხეილ სააკაშვილის** რეჟიმმა **ერთი რესპუბლიკის** საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება ძალის გამოყენებით სცადა და **მეორე რესპუბლიკას** მსგავსი ქმედებებით დაემუქრა. როგორც ჩვენ გვესმის, საქართველოს ხელისუფლებამ **ამ კრიმინალური ავანტიურიდან** გაკვეთილი ისწავლა და **მიზნად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი გზით „დაბრუნებას“ ისახავენ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



ევროკავშირი რთული არჩევანის წინაშეა, უნდა უპასუხოს **„ოცნების“ მავნებლურ პოლიტიკას** და ევროპული პერსპექტივა შეუნარჩუნოს ქართველ ხალხს.

„რეზონანსი“

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*პარლამენტარი*



ევროკავშირისგან **პერსონალური სანქციები გამორიცხულია,** სანქციის დაწესებას სჭირდება სერიოზული იურიდიული დასაბუთება.

„რეზონანსი“

**გიორგი ამილახვარი**
*განათლების მინისტრი*



მასწავლებლების 70 პროცენტს **500-დან 800 ლარამდე ხელფასი ეზრდება** — საჯარო სკოლის არცერთი პედაგოგი არ დარჩება, ვისაც ხელფასი არ მოემატება.

„რეზონანსი“

# გადატრიალება არ იქნება!»

ძელდა, ხოლო 31 დეკემბერს ღურწკაიების სახლში მიიყვანეს **მკვდარი ზვიადი.** ამიტომაც ამბობდა **ბუზუშვილი** — სისხლი ბევრი არ ყოფილაო!

## ამიტომ წამოიყვირა კარლო ღურწკაიას ცოლმა ლუდმილა ღურწკაიამ – თქვენ რაც გააკეთეთ, ყველაფერს ვიტყვიო!

ქალბატონ ლუდმილას ეს სიტყვები ძალიან ძვირად დაუჯდა და ამ განცხადებიდან ცოტა ხანში გაურკვეველი მიზეზით გარდაიცვალა. სხვათაშორის, **ღურწკაიების ოჯახში** სინამდვილეში ვინ მიიყვანეს, ეს საკითხი რომ დასაზუსტებელია, ერთი ფაქტიდანაც ჩანს. კერძოდ, დაკითხვის მასალებში ყველა სხვადასხვანაირად აღწერს პრეზიდენტის ქუდს. ზოგი ამბობს, რომ პრეზიდენტს ფაფახი ეხურა, ზოგი ამბობს, რომ სვანური ქუდი ეხურა, ხოლო, ზოგის თქმით, ზვიად გამსახურდია კარლო ღურწკაიას ოჯახში შევიდა თუ არა, ფეხები დააბაკუნა, ნაბადი გაიფერთხა და ხმამაღლა განაცხადა — **მე ზვიად გამსახურდია ვარო!** ვფიქრობ, ზვიადი ასე არავითარ შემთხვევაში არ მოიქცეოდა...

**— ცნობილია, თუ არა იმ თვითმფრინავის პილოტის ვინაობა, რომელიც 1993 წლის 28 დეკემბერს დილით თბილისიდან სენაკში ჩაფრინდა?**

— არა, ეს ცნობილი არ არის, მაგრამ მისი დადგენა და იდენტიფიცირება შესაძლებელია.

**— რა მარკის თვითმფრინავით ჩაფრინდა შევარდნაძე სენაკის აეროპორტში?**

— ეს თვითმფრინავი გახლდათ **„ტუ-154“,** სახელმწიფო ბორტი, რომლითაც შევარდნაძე სენაკში ჩაფრინდა და რომელშიც ზვიად გამსახურდია ჯერ აწამეს და მერე მოკლეს!

**— შევარდნაძე მარტო იყო?**

— შევარდნაძე მარტო იყო კი არა, მთელი დელეგაციით ჩაფრინდა სენაკში, მაგრამ უშიშროება არ ყოფილა!

**— მაინც ვინ ახლდა შევარდნაძეს და ვინ ესწრებოდა ზვიად გამსახურდიას წამებას და მკვლელობას?**

— შევარდნაძესთან ერთად თვითმფრინავში იმყოფებოდნენ მაშინდელი **შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია და გივი ლომინაძე.** სხვათაშორის, ზვიად გამსახურდია თვითმფრინავში რამდენჯერმე აიყვანეს და ჩამოიყვანეს.

**— რატომ?**

— **შევარდნაძე** თვითმფრინავიდან არ გამოდიოდა. სწორედ იქ აიძულებდნენ პრეზიდენტს გადადგომაზე ხელმოწერას, რაც ზვიადმა არ გააკეთა. ამის გამო ზვიადი **გია გულუას** თვითმფრინავიდან დაბლა ჩაჰყავდა, უმოწყალოდ სცემდა და მერე ისევ შევარდნაძესთან აჰყავდა, რათა გადადგომის შესახებ ბლანკიან ფურცელზე ხელი მოეწერა!

**— მოდით, ახლა უშუალოდ გადატრიალების დღეები გავიხსენოთ, როცა თბილისში ომი დაიწყო! პრივატულ საუბარში ბრძანეთ, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომლის ხელისუფლებამაც თავისი თავი დაიმხოო! დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ! სხვათაშორის, სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე საქართველოში დღესაც რეალურია...**

— საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება არ იქნება! 1991 წელს მთელი მსოფლიო მოუმზადებელი აღმოჩნდა იმ პროცესებისთვის, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში განვითარდა. ამერიკელებს ძირითადი გათვლა **გორბაჩოვზე** ჰქონდათ, მაგრამ უცბად ყველაფერი ჩამოეშალათ. საქართველოში უმაღლესმა ჩინოსნებმა — პრემიერ-მინისტრმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, მინისტრებმა, მინისტრების მოადგილეებმა, საკუთარ თავს მოუწყვეს გადატრიალება!

**— უფრო კონკრეტულად!**

— ფაქტობრივად, ზვიად გამსახურდიასა და ორი-სამი კაცის გარდა, ეროვნულ ხელისუფლებას ყველა ებრძოდა! აი, მაგალითად, პრემიერ-მინისტრმა **თენგიზ სიგუამ** შევარდნაძის მეშვეობით წინასწარ იცოდა, რომ მოსკოვში „გეკაჩეპეს“ გადატრიალება მზადდებოდა, ამიტომ 1991 წლის 19 აგვისტომდე, ვიდრე **იური იანაევისა** და მისი გუნდის გამოსვლა დაიწყებოდა, სიგუა გადადგა და **კიტოვანიც** აიყოლია. ყველაზე ჩამორჩენილ აფრიკულ ქვეყნებშიც კი ხელისუფლება იცავს ძალაუფლებას, მაგრამ ქართველები აღმოვჩნდით იდიოტები და დავანგრიეთ ქვეყანა.

წინა ინტერვიუშიც გითხარით და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანიც** კი შეეკრა შევარდნაძეს და სასტუმრო „ოკტიაბრსკაიაში“, სადაც ედუარდს „შულავერის კომიტეტი“ ჰქონდა შექმნილი, მათ შორის კონტაქტი შედგა. **ასათიანი** გახდა შევარდნაძის ე.წ. სახელმწიფო საბჭოს წევრი და ერთ-ერთი პირველი შევარდა 1992 წლის 11 ოქტომბრის ე.წ. „იმედის არჩევნებით“ დაკომპლექტებულ პარლამენტში, რომელსაც არავითარი ლეგიტიმაცია არ ჰქონდა. სხვათაშორის, **თენგიზ კიტოვანი აკაკი ასათიანის** პარტიის წევრი იყო, რაც მრავლისმეტყველი ფაქტია. ყველა ძალოვანი მინისტრი, მათ შორის, პირველ რიგში, **დილარ ხაბულიანი,** ორ სკამზე იჯდა და რასაც რუსეთი ეტყოდა, იმას აკეთებდა.

რა უნდა ექნა საცოდავ ზვიად გამსახურდიას ამ შემთხვევაში? **ამ ხელისუფლებისაც ვერაფერი გავიგე, რა უბედურებაა, რომ ცნობილი მოღალატეებისა და საქარ-**

გაგრძელება 22-ე გვერდზე





შოთა კვირაია

**„შევარდნაძესთან ერთად თვითმფრინავში იმყოფებოდნენ მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია და გივი ლომინაძე!“**



გივი ლომინაძე



**„ეს თვითმფრინავი გახლდათ „ტუ-154“, სახელმწიფო ბორტი, რომლითაც შევარდნაძე სენაკში ჩაფრინდა და რომელშიც ზვიად გამსახურდია ჯერ აწამეს და მერე მოკლეს!“**

## კვირგვინოსნები

**ედიშერ გვენეტაძე**
*ანალიტიკოსი*



ვინმეს წარმოედგინა, რომ **გახარია ნაცებთან ითანამშრომლებდა,** როცა ოთხ საკრებულოში კოალიცია ჰქონდათ შეკრული?! ერთი ცნობილი გამოთქმაა — **„ვისი ვიოლინო ვის როიალშია“** თავადაც არ იციან.

„რეზონანსი“

**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის ლიდერი*



„ოცნებას“ რომ აინტერესებდეს **ის სიკეთეები,** რომლებიც შესაძლოა, მიიღონ აშშ-ისგან, **„რუსულ კანონს“** გაიწვევდა. ნაცმოძრაობა მომხრეა ერთობის, **დაპირისპირება ოპოზიციურ ველზე** საზოგადოებრივი დაკვეთის ღალატია.

„რეზონანსი“

**ნანა დევდარიანი**
*ჟურნალისტი*



**იოანე ზოსიმეს ხელნაწერის ყიდვა და ჩამოტანა რამხელა ამბავია** და ერთ-ერთი მედიასაშუალება ორი დღე ჯიუტად ამბობდა, რომ **უცნობია, ვინ შეიძინა ეს ხელნაწერი „კრისტის“ აუქციონზეო...** ხომ არ ბნელა მართლა?

„კვირის ამბები“

**ავთანდილ კახნიაშვილი**
*სამართლის დოქტორი*



როგორც მახსოვს, 2012 წელს **ივანიშვილი** ამომრჩევლებს **„მიშას დროშის“ შეცვლასაც დაჰპირდა.** ამდენად, კარგი იქნება, თუ „ქართული ოცნება“ **სახელმწიფო სიმბოლოებთან მიმართებით მაინც აღადგენს სამართლიანობას.**

„რეზონანსი“

# გოჩა ბახია:
# კარლო ღურწკაიას სახლში სინამდვილეში ვინ მიიყვანეს, ეს ჯერ კიდევ დასადგენია!

*დასაწყისი მე-20 გვერდზე*

**თველოს მტრების სახელები ქვეყანაში ასე უკვდავყოფილია?**

**გია გულუას სახელობის სპეცრაზმი და ქუჩები რომ არსებობს გასაგებია, მაგრამ მეორე მოღალატის, პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის სამთო მომზადების სკოლა საჩხერეში, სადაც ჯარის ბანაკი გახსნეს და მოსწავლეებს საზაფხულო შეკრებას უტარებენ, რა უბედურებაა?**

ბავშვმა რომ გკითხოთ, პოლკოვნიკ **ბესიკ ქუთათელაძეს** რა დამსახურება მიუძღვის სამშობლოს წინაშეო, რას ეუბნებით? **ბესიკ ქუთათელაძე გადატრიალების დღეებში უნდა დამეპატიმრებინა, მაგრამ მუხლებში ჩამივარდნენ და გამაშვებინეს!**

**— მაინც რა მოხდა?**

— 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში ომი რომ დაიწყო და ბანდიტებმა შემოგვიტიეს, ფაქტობრივად, ტექნიკის გარეშე ვიყავით. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალი **ვალერი პატრიკეევი,** რომელმაც იცოდა, რომ თბილისში გადატრიალება უნდა დაწყებულიყო, შვებულებაში გავიდა და მთელი ოლქი თავის მოადგილეს, გენერალ-მაიორ **სუფიან ბეპაევს** ჩააბარა, რომელიც, თუ არ ვცდები, ბალყარელი იყო. **კიტოვანი** გახლდათ მისი შნირი და მონა. კიტოვანსა და სიგუას გადატრიალების დღეებში სწორედ ბეპაევის კაბინეტში ეძინათ.

**ბესიკ ქუთათელაძე,** რომელიც საჩხერის ერთ-ერთ სკოლაში ფიზკულტურას ასწავლიდა და ზვიადმა აქცია კაცად, როცა მინისტრის მოადგილედ დანიშნა, ექვს თვეში ზვიადს დაუპირისპირდა, ხოლო 1992 წლის 3 იანვარს თბილისის სატელევიზიო ანძა პუტჩისტებს ჩააბარა. **ბესიკ ქუთათელაძემ** მთელი საჩხერის ბატალიონის ბიჭები, დაახლოებით 70 კაცი, ღალატის გზაზე დააყენა. აქედან გამომდინარე, მაგათ არ ვენდობოდი და ვაპირებდი იარაღის ჩამორთმევას და მთავრობის სასახლიდან მაგათ გაგდებას... ჯერ ერთი, **ბესიკ ქუთათელაძემ** ტექნიკის გარეშე დამტოვა...

**— მაინც რა ტექნიკა გყავდათ, ომი რომ დაიწყო?**

— უზენაეს საბჭოს შენობაში ჩემს საბრძოლო განკარგულებაში იყო 1 ტანკი, 2 „ბეემპე-2", 1 „ბეტეერი" და 2 „ბერდეემი". **ბესო ქუთათელაძემ** დაიწყო წუწუნი — ძმა მყავს ანძაზე და მეც ავალ, დავიცავ, ტექნიკა გამატანეთო! არ ვუშვებდი და არც ტექნიკას ვანდობდი, რადგან ვერ ვატყობდი კაიკაცობას. როგორც გითხარით, ვუპირებდი დაპატიმრებას და იარაღის აყრას. საჩხერის ბატალიონის ბიჭები და **ბესიკ ქუთათელაძე** სასადილო ოთახში დავამწკრივე, ჩემი ბიჭები — სოხუმელები ვიხმე და დავაპირე მაგათი განიარაღება და გაყრა, მაგრამ **ნუგზარ მოლოდინაშვილი,** რომელიც ისევ და ისევ შევარდნაძესთან დაკავშირებული აღმოჩნდა, მუხლებში ჩამივარდა და მთხოვა, **ბესიკ ქუთათელაძე** გამეშვა. ასე წავიდა ქუთათელაძე, წაიყვანა 2 „ბეემპე-2", თავისი ხალხი და მთელი შეიარაღებით, ტექნიკითა და საჩხერის ბატალიონით გადავიდა ბანდიტების მხარეს. იმ „ბეემპეების" ნომრები ახლაც მახსოვს — „202" და „111"... 1992 წლის 3 იანვარს მოღალატე **ბესიკ ქუთათელაძემ** თბილისის ანძა პუტჩისტებს გადასცა და მთაწმინდიდან „მინამიოტები" დაგვიშინა! მაგისი ძმა **სოსო ქუთათელაძეც** მოღალატე იყო. ის ცოდვა, რაც მათ ჩაიდინეს, მაგათ ოჯახს სულ თავს შეახსენებს! პრეზიდენტისა და სამშობლოს ღალატის ცოდვას ესენი ვერ გამოისყიდიან!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***




***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის ვერსიებს განიხილავს და იმ მიზეზებზე საუბრობს, რის გამოც ავთანდილ მარგიანი შევარდნაძეს ლანძღავდა:***




— ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში ძალიან საინტერესოა **ავთანდილ მარგიანის** შევარდნაძესთან დაპირისპირების საკითხი. მოგეხსენებათ, როცა შევარდნაძის რეჟიმი მოირყა და ამერიკელებმა მას **„დარდუბალა"** მიუქსიეს, ყოფილი ვიცე-პრემიერი **ავთანდილ მარგიანი** შევარდნაძეს მწვავედ დაუპირისპირდა და „მოქალაქეთა კავშირის" დაუძინებელ მტრად იქცა. მარგიანი „მოქალაქეთა კავშირს" **„მოჭაჭეთა კავშირს"** უწოდებდა და შევარდნაძეს ყოველ ნაბიჯზე ლანძღავდა. **ამ დაპირისპირების მიზეზი ზვიად გამსახურდიას მკვლელობა გახლდათ...**

**— ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა და საქართველოში ბალტიის ჯარის შემოყვანის საქმეში ავთანდილ მარგიანი ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაა და საინტერესოა, შევარდნაძეს რატომ დაუპირისპირდა?**

— **ავთანდილ მარგიანი** შეშინდა. ის თავისი გლეხური ჭკუით მიხვდა, რომ ამერიკელები შევარდნაძეს ხელისუფლებაში არ გააჩერებდნენ. აქედან გამომდინარე, შევარდნაძეს მან დაუწყო საშინელი კრიტიკა, რათა ახალი ხელისუფლებისა და, ზოგადად, საზოგადოების თვალში ქულები ჩაეწერა. მარგიანი ცდილობდა, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში ახალ ხელისუფლებას მისი პასუხისმგებლობის საკითხიც არ დაეყენებინა, მაგრამ იმას კი ვერ მიხვდა, რომ დანაშაულის გახსნა არც ძველი და არც ახალი ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა. ახლა, როგორც ვიცი, **მარგიანი** გათიშულია, თუმცა, დროდადრო აზრზე მოდის და მასთან საუბარი შესაძლებელია. სიმართლე გითხრათ, იმასაც ვეჭვობ, შემთხვევით მარგიანი სიმულაციას ხომ არ ეწევა? სპეცოპერაცია, რომელიც ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ჩატარდა, თავიდან ბოლომდე შეთანხმებული იყო მასთან, ხოლო პრეზიდენტის ლიკვიდაციის მიზნით, თბილისში შევარდნაძემ შექმნა შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუყენა სწორედ **მარგიანი.** ინფორმაციები პირველი პრეზიდენტის გადაადგილების, მდგომარეობისა და ადგილსამყოფლის შესახებ შევარდნაძესთან სწორედ **ავთანდილ მარგიანს** მიჰქონდა.

**— შევარდნაძე ასეთ ღალატს, როგორც წესი, არავის პატიობდა და საინტერესოა, მარგიანი მის რისხვას როგორ გადაურჩა?**

— მარგიანი შევარდნაძეს მაშინ დაუპირისპირდა, როცა ედუარდს შხამიანი კბილები უკვე ამოცლილი ჰქონდა და რეჟიმი ტორტმანობდა. ამიტომ მარგიანი შეეცადა სუფთა ფრაკის მოსხმას და შევარდნაძეს „მოღალატის" ძახილი დაუწყო. შესაძლოა, ის იმ ინფორმაციასაც ფლობდა, რომ მოახლოებული „ვარდების რევოლუცია" დიდი გარიგება იყო, რომლის ძალითაც შევარდნაძე ხელისუფლების გადაცემას აპირებდა.

**— საუბედუროდ, ხალხი ერთმანეთში ურევს პრეზიდენტის მკვლელობის ვერსიებს და პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიებას!**

— ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ვერსიები აქვთ **ირაკლი ბათიაშვილს, ლია ანდღულაძეს, გიგა ბოკერიას, კოტე გაბაშვილს, ნიკა რურუას** და სხვებს. აზრთა სხვადასხვაობა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების თარიღიდან იწყება. მაგალითად, **მამრიკო ზარანდია და გულიკო ტიბუა** აცხადებენ, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ 1993 წლის 30 დეკემბერს შეიტყვეს. ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ არაფერი იცოდა **ვალტერ შურღაიამ,** რომელიც მას უნდა შეხვედროდა, მაგრამ გამსახურდიამ არ მიიღო!

**— ვალტერ შურღაია ზვიად გამსახურდიასთან დაბარებული იყო?**

— იყო დაბარებული, მაგრამ ვალტერი ზვიადისთან არ მიუშვეს!

**— რატომ?**

— აი, სწორედ ეს არის საკითხავი! **ვალტერ შურღაია** რიგითი დეპუტატი არ ყოფილა, ძალიან განათლებული, მოაზროვნე და ვაჟკაცი კაცი გახლდათ. ჩემი აზრით, იგი ზვიად გამსახურდიას იმიტომ არ შეახვედრეს, რომ მის ნაცვლად ორეული ჰყავდათ და ვალტერი მას მაშინვე იცნობდა! ამიტომ ზედმეტ დავიდარაბას რომ ამცდარიყვნენ, ასე გადაწყვიტეს — ვალტერს მიღებაზე უარი უთხრეს!

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების თარიღსა და დროზე ძალიან საინტერესო განმარტება გააკეთეს პათანატომებმა **ლევან ჩაჩუამ და ზაზა ოქრუაშვილმა.** მათი განცხადების თანახმად, გარდაცვლილი ადამიანის კუნთები 72 საათის შემდეგ ეშვება. ეს კი უსათუოდ იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ზვიადი მოკლულია არა 30-31 დეკემბერს, არამედ 28-29 დეკემბერს!

**— საიდან ასეთი დასკვნა?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ზვიად გამსახურდიას ცხედარს დაკრძალვამდე არაერთხელ გამოუცვალეს პიჯაკი. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა პრეზიდენტი ცოცხალი იყო, ჩხოროწყუში კაცი გაგზავნეს ზვიადისთვის პიჯაკისა და პერანგის საყიდლად... ამას ხელისუფლება აკეთებდა... თუ კუნთი გახევდა, მიცვალებულს ვერც პი-

## კვირგვინოსნები

**ნინო ჩხობაძე**
*„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების" თავმჯდომარე*



რიკოთს სჭირს ის, რაც მოსალოდნელი იყო: **არასწორი პროექტი, ნაჩქარევად გაკეთებული გზა, შეცდომები მშენებლობისა და პროექტირების დროს,** როცა არც პროფესიონალს მოუსმინეს, შედეგად მივიღეთ ის, რაც ვიხილეთ.

„ახალი თაობა"

**ირაკლი გოგავა**
*პოლიტოლოგი*



ერთ-ერთი მშობელი წასულია ლუკმაპურის საშოვნელად, შესაბამისად, ყურადღება აკლდება ბავშვს და **სწორედ ასეთ ბავშვებს ჩაითრევენ ხოლმე ლიბერალური წრეები,** მითუმეტეს, როდესაც ეს პროცესი ფინანსდება და ეგრეთ წოდებულ **„კაი პონტებს"** აჩვენებენ.

„თბილისელები"

**კახა მანჯგალაძე**
*პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის" წევრი*



რას ნიშნავს **ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად არ დავდგებით?** საჭიროა ვიწრო პარტიულ და ადამიანურ ეგოებზე უარის თქმა.

„რეზონანსი"

**ნათია სოლოღაშვილი**
*„ქრონიკის" საინფორმაციო სამსახურის უფროსი*



„იმედში" არ არის იმ ხალხის ადგილი, რომლებიც **ნაცმოძრაობაზე მოძალადის დაძახებას ერიდებიან** და მიზეზებს ეძებენ მათზე კრიტიკული სიუჟეტებისგან თავის ასარიდებლად.

„იმედინიუსი"

# იგორ კვესელავა:

# ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში ძალიან საინტერესოა ავთანდილ მარგიანის შევარდნაძესთან დაპირისპირების საკითხი!



ჯაკს ჩააცმევ და ვერც ვერაფერს უზამ... ასე რომ, პათანატომების განცხადებებს თუ დავეყრდნობით, მაშინ მართალი უნდა იყოს ის, რასაც **გოჩა ბახია** ამბობს, — პრეზიდენტი **1993 წლის 28 დეკემბერს** მოკლეს!

**— თქვენი აზრით, მაინც როგორ მოკლეს პირველი პრეზიდენტი?**

— მე იმ ვერსიისკენ ვიხრები, რომელთა თანახმადაც **კარლო ღურწკაიას ოჯახში** მკვდარი ზვიად გამსახურდიას ცხედარი მიიტანეს! „ვოლგა“, რომლითაც **ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან** კარლო ღურწკაიას სახლისკენ მოძრაობდა, გზაში გააჩერეს, საიდანაც ზვიად გამსახურდია იარაღის ძალით გადმოიყვანეს და თეთრ „ნივაში“ გადასვეს. „ნივა“ წავიდა გაურკვეველი მიმართულებით. თუ **გოჩა ბახიას** ვერსიას გავიზიარებთ, სავარაუდოდ, პრეზიდენტი წაიყვანეს სენაკის მიმართულებით.

**— დავაზუსტოთ, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ვერსია!**

— დიახ, ეს არის მხილოდ ვერსია. ზვიადი აწამეს, მოკლეს და შემდეგ, გვიან ღამით, მიასვენეს **კარლო ღურწკაიას ოჯახში.** მხოლოდ ამ ვერსიით ხდება დროში იმ, სულ მცირე, 5-საათიანი აცდენის ახსნა, როცა დაახლოებით 18:00 საათზე **ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან** გამოსული ზვიადი და მისი ამალა **ღურწკაიების სახლში** უკვე გვიან ღამით, დახლოებით 23:00 საათის შემდეგ მიიყვანეს!

**— თუ ზვიადი უკვე მკვდარი იყო, როგორ მიიყვანეს?**

— ჰოდა, სწორედ აქ არის დამარხული ძაღლის თავი. **ბია გულუამ** და მისმა ხალხმა თეთრი „ნივით“ ზვიადი რომ გაურკვეველი მიმართულებით, სავარაუდოდ, სენაკისკენ წაიყვანეს, დანარჩენებმა **ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი, ძმები ჩუხუები** და სედუქსინით გაჭყეპილი **ბაჩუკი გვანცელაძე** კარლო ღურწკაიას სახლში მიიყვანეს. არ გამოვრიცხავ, ღურწკაიების სახლში ესენი დააძინეს და მერე მიიტანეს მოკლული გამსახურდიას გვამი... მანამდე ღურწკაიებთან ზვიადის ორეული შეუშვეს!

**— ეს დასკვნა საიდან?**

— ამ დასკვნისკენ გვიბიძგებს **კარლო ღურწკაიას ცოლი,** უკრაინელი ქალბატონი **ლუდმილა ღურწკაია,** რომელმაც ინტერვიუში განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდიას, როცა ის მათთან მოვიდა, წვერი ჰქონდა მოშვებული!

**— პრეზიდენტს წვერი როგორ ექნებოდა მოშვებული?! აწ განსვენებულმა ჯონსონ კვარაცხელიამ წლების წინათ ზუგდიდში მითხრა — ზვიადმა სუფთად გაიპარსა, მოწესრიგდა და წასვლის წინ ნაღვლიანად მკითხა — ჯონსონ, სახლიდან მაგდებ? არ უნდოდა წასვლა! დავიჯეროთ, 5 საათში გაეზარდა პრეზიდენტს წვერი?**

— **ლუდმილა ღურწკაია** იმასაც ამბობს, რომ პრეზიდენტს თავზე ბოხოხივით ქუდი ეხურა, არ ლაპარაკობდა, ავიდა ზემოთ, მეორე სართულზე და დაწოლა მოითხოვა! სინამდვილეში ეს ზვიადი არ იყო, მაგრამ ვინ იყო? აი, ეგ არის საინტერესო. ლუდმილა ღურწკაია პრეზიდენტს არ იცნობდა და, დიდი ალბათობით, მან ვერც იცნო ზვიადი!



ავთანდილ მარგიანი


ვალტერ შურღაია

**„ვალტერ შურღაია რიგითი დეპუტატი არ ყოფილა, ძალიან განათლებული, მოაზროვნე და ვაჟკაცი კაცი გახლდათ. ჩემი აზრით, იგი ზვიად გამსახურდიას იმიტომ არ შეახვედრეს, რომ მის ნაცვლად ორეული ჰყავდათ და ვალტერი მას მაშინვე იცნობდა!“**

**— რაც შეეხებათ ღურწკაიების ოჯახის დანარჩენ წევრებს!**

— ერთი ვერსიით, ამ დროს **კარლო და ნუკრი ღურწკაიები** სახლიდან გადაიხვეწნენ, მაგრამ სად, ამ ადგილს ლუდმილა ღურწკაია არ ასახელებდა, ხოლო მაშინ, როცა **ნუკრი ღურწკაია** სახლში მოვიდა და მკვდარი ზვიადი ნახა, იქ სისხლის კვალიც კი არ იყო. **სისხლის კვალის არარსებობა ანდა ცოტა სისხლი, საერთოდ, იმას მიანიშნებს, რომ ზვიად გამსახურდია სხვაგან მოკლეს და მერე მოხდა გვამის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა.**

სხვათაშორის, **ლუდმილა ღურწკაია** ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში დაიმუქრა — **თქვენ რაც გააკეთეთ, არ მათქმევინოთო!** ამ მუქარიდან ძალიან ცოტა ხანში ქალბატონი ლუდმილა გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც მკვლევარი, მივიჩნევ, რომ **კარლო ღურწკაიას სახლში** მკვდარი ზვიადის ცხედრის მიტანის, ხოლო მანამდე ზვიად გამსახურდიას ორეულის მიყვანის ისტორია, მთელ ამ ამბავში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ვერსიაა! ხაზს ვუსვამ — ეს არის ვერსია და არა ფაქტი! ფაქტები უნდა დადოს გამოძიებამ, რომელიც ჯერჯერობით დუმს და ხმას არ იღებს. იცით, კიდევ რა არის განსაკუთრებით საინტერესო? **თუ ზვიად გამსახურდია კარლო ღურწკაიას ოჯახში სამი დღის განმავლობაში თავს აფარებდა და პრეზიდენტი ცოცხალი იყო, მაშინ სად არის დიალოგი ზვიადსა და გუგუშვილს შორის?** სამი დღის განმავლობაში პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტმა არაფერი უთხრა?

**— ეს მართლაც საინტერესო დეტალია!**

— აი, სწორედ ეგ არის... **ბესარიონ გუგუშვილი** ამ სამი დღის შესახებ ხმას არ იღებს და არცერთ ინტერვიუში არაფერს ამბობს, რაც ძალიან დიდი კითხვის ნიშნის შემცველია.

**— თქვენ სააკაშვილის მრჩეველი იყავით. საინტერესოა, სააკაშვილთან გამსახურდიას მკვლელობის შესახებ თუ გისაუბრიათ?**

— ბათუმში მგზავრობის დროს, თვითმფრინავში, ამ საკითხზე არაერთხელ გვისაუბრია. სააკაშვილი გამსახურდიას, როგორც ეროვნულ ლიდერს აღიარებდა. დარწმუნებული ვარ, მას, როგორც პირველ პირსა და პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა და აქვს კიდეც, მაგრამ ამ თემაზე ჩემთან საუბარს ერიდებოდა.

**— ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავთ?**

— დიახ, **ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსია უნდა გამოირიცხოს!**

## „ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსია უნდა გამოირიცხოს!“

**საქართველოს პირველ პრეზიდენტს თავი არ მოუკლავს, ის მოკლეს და თან წამებით და ორი ტყვიით!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

### კვირგვინოსნები

**სალვატორე კოსტა**
*სიცილიელი ქართველი*



მე საქართველოს მოქალაქე ვარ და ამით ძალიან ვამაყობ. **მინდა, საქართველო ევროპის ნაწილი იყოს** და ყველა, ვისაც ეს მშვენიერი ქვეყანა უყვარს, აქ ცხოვრობდეს. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვისაც შვილებთან ერთად **ბედნიერ საქართველოში** ცხოვრება სურს.

„კვირის პალიტრა“

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



საქართველოს ეკონომიკაში ისეთი არაფერი ხდება, რაც **ლარის გაუფასურებას** გამოიწვევს. თუმცა, თუ დასავლეთი **კიდევ დაგვიწესებს სანქციებს,** რა თქმა უნდა, ეს რყევებს გამოიწვევს.

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



სიმართლე გითხრათ, ამ არჩევნებზე არ გამოვრიცხავ, რომ **„ოცნებამ“ ბევრად მეტი ხმა აიღოს,** ვიდრე წინა არჩევნებზე.

„ახალი თაობა“

**გიორგი ბარამიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**პუტინი** უნდა დამარცხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, **საქართველო** შეიძლება ძალიან **დაემსგავსოს ბელარუსს.**

„ახალი თაობა“



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი-ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# ვისაც მომრგვალებული ლოყები და ღაბაბიანი სახე აქვს, ყველას შაქრიანი დიაბეტი ემუქრება!




***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახლახან დაბრუნდა, აცხადებს, რომ ადამიანის ჯანმრთელობის დიაგნოსტიკა სახეზე არსებული ნიშნებითაც არის შესაძლებელი:***

— სახე ადამიანის ჯანმრთელობის სარკეა. ცნობილი გამოთქმები — **ავადმყოფური სახე აქვს, სახეზე ფერი არ ადევს, სახე წაეშალა, დარდისგან სახე დაეღარა, სახეზე მიწისფერი ადევს, ყველაფერი შუბლზე აწერია, დამწუხრებული სახე აქვს** — იმ კავშირზე მიგვანიშნებს, რომელიც ადამიანის სახესა და მის ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის არსებობს. ამ კავშირის შესახებ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში მედიცინის მამად აღიარებული **ჰიპოკრატე** წერდა. მედიცინაში არსებობს ასეთი ტერმინი — **„ჰიპოკრატეს სახე“,** ანუ **„ფაციეს ჰიპოკრატიკა“.** ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება პაციენტის უმძიმესი მდგომარეობა, როცა სახეზე გამოხატულია სიცოცხლისთვის საშიში შემდეგი ნიშნები — **წაწვეტებული ცხვირი და ნიკაპი, ჩაცვენილი თვალები, ჩავარდნილი საფეთქლები, ცივი ყურები, დაჭიმული და მშრალი შუბლის კანი და მომწვანო-მოლურჯო სახის ფერი.** ამ ნიშნებს ადგილი აქვს მუცლის ღრუს უმძიმესი პათოლოგიების — პერიტონიტის, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულის პერფორაციისა და ნაწლავის მწვავე გაუვალობის დროს. იგივე ნიშნები შესაძლოა, სახეზე გვქონდეს, როცა ადგილი აქვს ორგანიზმის სრულ გამოფიტვას, დიდი ხნის უძილობას ან ყველა იმ მოვლენას, როცა მოსალოდნელია სიკვდილი. როგორც წესი, ასეთ სიკვდილს წინ აგონია უსწრებს.

**— მაინც რა დაავადებების გამოცნობა არის შესაძლებელი ადამიანის სახის მიხედვით?**

— პირველ რიგში, უნდა დავაკვირდეთ სახის ფორმას. ბევრს ჰგონია, რომ სავსე და სრული სახე, მომრგვალებული ლოყები და სახის ნაკვთები ადამიანის ჯანმრთელობის მაჩვენებელია. სინამდვილეში, **ყველას, ვისაც ასეთი სახე აქვს, დიაბეტი ემუქრება.** სახე მომრგვალებული და სრული იმიტომ არის, რომ ასეთი ადამიანი ბევრ შაქარსა და ნახშირწყალს ღებულობს. ნახშირწყლის სახელწოდებაც იმის მანიშნებელია, რომ მასში შემავალი შაქარი — გლუკოზა წყალს აკავებს. 1 გრამი გლუკოზა 3 მილიგრამ წყალს აკავებს. აქედან გამომდინარე, როდესაც ადამიანი ნახშირწყლებს ჭარბად ღებულობს, ორგანიზმში დიდი რაოდენობით სითხე კავდება. სწორედ ეს სითხეა, სახეს მომრგვალებულ ფორმას რომ აძლევს. გარდა ამისა, ასეთ ადამიანებს ხშირად აღენიშნებათ **მეორე ნიკაპი, ანუ ღაბაბი,** რაც სხვა არაფერია, თუ არა ცხიმების დაგროვება, რაც ნახშირწყლებისა და შაქრის ჭარბად მოხმარებას ახლავს.

ბევრი შაქარსა და ნახშირწყლებს საერთოდ არ ეტანება, მხოლოდ ვაშლსა და სხვა სახის ხილს ღებულობს დიდი რაოდენობით, მაგრამ ჩივის, რომ წონაში მაინც ვერ იკლებს და სახეც მომრგვალებული და სრული აქვს. **ხილის უზომოდ მიღება ჯანმრთელობას ვნებს და ცხიმის დაგროვებას ხელს უწყობს!** თავად განსაჯეთ, ერთ ცალ ვაშლში **ცხრამეტი გრამი** შაქარია. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოუვა იმ ადამიანს, რომელიც დღეში 10-15 ცალ ვაშლს ჭამს?

რაც შეეხება შეკითხვას — ვისაც მომრგვალებული ლოყები და ღაბაბიანი, სრული სახე აქვს, ყველას შაქრიანი დიაბეტი ემუქრება! არაერთგზის გვითქვამს, რომ დიაბეტის დაწყებასა და გამოვლენას შორის დრო შესაძლოა, 10-15 წელი იყოს! ამიტომ, **ვისაც სახეზე ღაბაბი გაუჩნდა, აუცილებლად შეიმოწმოს ჰომა ინდექსი, რომელიც დიაბეტის დაწყებისა და ინსულინრეზისტენტობის პირველი ნიშანია.**

ბევრს ქუთუთოების ქვემოთ აღენიშნება კანის შესიება. ამის მიზეზი სითხის შეკავებაა, რაც ისევ და ისევ თირკმლის არასტაბილური მუშაობითაა გამოწვეული. საერთოდ, ნებისმიერი შესიება შეშუპებაა. ჩვენი ორგანიზმი სითხეებს, როგორც წესი, ყოველგვარი პრობლემების გარეშე უმკლავდება, მაგრამ, როცა სითხის მიღებასა და გამოყოფას შორის ბალანსი ირღვევა, სითხე უჯრედშორის სივრცეში გროვდება და შეიმჩნევა იქ, სადაც კანი თხელია — ქუთუთოებთან, ყვრიმალის გასწვრივ და ა.შ.

**— თვალის გარშემო შეშუპება მხოლოდ თირკმლის პრობლემით არის გამოწვეული?**

— რა თქმა უნდა, არა! **თვალის გარშემო შეშუპება შეიძლება გამოიწვიოს ბევრი მარილის მიღებამ, რომელიც ასევე წყალს აკავებს.** შეშუპების მიზეზი შესაძლოა, ასევე იყოს ჰორმონალური დარღვევები, მაგალითად, ფარისებრი ჯირკვალი და ალერგია. **სახის კანის სიმშრალე და თმის ცვენა პირდაპირ ფარისებრი ჯირკვლის პრობლემაზე მიგვანიშნებს.** ალერგიის დროს ქუთუთოებთან შეშუპებას ხშირად თან ახლავს ქავილი, ცრემლდენა, ცხვირიდან გამონადენი და ზოგჯერ გამონაყარიც კი.

ცალკე უნდა ვისაუბროთ თვალების შესახებ, რომლებიც უდი-





**„თუ სახის ფერი მოყვითალოა, ასეთ ადამიანს ღვიძლის სერიოზული პრობლემები აქვს!“**



**„თუ სახის ფერი მოლურჯოა, შესაძლოა, ადამიანს ფილტვის სერიოზული პრობლემა ჰქონდეს!“**

**„როცა სახის ფერი მონაცრისფროა, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს გულის პათოლოგიას!“**

## კვირგვინოსნები

**ქრისტი ყიფშიძე**
*მოდელი, პროექტ „ვინ ვინ არის“ მონაწილე*



მუდმივად ტყუილების თქმა მიწევდა ჩემი **მოულოდნელი გაქრობის** ასახსნელად, მხოლოდ ჩემმა კატამ იცოდა სიმართლე.

„თბილისელები“

**რუსუდან მუმლაძე**
*მომღერალი*



ფრთიანი ანგელოზი კი არ გეგონოთ, **ნაკლის მეტი რა მაქვს?!** ჩემში ცხოვრობს მეორე რუსიკო, რომელიც წყენას ძალიან ძნელად ან თითქმის არ ივიწყებს.

„თბილისელები“

**ლიკა ღოლიძე**
*მომღერალი*



რაც უნდა პროცედურები იკეთო, **სულ ახალგაზრდა ხომ ვერ იქნები?** მე არ ვუყურებ ამ საკითხს მტკივნეულად. იმის გამო, რომ **20 წლის გოგოს აღარ ვგავარ,** განწყობას ვერ გავიფუჭებ.

„სარკე“

**გიორგი ცხადაძე**
*მომღერალი, მსახიობი, ტელეწამყვანი*



**ისეთი თავქარიანი აღარ ვარ, როგორიც მამობამდე ვიყავი.** ყოველთვის მაქვს ის შეგრძნება, რომ ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონო, რადგან **ჩემ ზურგს უკან ჩემი შვილია.**

„სარკე“

**ინდირა ჯგერნაია**
*მომღერალი*



ვერ წარმომიდგენია, **მშიერმა როგორ უნდა ამოვუშვა ის ნოტები,** რომლებიც სიმღერისთვის არის საჭირო. **ერთხელ მშიერმა ვიმღერე და გული წამივიდა.**

„სარკე“

**დინი ვირსალაძე**
*მუსიკოსი*



როცა მატყუებენ, **ეს საოცრად მაბრაზებს,** ვერ ხვდებიან, რომ ამით ჩემს ინტელექტს აყენებენ შეურაცხყოფას.

„თბილისელები“



„თუ თვალები მუდმივად გვიწითლდება, ოფთალმოლოგთან ვიზიტამდე, პირველ რიგში, ღვიძლი შევიმოწმოთ!“

დეს ინფორმაციას გვაძლევს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, **თუ თვალის სკლერა მოყვითალოა, მაშინ ღვიძლი დიდი საფრთხის წინაშეა, ხოლო, თუ თვალები ბრწყინავს და ოდნავ გამოწეულია, ეს ფარისებრი ჯირკვლის პრობლემებზე, კერძოდ, ბაზედოვის დაავადებაზე მიგვანიშნებს.**

ბევრ ადამიანს თვალები მუდამ წითელი და ჩასისხლიანებული აქვს, ხოლო ზოგიერთს აღენიშნება თვალის სიმშრალე და ისეთი შეგრძნება, თითქოს ქვიშა აქვს ჩაყრილი. თვალების მუდმივად სიწითლის მიზეზი შესაძლოა, იყოს სტრესი, ხშირი უძილობა, ტკბილი საკვებით გატაცება ან ღვიძლის პრობლემები.

საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ღვიძლი და თვალი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. **როგორც კი თვალებში ნებისმიერი სახის დისკომფორტს ვიგრძნობთ ან თვალის ზედაპირზე სისხლძარღვოვანი კაპილარების გაჩნდება, დაუყოვნებლივ უნდა გამოვიკვლიოთ ღვიძლი!** გვახსოვდეს — ღვიძლის დაავადებებს ტკივილი არ ახასიათებს და ტკივილი დაიწყება მაშინ, როცა ღვიძლში პათოლოგიური პროცესი ძალიან შორს არის წასული.

**— თვალის სიწითლის დროს უმეტესობა თვალის წვეთებს იყენებს და პრობლემის მოგვარებას ამდაგვარად ცდილობს!**

— ეს შეცდომაა! თვალის წვეთები უმრავლეს შემთხვევაში სისხლძარღვებს შეავიწროებენ და თვალის სიწითლეც გაქრება, მაგრამ ღვიძლის პრობლემები რჩება. ამიტომ, თუ თვალები მუდმივად გვიწითლდება, ოფთალმოლოგთან ვიზიტამდე, პირველ რიგში, ღვიძლი შევიმოწმოთ! ბევრ ადამიანს თვალების გარშემო მუქი წრეები აღენიშნება. ამ მუქ ფერს კანის მუქი პიგმენტი მელანინი ქმნის. როდესაც ორგანიზმში ინსულინრეზისტენტობაა და ადამიანს შაქრიანი დიაბეტი ემუქრება, მელანინი სხვადასხვა ადგილებში და, მათ შორის, თვალის გარშემო ჭარბად გროვდება. ამიტომ, როგორც კი თვალის გარშემო ასეთი მუქი პიგმენტის გაჩენას შევამჩნევთ, დაუყოვნებლივ მივმართოთ ენდოკრინოლოგს.

ზოგიერთს გამუქება ქვედა ქუთუთოზეც აღენიშნება, რაც შესაძლოა, შიდა ბუასილის მანიშნებელი იყოს! შიდა ბუასილის დროს კვანძები გარეთ არ არის გამოსული...

**— ბოლო დროს განსაკუთრებით იმატა კატარაქტის შემთხვევებმა, როცა თვალის ბროლი შემღვრეულია და ადამიანი ბუნდოვნად ხედავს. ეს რაზე მიგვანიშნებს?**

— **კატარაქტა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადამიანი ბევრ ტკბილეულს ეტანება.** საერთოდ, კატარაქტა თვალის ბროლის „დაჟანგვაა“, რასაც შაქარი იწვევს. კატარაქტა ასაკოვან ადამიანებში იმიტომ გახშირდა, რომ ასაკოვნებს, როგორც ბავშვებს, ძალიან უყვართ ტკბილი. ტკბილში შემავალი შაქარი კი პირდაპირ ანგრევს და ბიდნავს იმ უწვრილეს კაპილარებს, რომლებიც თვალს სისხლით კვებავენ. კატარაქტას A ვიტამინის დეფიციტიც იწვევს. ეს ხშირად ემართებათ მათ, ვინც ბევრ ნახშირწყალსა და შაქარს ღებულობს. ამიტომ ჩვენი რჩევაა — **ყველა ასაკოვანი ტკბილეულისა და შაქრის მიღებას მოერიდოს!** კატარაქტის საწყისი ფორმის შესანიშნავი წამალია B1 ვიტამინის ცხიმში ხსნადი ფორმის — ბენფოტიამინის მიღება.

**— რას გვეუბნება სახის ფერი?**

— სახის ფერი ბევრი დაავადების მანიშნებელი შეიძლება იყოს! თუ სახის ფერი **მოყვითალოა,** ასეთ ადამიანს ღვიძლის სერიოზული პრობლემები აქვს! სახის **სიფერმკრთალე** სისხლნაკლებობის, ანუ ანემიის მაჩვენებელია. თუ სახის ფერი **მოლურჯოა,** შესაძლოა, ადამიანს ფილტვის სერიოზული პრობლემა ჰქონდეს. როცა სახის ფერი **მონაცრისფროა,** შესაძლოა, სახეზე გვქონდეს გულის პათოლოგია. ტუბერკულოზით დაავადებულ ადამიანებს ერთგვარი **ცვილისებრი, სანთლისებრი** სახე აქვთ, ხოლო მათ, ვისაც სიმსივნე დაემართა, ხშირად სახეზე **მიწისფერი** ადევთ და სახე თითქოს დაშვებულია...

სახეზე გამოხატული ზემოხსენებული სიმპტომები არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ უსათუოდ კონკრეტულ პათოლოგიასთან გვაქვს საქმე. ეს არის გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ ნიშნის უკან, შესაძლოა, რაღაც პათოლოგია იმალებოდეს. ამიტომ, როცა ჩვენ მიერ აღწერილ ნიშნებს სახეზე აღმოვაჩენთ, პანიკაში კი არ უნდა ჩავვარდეთ და თვითმკურნალობას მივყოთ ხელი, არამედ კვალიფიციურ ექიმს მივმართოთ და ჩვენი ჯანმრთელობის საქმე სპეციალისტებს მივანდოთ!



„ერთ ცალ ვაშლში ცხრამეტი გრამი შაქარია... ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოუვა ადამიანს, რომელიც დღეში 10-15 ცალ ვაშლს ჭამს?!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***





IWAY.GE

ევრაზიაში სამშენებლო და სარემონტო მასალების წამყვანი მწარმოებლის QIS-ის (Quality Insulation Systems) წარმომადგენელი საქართველოში

შპს „აივეი“

გთავაზობთ:

**სახურავებისა და კედლების ჰიდროიზოლაცია** (პოლიურეთანის, აკრილის და ბიტუმის ბაზაზე), **შენობის დათბუნება** (ქვაბამბით, პენოპლასტით და XPS-ით), **ბათქაშები შიდა და გარე გამოყენებისათვის, ფასადის დეკორატიული მოპირკეთება** (მათ შორის, ე.წ. „მიუნჰენით“), **წებოცემენტები მარმარილოსა და გრანიტისათვის, ებოქსიტური ნარევები სამრეწველო იატაკებისათვის, ბეტონისა და ასფალტის ლაქ-საღებავები და სხვ.**

*ვრცელდება საბითუმო და საცალო ფასები. უფასო მიტანა, კონსულტაცია და გრძელვადიანი თანამშრომლობა.*

თბილისი, აგლაძის №32, მაღაზია 29
+995 511 239 088, +995 591 502 580
info@iway.ge








## კვირგვინოსნები

**ნუკი კოშკელიშვილი**
*ტელეწამყვანი*



ადამიანი, რომელიც **იცლის იმისთვის,** რომ შენზე ცუდი თქვას, **იცლის იმისთვის,** რომ შეურაცხყოფა მოგაყენოს, **იცლის იმისთვის,** რომ განიხილოს შენი საქციელი, შენი ვიზუალი, ის ადამიანი არის, უპირველეს ყოვლისა, **თვითონ წარუმატებელი, უბედური, რაღაც პრობლემები აქვს, თავისი კომპლექსები აწუხებს.**

„ახალი თაობა“

**გიო ჯაჯანიძე**
*ფსიქოლოგი, ტელეწამყვანი*



ადამიანი ვერ აცნობიერებს, რომ მიდრეკილია ტანჯვისკენ, **დასახავს მიზნებს, აირჩევს საქმეს, აირჩევს არასწორ ადამიანებს,** მოქმედებს და მიზნის მისაღწევად იწყებს ბრძოლას, **უშვებს შეცდომებს და მერე შეცდომების გამოსასწორებლად ისევ იბრძვის.**

„ახალი თაობა“

**ნუცა ცისკარიშვილი**
*ოქროს ოთხეულის შვილიშვილის მეუღლე*



**ოჯახის ღირსება დიდწილად ქალზე გადის** — ამაზე ყველასთან ვიკამათებ.

„თბილისელები“

**მარიკო ეზრალიძე**
*მომღერალი*



ვიღაც წერდა ჩემზე, **ცოტა რომ გახდე, კარგი იქნებიო.** არ გამომდის, როგორც ჩანს, **კარგად ვერ დამაჭირეს „მაზოლზე“ ფეხი.**

„თბილისელები“

**ლოლიტა ჯებისკვერაძე**
*მსახიობი*



**სიყვარულს არ ვეძებ** მამაკაცში. **სიყვარულს ვეძებ,** პირველ რიგში, საკუთარ თავში და, თუ ისეთი ადამიანი გამოჩნდება, ვინც ჩემს ინტერესებს შეესაბამება, **ვეცდები, გავაბედნიერო.**

„სარკე“

# დოდო ხურცილავა:

# „ბავშვთა სამყაროსთან“ აღმოვჩნდებოდი თუ არა, აუცილებლად ვჩერდებოდი მის თვალისმომჭრელ ვიტრინასთან!





***გასული საუკუნის 60-იან წლებში გადაღებული ფოტო, რომელზეც ყოფილ ლენინის მოედანთან (ახლანდელი თავისუფლების მოედანი) არსებული „ბავშვთა სამყაროს“ დაუვიწყარი ვიტრინაა აღბეჭდილი — ექიმი აიბოლიტი, სნეული ბეჭემოთი, დათუნიები და მელაკუდები — გულგრილს არ ტოვებს იმ თაობას, რომლის ბავშვური სილაღე და ბედნიერება აქედან იწყებოდა. ხელოვნებათმცოდნე დოდო ხურცილავა ნოსტალგიით იხსენებს ამ დიდებულ საბავშვო უნივერმაღს და იქ შეძენილ ნივთებს, რომლებიც დღემდე აქვს შენახული:***

— „ბავშვთა სამყაროსთან“ მოხვედრისას აუცილებლად ვჩერდებოდი მის თვალისმომჭრელ ვიტრინასთან და სათამაშოებს ვათვალიერებდი. თუკი იმწუთს ჩემს თანმხლებ ბებიას ან ბაბუას საშუალება ჰქონდათ, აუცილებლად შევდიოდით მაღაზიაშიც, სადაც არამხოლოდ საბჭოთა, არამედ გერმანული სათამაშოებიც იყიდებოდა. აქ იყო ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი და გემოვნებით თმადავარცხნილი თოჯინები, რაც იმ დროისათვის ცოტა ძვირიც კი იყო. მახსოვს, ბებომ დიდი ყუთით მიყიდა თოჯინების ტანისამოსის სარეცხი სურნელოვანი საპონი, აგრეთვე თოკი და „შპილკები“. არასოდეს დამავიწყდება ის წუთები, თოჯინას კაბა რომ გავურეცხე და ბებოს მიერ აივანზე გაბმულ თოკზე გავფინე. მქონდა „ბავშვთა სამყაროში“ ნაყიდი არაჩვეულებრივი საექიმო სათამაშოებიც, მათ შორის, ძალიან კარგი ხარისხის ფონენდოსკოპი, რომელიც დიდხანს შემომრჩა. ამ მაღაზიაში ბაბუამ პატარა საკერავი მანქანაც მიყიდა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო იყო, მართლა კერავდა. აქ იყიდებოდა ნამდვილი ბავშვის მსგავსი თოჯინებიც, ტიროდნენ და ვითომ აწყნარებდი... დღემდე შემორჩენილი მაქვს „ბავშვთა სამყაროს“ ფაიფურის სერვიზი. მშობლები გვასწავლიდნენ, რომ ამ ფაიფურის ჭურჭელს განსაკუთრებულად გავფრთხილებოდით. მოკლედ, „ბავშვთა სამყაროში“ ყველა პირობა იყო შექმნილი პატარების ბედნიერებისათვის.

**— ამ სათამაშოებს აღმზრდელობითი დატვირთვა ჰქონდა...**

— ეს თოჯინები პატარებისგან ნელ-ნელა პიროვნებას აყალიბებდნენ, მზრუნველს ხდიდნენ ჯერ საკუთარი და-ძმის, შემდეგ კი ოჯახის მიმართ. ოჯახზე ზრუნვა რომ ქალის უპირველესი საქმიანობა იყო, ეს ბავშვობიდან ყველას გვქონდა გააზრებული, რაც, გარკვეულწილად, ამ სათამაშოების დამსახურებაც იყო. სწორედ აქედან ყალიბდებოდა პატივისცემა იმ ოჯახური ფასეულობების მიმართ, რომელთა დაცვის კანონი ადრევე უნდა მიგვეღო, რათა ასე არ მომრავლებულიყვნენ ოჯახურ სიწმინდეთა ხელმყოფნი.

**— მეხსიერებას შემორჩა მოარული ფრაზა ფილმიდან „თოჯინები იცინიან“: „რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? — იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო“...**

— დღეს მართლაც შესანიშნავი სათამაშოები იყიდება, მაგრამ თანამედროვე ბავშვები მაინც მთელი დღე ჩართულნი არიან ინტერნეტში, გარეთ არ გადიან. თუმცა, **ხვიჩა კვარაცხელიამ** იყოჩაღა და, გარკვეულწილად, გადაგვარჩინა, რადგან მის შემხედვარე ყველა ბიჭს ფეხბურთის თამაში მოუნდა. დიახ, ხვიჩამ კორპუსებში გამოკეტილი ბავშვები გარეთ გაიყვანა, თორემ გარემო საოცრად ცივი, გულგრილი და სასტიკი გახდა. გვაქვს მაგალითიც ერთ-ერთი პირის მხრიდან, რომელმაც, სანამ პოლიციელს დასაწვავად გაიმეტებდა, მამას დანა დაარტყა. ასეთები მრავლად არიან უცხოეთში: ხშირად გაიგონებთ — მოსწავლე კლასში შევარდა და იარაღით თანაკლასელები მოკლაო. ჩემს ბავშვობაში ბიჭები „ომობანას“ რომ თამაშობდნენ, შეგნებაში ჰქონდათ, რომ სამშობლოს იცავდნენ. ახლა დრო შეიცვალა, ჩვენ თვალწინ მთელი თაობა „ამოვარდა“, მამულის, ენისა და სარწმუნოების ნაცვლად, მამული, ენა და ერთობა დაწერეს... ეს ყველაფერი დასაფიქრებელია.

**— გახსოვთ თბილისის „ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძარი?**

— დიახ და ისიც მახსოვს, გოგონებთან ერთად თეატრალური ინსტიტუტიდან რომ ვბრუნდებოდი და „ბავშვთა სამყაროს“ ადგილზე გაშავებული შენობა დამხვდა. თითქოს იმ ხანძართან ერთად ჩაიწვა ჩვენი ბავშვობის ბედნიერი წუთები.







# მერაბ თავაძე:

# მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა პირველი ველოსიპედი „პიონერი“ მიყიდეს!

**მერაბ თავაძე**, ***მსახიობი, რეჟისორი, რეზიკო ფილმიდან „თოჯინები იცინიან“:*** — „ბავშვთა სამყაროში“ ხშირად დავდიოდი და სათამაშოებიც შემიძენია, თუმცა, ჩემი ბავშვობა მაინც ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება, როცა სათამაშოებს ჩვენ თვითონ ვაკეთებდით და ნებისმიერი რამ გვიხაროდა — ბრჭყვიალა კანფეტებიც კი. მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა პირველი ველოსიპედი „პიონერი“ მიყიდეს... თუ შენი საკუთარი ბურთიც გქონდა, ეს ხომ ყველაზე დიდი ბედნიერება იყო. მიყვარდა კონსტრუქტორების აწყობა, რომლებსაც სქემაც ახლდა, უნდა დაფიქრებულიყავი და კონსტრუქცია გონივრულად აგეწყო.

**— ფილმში „თოჯინები იცინიან“, სადაც თქვენ მთავარ როლს ასრულებთ, ერთ-ერთ ეპიზოდში ვიტრინიდან თოჯინები იცქირებიან. ეს არის მაღაზია „ბავშვთა სამყარო“?**

— არა, ეს კადრი გაკეთებულია მულტიპლიკაციური ხერხის მეშვეობით და ის თოჯინებიც დამზადებულია მულტსაამქროში. მახსოვს „ბავშვთა სამყაროს“ ვიტრინაც, ექიმი აიბოლიტიც და ბეჭემოთიც, რომელიც მაღაზიაში შესვლამდე ბავშვებს სასიამოვნო განწყობას უქმნიდა. რაც შეეხება ფილმს „თოჯინები იცინიან“, წელს ეკრანებზე მისი გამოსვლიდან 60 წელი შესრულდა, დროს გაუძლო და კვლავ ინტერესით უყურებს მაყურებელი. ამ ფილმში თოჯინებს რომ ხედავენ, მაშინდელი „ბავშვთა სამყარო“ ახსენდებათ.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



*წინა კვირას წყეული ზურაბ ადეიშვილისა და უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ ერთ-ერთ უკრაინულ ტელევიზიას ვრცელი ინტერვიუ მისცა და განაცხადა — ქართველ ხალხს სჭირდება ქართველი ზელენსკი, რომელიც სულ მალე გამოჩნდებაო!*

# სააკაშვილის პირადმა მონამ ქართველი ზელენსკის გამოჩენა იწინასწარმეტყველა!


ზურაბ ადეიშვილი და დავით საყვარელიძე


დავით საყვარელიძე და მიხეილ სააკაშვილი



**საყვარელიძეს** არ დაუკონკრეტებია, ვინ არის ქართველი ზელენსკი, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ მისი, როგორც სააკაშვილის პირადი მონის, ბიოგრაფიას და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **საყვარელიძე ზურაბ ადეიშვილის მოადგილე იმ დროს იყო, როცა ნაცრეჟიმი გახრწნილების უკანასკნელ სტადიაში შევიდა და კაცების გაუპატიურება დაიწყო,** მაშინ ადვილი გამოსაცნობია, ვინ შეიძლება, იყოს **ქართველი ზელენსკი...**

ცხადია, **ქართველი ზელენსკი** სააკაშვილია, რომელიც ამერიკელებმა საქართველოში არაჟნის კონტეინერით შემოაპარეს. მართალია, მაშინ იგი დათვრა, რის გამოც ადვილად დაიჭირეს და გლობალურ ომის პარტიას ოპერაცია ჩაუვარდა.

ჯერჯერობით, ჩვენთვის უცნობია, როგორ ან როდის გამოჩნდება **ქართველი ზელენსკი, ანუ სააკაშვილი** ხალხში, როგორც ამას ადეიშვილის საყვარელიძე მარჩიელობს. ამ ერთი წლის წინათ, მაგალითად, **ლევან ხაბეიშვილი** იკვეხნიდა, რომ შტურმით შეიჭრებოდა „ვივამედში" და სააკაშვილს იქიდან ყამარ-ქალივით გამოიტაცებდა, მაგრამ ეს გეგმაც ჩავარდა, რადგან საცოდავი ხაბე ჯერ სპეცრაზმთან შეტაკებისას სცემეს, ხოლო სულ ახლახან ჩამოალაბორანტეს და ნაცსექტის თავმჯდომარეობა თინათინ ბოკუჩავას უწყალობეს.

როცა დავით საყვარელიძე აცხადებს — **ქართველი ზელენსკი მალე გამოჩნდებაო!** — აქ ორ რამესთან უნდა გვქონდეს საქმე. ამერიკელები შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ სააკაშვილს ან სალომე ზურაბიშვილს შეაწყალებინებენ და ამ გზით გამოუშვებენ, ანდა მართლაც შტურმით და არეულობით შეეცდებიან მის გამოხსნას. **ორივე შემთხვევაში ეს იქნება სპეცოპერაცია, რომელიც ქვეყანას ქაოსსა და უბედურებას მოუტანს...** ამიტომ ეს რომ არ მოხდეს, ქართულმა სპეცსამსახურებმა **ზურაბ ადეიშვილის, გია ლორთქიფანიძის, დავით საყვარელიძისა** და იმ დამნაშავეების წინააღმდეგ, რომლებიც უკრაინასა და ევროპაში არიან გადახვეწილი, სპეცოპერაცია უნდა ჩაატაროს და როგორც **ეიხმანი** ჩამოათრიეს ებრაელებმა არგენტინიდან, სწორედ ისე ჩამოათრიოს თითოეული მათგანი და სააკაშვილს გვერდით მიუსვას!

**დავით საყვარელიძის პაპა,** სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი და კათედრის გამგე **დავით საყვარელიძე** ცნობილი მუსუსი იყო... ეტყობა, წყეული ზურაბ ადეიშვილის მოადგილე **უმცროსი დავით საყვარელიძე** სწორედ პაპას დაემსგავსა, ოღონდ უკუღმა — თუ **პროფესორ საყვარელიძეს** ქალები უყვარდა, მისმა შვილიშვილმა კაცებით დაინტერესება გამოავლინა და მთელი პენიტენციური სისტემა ზონდერგამაუპატიურებლებით — **ავადსახსენებელი თემურ უბირიებით** გაავსო, რომლებიც 35 ლარად სჩადიოდნენ ამ საძაგლობას! რაც შეეხება **დავით საყვარელიძის დედას, ქალბატონ მადონა ჭეიშვილს,** ეს ქალი, როგორც მახსოვს, „ხანდაზმულ თაღლით" მამუკა ხაზარაძესთან ერთად რაღაც მაქინაციებში იყო გარეული, რის გამოც თავის დროზე დიდი ამბები ატყდა.

მოკლედ, სააკაშვილის პირადი მონა **ქართველი ზელენსკის, ანუ სააკაშვილის** გამოჩენას წინასწარმეტყველებს, რომელმაც საქართველოს სწორედ ის უბედურება უნდა დააწიოს, რაც ზელენსკიმ უკრაინას უქნა.

## თუ ქართველი ერი სააკაშვილის გათავისუფლებას დაუშვებს, მაშინ, მინიმუმ, ორ თვეში საქართველო რუსეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში აღმოჩნდება ჩათრეული და ეს უბედურება

## დასრულდება არა ჩვენი მარცხით, არამედ სრული ეროვნული კატასტროფით.

უკრაინელი ბუდანოვები, არესტოვიჩები და სხვები, რომელთაგან ყოველი მეორე თუ არა, მესამე მაინც პუტინის ნომრიანი აგენტია, კარგა ხანია, გვიჩხიკინებენ და არც მალავენ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რუსეთს არ შეებრძოლება, სამაგიეროდ, იომებს სააკაშვილი! **ამიტომ მათი და მათი პატრონების სურვილია, საქართველოს ხელისუფლებაში დააბრუნონ ქართველი ზელენსკი, რომელიც ამ სატანურ მისიას სიამოვნებით აღასრულებს!**

მოკლედ, როცა **ზურაბ ადეიშვილისა და უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე დავით საყვარელიძე** ქართველი ზელენსკის გამოჩენას აანონსებს, ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილის გასათავისუფლებლად სპეცოპერაცია დაწყებულია და ქართული სპეცსამსახურები ფრთხილად უნდა იყვნენ.

იმედია, **ადეიშვილის საყვარელიძის** პროგნოზიც ისევე ჩაფლავდება, როგორც ხაბეიშვილის თავმჯდომარეობა, რომელსაც თაღლითმა და ქართველი ჯარისკაცების ცხედრებით გამილიარდერებულმა კეზერაშვილმა მგონი, დრაფის პალტოც კი წაართვა და ახლა კბილების დაძრობასაც უპირებს.

**იმედია, ქართული სპეცსამსახურები გაბედავენ და ადეიშვილსაც და ადეიშვილის საყვარელიძესაც საქართველოში ერთად ჩამოათრევენ!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**გია ჯაპარიძე**
*ანალიტიკოსი*

ძებნილი კრიმინალის, ავაზაკი **ზურაბ ადეიშვილის** უსინდისოდ შემფარებელი უკრაინის გენერალური პროკურორი **ანდრეი კოსტინი** ჟურნალისტური გამოძიების გამო უმაღლეს რადაში დაიბარეს. საქმე ეხება მისი მოადგილის **დმიტრი ვერბიცკის** ქონებასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებას. **ოკუპანტი კრემლი ანადგურებს უკრაინას, ხოლო მას შიგნიდან ხრავენ უკრაინის ხელისუფლების გარეწრები.** ყველაფერს ექნება დასასრული, მათ შორის **ნაცდესანტის პარპაშს** უკრაინაში.

„იმედინიუსი"



**ნონა წოწორია**
*ზურაბ ადეიშვილის ყოფილი მოადგილე*

ბევრ საქმეში **პასუხისგებაში პოლიციელი არის მისაცემი,** ქუჩაში ვხედავთ, რომ **მათ არა აქვთ შიში,** რომ უკანონობას ჩაიდენენ და შემდეგ ამაზე პასუხს აგებენ.

„TV პირველი"



**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*

საპარლამენტო ოპოზიცია **პარლამენტიდან უნდა გამოვიდეს.** მიკვირს, რას ელოდებიან, დახვრეტის კანონის მიღებას?!

„ახალი თაობა"



**მიხეილ დაუშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის" წევრი*

**„ლელოს" ვუსურვებთ,** პარლამენტში ისე მოხვდნენ და მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონა ისე შეიძინონ, რომ **სრულად არ განაცდნენ.**

„პირველი არხი"



**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის" წევრი, პარლამენტარი*

**„ლელო"** კარგ საქმეს გააკეთებს, თუ **ბახტარიას** პარტიას **ნაცურ კოალიციაში** შეიყვანს, რადგან ადამიანებისთვის პოლიტიკური სვლები უფრო გასაგები გახდება.

„პირველი არხი"





# კარაქი, ერბო, მზესუმზირის ზეთი



***კარაქი ოდითგანვე აუცილებელი საკვები პროდუქტი იყო და მას მავნედ არავინ თვლიდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ყოველთვის მაღალკალორიული გახლდათ და ქოლესტერინსაც შეიცავდა. სიფრთხილე კარაქში ქოლესტერინის არსებობის გამო, რა თქმა უნდა, გამართლებულია. იმისთვის, რომ სისხლში ქოლესტერინის დონემ საშიშ ზღვარს არ მიაღწიოს, ერთ კვებაზე 15-20 გრამზე მეტის მიღება სასურველი არ არის.***

**მხოლოდ ცხიმში განზავებული ფორმითაა შესაძლებელი A, E, D, K ვიტამინების ათვისება. ეს ვიტამინები და ცხოველური წარმოშავლობის ცხიმები საჭიროა იმისათვის, რომ კანი და თმა ჯანმრთელი იყოს.**

ქოლესტერინის ზომიერი რაოდენობა შეუცვლელი ფაქტორია იმისთვის, რომ გამოიყოს გარკვეული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, მათ შორის, სქესობრივი ჰორმონები. ცხიმის დეფიციტი ხშირად უშვილობის მიზეზი ხდება, განსაკუთრებით ქალებში.

კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ანთებისას კარაქი ხელს უწყობს წყლულების შეხორცებას. მაგრამ ამ შემთხვევაში მაქსიმალური დოზა არ უნდა აღემატებოდეს 15-20 გრამს დღეში, ანუ თითო კვებაზე არა უმეტეს 5-7 გრამისა.

**კარაქის** გარეშე გაციების სეზონის ავადმყოფობის გადატანა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ასეთ პერიოდებში ფილტვებს და ბრონქებს განსაკუთრებით სჭირდებათ A ვიტამინი.

კალორიებს რაც შეეხება: ზომიერად მიღებული ცხიმი ჭარბი წონის დაგროვებას არ იწვევს. პირიქით, იმის გამო, რომ ცხიმი ნელ-ნელა „იწვის", დანაყრების დრო უფრო ხანგრძლივია. შესაბამისად, ადამიანი შემდეგ ნაკლები „გამგელებით" და რაოდენობით მიირთმევს. ამიტომ რეკომენდებულია კარაქის ზომიერად მირთმევა საუზმეზე, რომ სადილი შედარებით მსუბუქი იყოს და ვახშამზე შიმშილმა არ აიძულოს ადამიანი, ძილის წინ ბევრი ჭამოს.

**კარაქის მიღების დღის მაქსიმალური დოზა, 30-40 გრამი, A ვიტამინის ორგანიზმისთვის აუცილებელი რაოდენობის მეოთხედს შეიცავს. სხვათაშორის, ამ ვიტამინზეა დამოკიდებული იმუნიტეტის, გამრავლების სისტემის, კანის და თმის მდგომარეობა. ამასთან ერთად, ცხიმების „წვა" ორგანიზმის გათბობას უზრუნველყოფს. უჯრედების მემბრანების საფუძველს ცხიმები წარმოადგენენ. მათი მთლიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტვინის უჯრედების, ნეირონების ნორმალური მუშაობისათვის. კარაქის და ერბოს ნაკლებობა მოზარდებში ინტელექტის დაქვეითებას იწვევს.**

**კარაქის** 40 პროცენტს შეადგენს ნივთიერება ოლეინის მჟავა. ეს ნივთიერება დადებით ზემოქმედებას ახდენს სისხლში ქოლესტერინის რაოდენობაზე, აქვეითებს შანსს, ნორმალური უჯრედები კიბოს უჯრედებად გარდაიქმნას.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ, როდესაც ორგანიზმი 24 წლისათვის დაასრულებს ზრდას და გაჩნდება სისხლში ქოლესტერინის რაოდენობის მომატების საშიშროება, სისტემატური მარხვა, კვირაში ორჯერ, საუკეთესო ჩვევაა იმისთვის, რომ კარაქის მირთმევით ორგანიზმმა მიიღოს აუცილებელი ვიტამინები და ნივთიერებები, ამავე დროს დაცული იყოს ზომიერება.

რა თქმა უნდა, საუკეთესო ფორმა ამ აუცილებელი ნივთიერებების მიღებისა არის **ერბო.** ის კარაქზე მეტად გაწმენდილია მავნე შენაერთებისაგან. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ამავე დროს ის უფრო კონცენტრირებულია. შესაბამისად, დღიური დოზა 25 პროცენტით ნაკლები მაინც უნდა იყოს, ვიდრე კარაქისა.



ცხიმებიდან ასევე სასარგებლო პროდუქტია **მზესუმზირის** გაფილტრული (რაფინირებული) **ზეთი.** ზეითუნის ზეთისგან განსხვავებით, ის მიიღება არა თერმული „გამოწურვის" მეთოდით, არამედ დაწნეხვით. შესაბამისად, ის არ შეიცავს შხამებს, რომელიც წარმოიქმნება ცხიმების გაცხელება-გაციების შედეგად.

## თუ გინდათ, რომ ჯანმრთელები იყოთ, შეეცადეთ, მიირთვათ:

- კარაქი, ერბო, ყველი (მარილში ნადები-მომწიფებული);
- მზესუმზირის რაფინირებული ზეთი;
- უსისხლო ხორცის ნებისმიერი კერძი (სასურველია, ხორცი იყოს ზრდასრული ფრინველისა და ცხოველის);
- ბულიონი 2-3 ჯერ წყალგამოცვლილი;
- მაგრად მოხარშული ან ორმხრივად კარგად შებრაწული კვერცხი;
- ფხალეული — გარდა კომბოსტოსი და ისპანახისა (ზომიერი ძმრით და ნივრით);
- მჟაველი — გარდა კომბოსტოსი და წითელი პომიდვრისა;
- ლობიო (სასურველია მინდვრის);
- ჰერკულესი, ბრინჯი, ვერმიშელი, მაკარონი, „პერლოვკა", ღომის ღომი;
- ხმელი სუნელები: უცხო სუნელი, ზაფრანა, ძირა, დაფნა, ქინძი, ქონდარი;
- ზეთისხილი;
- ბისკვიტოვანი ნამცხვარი;
- რუხი ხორბლის კორკოტი ან წანდილი (შაქრით და ნიგვზით);
- ხარჩო, ბაჟე ( წყალზე დამზადებული);
- უნალექო ყავა უზმოზე ან ჭამიდან 2-3 საათის შემდეგ;
- მოხარშული თევზი (ქინძმარში.)



## თუ გინდათ, რომ ჯანმრთელები იყოთ, შეეცადეთ, არ მიირთვათ:

- რძე და რძის ნაწარმი (გარდა კარაქისა და ერბოსი);
- ქათმის კანი, ღორის ხორცი;
- ხორცეულის ნახარში;
- პომიდორი და ტომატიანი კერძები;
- ჭარბი რაოდენობით შაქარი, თაფლი და კრემიანი ნამცხვრები;
- ციტრუსები, ბალი, გარგარი, ნესვი, ყურძენი, ქიშმიში, ლეღვი, კარალიოკი და ღოღნოშო;
- თხილი, ბანანი და კივი;
- ოხრახუში, მჟაუნა, ტარხუნა, წიწმატი, ბოლოკი და ბარდა;
- წიწიბურა, სიმინდის ფქვილი;
- ბადრიჯანი, კომბოსტო, კარტოფილი, ისპანახი;
- ლიმონათი, შამპანური, ბურახი, არაყი, ლიქიორი;
- ზეითუნის ზეთი;
- ნალექიანი ყავა;
- ჩაი;
- ხიზილალა;
- ვაშლი საღამოს საათებში.



## კვირგვინოსნები

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



**ივანიშვილის** გარეშე ვერავინ გაბედავდა **ჩემს შვილზე, ზუკაზე თავდასხმას.** პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებელი არის **ბიძინა ივანიშვილი!** პასუხსაც აგებს! საჯაროდ ვაცხადებ, სასურველია, **სალომე ზურაბიშვილი** საპარლამენტო არჩევნებამდე გამოცხადდეს **საპრეზიდენტო კანდიდატად.**

„ახალი თაობა"

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს" წევრი*



**ანაკლიასთან დაკავშირებით** რაც „ქართულმა ოცნებამ" ჩაიდინა, დასავლური, თავისუფალი სამყარო როგორ არ უნდა იყოს შეშფოთებული?! **— ეს შეეხება ვიზებსაც, ინვესტიციებსაც და სტრატეგიული პარტნიორობის გადახედვასაც.**

„ინტერპრესნიუსი"

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



თუ საქართველოს ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს შორის **ცრუპენტელობაში ჩემპიონის თასი ეკუთვნის** ვინმეს, ეს უდავოდ **გიორგი (ჟიჟე) ვაშაძეა.**

„იმედინიუსი"

**დავით ჩიხლაძე**
*ექსპერტი*



**გახარია** იშვიათი ჯიშის, უპრინციპო გაიძვერა აღმოჩნდა. **მისთვის გუნდის ღალატი და მტრის მხარეს გადასვლა ჩვეულებრივი მოვლენაა.**

„იმედინიუსი"

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის" ლიდერი*



როდესაც პოლიტიკა არის **მახინჯი და მტრული,** ელჩი რაც უნდა ვირტუოზი იყოს, ვერავითარ პოლიტიკას ვერ შექმნის.

„ინტერპრესნიუსი"



კრაზანა



ჭინჭარი

## ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით თვალების სიჯანსაღეს შევინარჩუნებთ

**1. კრაზანა — 3 წილი; 2. ჭინჭარი — 1 წილი; 3. ცირცელი — 2 წილი; 4. ასკილი — 1 წილი.**

ამ მცენარეებით დამზადებულ 2 სუფრის კოვზ ნარევს დავასხათ 700 მლ მდუღარე წყალი, შემდეგ ნაყენი თავდახურულ ჭურჭელში, შალის ნაჭერში თბილად შეფუთული დავაყოვნოთ 12 საათით, ბოლოს კი გავწუროთ ბინტში.

**ნაყენი მივიღოთ ჩაის მსგავსად.**



ცირცელი



ასკილი

***ხალხური მედიცინის მიხედვით, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოგვარებასა და თვალების სიჯანსაღეზე ეფექტიანად მოქმედებენ მცენარეები: კრაზანა, ჭინჭარი, ცირცელი და ასკილი.***

ჩამოთვლილი მცენარეებით შეიძლება დამზადდეს ნარევი, რომელიც დადებითად იმოქმედებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებაზე და, შესაბამისად, მხედველობის შენარჩუნება-გაუმჯობესებაზე:

## სამი პროდუქტი ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად



***პროდუქტები, რომლებიც რაციონში უნდა ჩავრთოთ ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად, ექიმმა-დიეტოლოგმა მიხეილ გინზბურგმა დაასახელა.***

სპეციალისტი, უწინარესად, რეკომენდაციას უწევს **ახალ კომბოსტოს.** „კომბოსტოს ყველა სახეობა შეიცავს ფლავონოიდებს და სულფორაფანს, რომლებიც ანელებენ დაბერების პროცესს. ამასთანავე, სულფორაფანი ამცირებს ანთებითი პროცესების რისკს ორგანიზმში და იცავს მას ონკოლოგიური დაავადებების განვითარებისგან“, — განაცხადა ექიმმა-დიეტოლოგმა.

კომბოსტოს გარდა ჯანმრთელობისთვის შესანიშნავია **ვაშლი,** რომელიც მდიდარია კვერცეტინით — ბუნებრივი ბიოქიმიური ნივთიერებით, რომელიც აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესებს. მესამე პროდუქტია **ოხრახუში.** ეს მცენარე შეიცავს



ფოლიუმის მჟავას, რომელიც ხელს უწყობს უჯრედების რეგენერაციასა და განახლებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დაბერების პროცესის შესანელებლად. ამას გარდა, მიხეილ გინზბურგმა სილამაზისა და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად გვირჩია, რეგულარულად მივიღოთ **ისპანახი.**

## რა იწვევს მეორე ტიპის დიაბეტს და რით არის ის სახიფათო

***დიაბეტი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ჩნდება იმ შემთხვევაში, როცა კუჭქვეშა ჯირკვალი ვერ გამოიმუშავებს საკმარის ინსულინს ან, როცა ორგანიზმს არ შეუძლია მის მიერ გამომუშავებული ინსულინის ეფექტიანად გამოყენება. ეს იწვევს სისხლში გლუკოზის დონის მომატებას (ჰიპერგლიკემიას).***

**მეორე ტიპის დიაბეტი** (ადრე მას ინსულინზე დამოკიდებულებას უწოდებდნენ) **ორგანიზმის მიერ ინსულინის არაეფექტიანად გამოყენების შედეგად ვითარდება. ხშირად ის ჭარბი წონისა და არასაკმარისი ფიზიკური აქტიურობის შედეგია.**



### სიმპტომები

სიმპტომები ჰგავს **დიაბეტის პირველი ტიპის** სიმპტომებს, მაგრამ ხშირად კარგად არ არის გამოხატული, ამიტომ დიაგნოზი შეიძლება დაისვას დაავადების დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ადრე **დიაბეტის** ამ ტიპით ავადდებოდნენ ზრდასრული ადამიანები, დღეს კი ბავშვებშიც გვხვდება.

### როგორია დიაბეტის შედეგები

***დიაბეტმა დროთა განმავლობაში შეიძლება დააზიანოს გული, სისხლძარღვები, თვალები და ნერვები.***

● **ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებსაც დიაბეტი აქვთ, 2-3-ჯერ უფრო ხშირად შეიძლება განუვითარდეთ ინფარქტი და ინსულტი.**

● სისხლის მიმოქცევის შენელების შედეგად შეიძლება განვითარდეს ფეხების **ნევროპათია** (ნერვების დაზიანება), რომელიც ამაღლებს ფეხებზე წყლულების გაჩენასა და ინფიცირების ალბათობას, რაც შეიძლება კიდურის ამპუტაციით დასრულდეს.



● დიაბეტური **რეტინოპათია** — სიბრმავის ერთ-ერთი მიზეზი, ვითარდება თვალის ბადურის წვრილი სისხლძარღვების დაზიანების შედეგად.

● **დიაბეტური პოლინეიროპათია,** ამ შემთხვევაში ზიანდება ნერვული დაბოლოებები, ბოჭკოები. პირველი სიმპტომები აღინიშნება ფეხებზე, შემდეგ თანდათან ვრცელდება ხელებზე, მხრებზე, მძიმე შემთხვევაში — მუცელსა და გულმკერდზე, იწვევს ძლიერ ტკივილს.

● დიაბეტი **თირკმლის უკმარისობის** გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

● დიაბეტით დაავადებულ ადამიანებში სიკვდილის რისკი 2-ჯერ მეტია იმავე ასაკის ადამიანებში, რომლებსაც დიაბეტი არა აქვთ.



### პროდუქტები დაბალი გლიკემიური ინდექსით:

● **ყურძენი — 40;**
● **მწვანე ბარდა — 40;**
● **უშაქრო ვაშლის წვენი — 40;**
● **თეთრი ლობიო — 40;**
● **ხორბლისა და ჭვავის პური — 40;**
● **ნატურალური უცხიმო იოგურტები — 35;**
● **სტაფილო — 35;**
● **არაქისის კარაქი — 32;**
● **ხენდრო — 32;**
● **2-პროცენტიანი რძე — 30;**
● **ატამი — 30;**
● **ალუბალი — 22;**
● **გრეიპფრუტი — 22;**
● **შავი შოკოლადი — 22;**
● **ფრუქტოზა — 20;**
● **ბროკოლი — 10;**
● **ბადრიჯანი — 10;**
● **სოკო — 10;**
● **პომიდორი — 10.**

### პროდუქტები მაღალი გლიკემიური ინდექსით:

● **ლუდისა და ბურახის ნებისმიერი სახეობა — 110;**
● **სიმინდის ფქვილისგან დამზადებული კერძი — 100;**
● **თეთრი ფქვილისგან დამზადებული საკვები — 100;**
● **კარტოფილი — 95;**
● **თაფლი — 90;**
● **პოპკორნი — 85;**
● **კარტოფილის ჩიფსები — 80;**

**გლიკემიური ინდექსი** — ეს არის სისხლში შაქრის დონეზე საკვები პროდუქტის გავლენის მაჩვენებელი მისი მიღების შემდეგ. როცა პროდუქტს მინიჭებული აქვს გლიკემიის დაბალი ინდექსი, ეს ნიშნავს, რომ მისი მიღების შემდეგ სისხლში შაქრის დონე ნელა მატულობს. **რაც უფრო მაღალია გლიკემიური ინდექსი, მით სწრაფად იმატებს სისხლში შაქრის დონე პროდუქტის მიღების შემდეგ.**

### პროფილაქტიკა

**თავიდან რომ ავიცილოთ დიაბეტი და მისი გართულებები, აუცილებელია:**

● **სხეულის წონა იყოს ნორმალური და მუდმივად შენარჩუნებული;**

● **საჭიროა ფიზიკური აქტიურობა — დღეში, სულ ცოტა, 30 წუთი ფიზიკური დატვირთვა საჭიროა ნორმალური წონის შესანარჩუნებლად.**

● **უნდა შემცირდეს შაქრისა და ცხიმების მოხმარება;**

● **უარი უნდა თქვათ თამბაქოზე — მოწევა ამაღლებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს.**

## კვირგვინოსნები

**ლია მუხაშავრია**
*ჟურნალისტი*



**ტრადიციების კარნახით არ მიცხოვრია,** ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რაც ჩემთვის საინტერესო იყო. **მომწონს ჩემი ცხოვრება და არასდროს მიფიქრია მის შეცვლაზე,** თუმცა, რამდენჯერმე მქონდა საშუალება, რომ შემეცვალა. ყოველთვის ვფიქრობდი — **ღირს კი, რომ გავთხოვდე** და ჩემი ცხოვრება ამ ადამიანთან ერთად გავატარო-მეთქი? ყოველ ჯერზე იმ დასკვნამდე მივდიოდი, რომ **ჩემი ცხოვრების ბატონ-პატრონი მე უნდა ვყოფილიყავი.**

„კვირის პალიტრა“

**მიშა მესხი**
*თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი*



ამოიღებენ რაღაც ვიდეოებს და წერენ: გასიებული, ბეყე... ვისაც როგორ შეგვიძლია, ისეთ ტანზე ვდგავართ. **ნებისმიერს შევეჯიბრები სამშობლოს სიყვარულსა თუ გაკეთებულ საქმეებში.** ჯვარზე ღადაობენ, ხატზე ღადაობენ, არაფერს პატივს არ სცემენ და **მიშა მესხზე ღადაობა** ამ ადამიანებისგან არანაირი პრობლემა არ არის.

„თბილისელები“

**ეკა ბესელია**
*პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერი*



26 ოქტომბერს იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი „ჩემპიონატი“ და **ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არჩევნები.** მე არ ვემხრობი ერთიან სიას და არა მგონია, რომ ეს იყოს სწორი ფორმულა გამარჯვებისთვის.

„რეზონანსი“

**ვაჟა სურგულაძე**
*ფრაქცია „ლელოს“ წევრი*



პირდაპირ ვამბობ და არ ვმალავ, **მანქანაში მიდევს ბეისბოლის ბიტა, ჯიბეში მიდევს სპრეი და ასევე მიდევს ელექტროშოკერი.** აი, ასე დავდივარ. რამდენიმე დღის წინ სახლშიც დამადგნენ, ეს ნაძირალები!

„ახალი თაობა“



# მიხეილ ცაგარელი:

# ზოდიაქოს ნიშნები და სტრესის დაძლევის გზები

*დინჯ, მაგრამ ჯიუტ კუროს ნიშნით დაბადებულებში დაგროვილი ემოციები რას განაპირობებენ? რა იწვევს მის პარალიზებას? წინასწარ რაზე უნდა იზრუნოს და რა არის მისთვის აუცილებელი? გაორებული ტყუპი მუდმივად ვის ებრძვის? რას ვერ იტანს ანდა რას არიდებს თავს? სასიამოვნოდ დაღლისას რისი დანახვის საშუალება ეძლევა და რა დაეხმარება მოდუნებასა და დაძაბულობის მოხსნაში? ზოდიაქოს ყველაზე ემოციური და მგრძნობიარე ნიშანი კირჩხიბი ზეწოლისას როგორ იქცევა? მისთვის როგორც წყლის სტიქიის წარმომადგენლისთვის, რა არის აუცილებელიც და სასარგებლოც? ვის უნდა დაეყრდნოს ან ვისგან უნდა მიიღოს რჩევები სტრესის დროს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნის წარმომადგენელმა, ზოგადად, რა რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს, რათა გვერდი აუაროს ან მინიმუმამდე შეამციროს სტრესის მავნე ზეგავლენა საკუთარ ორგანიზმსა და ჯანმრთელობაზე. ამ მიმართებით საკმაოდ მშვიდ კუროს ნიშნით დაბადებულებს რას ურჩევთ?**

— **2. კურო დინჯი, მშვიდი და ემოციურად გაწონასწორებულია, მაგრამ საკმაოდ ჯიუტი და მგრძნობიარეცაა. იგი ხშირად თავის გაკონტროლებას ცდილობს. მიუხედავად ამისა, პერიოდულად დაგროვილი ემოციები აფეთქებებს განაპირობებენ.** მას საკუთარი თავისა და მოსაზრებების დაცვა არ უჭირს, თუმცა, სტრესულ სიტუაციებში (ყოფაში, საქმესა თუ ურთიერთობებისას) უფრო ჯიუტი ხდება. ამან კი შესაძლოა, დაპირისპირება გამოიწვიოს, რომლის დროსაც **კურო** კომპრომისის დაშვებას არ ისურვებს. ამ ნიშნით დაბადებულს სტაბილურობა უყვარს და სიახლეებს ძნელად ეგუება. ამიტომ **მისი ნერვიულობის მიზეზია ცვლილებები და გაურკვევლობა,** განსაკუთრებით ფინანსებსა და მატერიალურ სფეროში. სტრესი და შიში იმისა, რომ ახალ გარემოში ჩვეულ ქმედებებს ვერ აღასრულებს, მის პარალიზებას იწვევს და თრგუნავს. ასეთ ვითარებაში მუდმივად ფულზე ფიქრობს ანდა ბევრს და ხშირ-ხშირად მიირთმევს საკვებს, რის გამოც წონაში იმატებს. ასეთ დროს აუცილებელია თვითკონტროლი, ცივი გონებით ყოველივეს განსჯა და აუჩქარებლად, დინჯად მოქმედების გაგრძელება. ნიშანდობლივია, რომ **კურო** მოსალოდნელ საფრთხეს კარგად გრძნობს, ამიტომ საჭიროა წინასწარ იზრუნოს და სათანადო პირობები შექმნას, რომელთა დახმარებითაც გვერდს აუვლის სტრესულ სიტუაციას. გარდა ამისა, მისთვის აუცილებელია პერიოდულად შეისვენოს და დრო გამოყოს მოდუნებისა და ენერგიის აღდგენისთვის. ამ მიზნით კარგია სადმე გასეირნება ანდა მეგობრებთან ურთიერთობა.

**3. ტყუპი კი დაუღალავად ურთიერთობს, საუბრობს და მას უამრავი იდეა გააჩნია, მაგრამ სტრესულ სიტუაციაში ადვილად ილლება, შფოთვაც ემატება და ენერგიისგან იცლება. ამ ნიშნით დაბადებულისთვის გაორება ძირითადი მახასიათებელია, რამეთუ მუდმივად თავის ალტერნატიულ ეგოს ებრძვის.** ტყუპი ცნობისმოყვარეა და ახალი ადამიანების გაცნობა მოსწონს. მიუხედავად ამისა, დრო სჭირდება მარტო დარჩენისთვის და ენერგიის დაგროვებისთვის. ამიტომ შესაძლოა, ერთ დღეს სამეგობროში ყველაზე აქტიური იყოს, ხოლო მეორე დღეს სახლში ჩაიკეტოს და არავის ეკონტაქტოს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ტყუპი ვერ იტანს სტრესს** და ყველაფერს აკეთებს, რათა გვერდი აუაროს, ამიტომ შინ თუ გარეთ შორს იჭერს თავს ისეთი ადამიანისგან ან ქმედებისგან, რამაც შესაძლოა, სტრესი გამოიწვიოს მასში. **ტყუპს** ასევე ახასიათებს ჭირვეულობა და კამათისკენ მიდრეკილება. ცხოვრებისადმი უკმაყოფილება, შესაძლოა, გარშემო მყოფებზე გადაიტანოს. ამიტომ კარგი იქნება, თუკი სტრესულ სიტუაციაში დროებით ყველაფერს დაივიწყებს და მხიარულად გაერთობა იქ, სადაც ბევრ ადამიანს შეხვდება, საკუთარ შესაძლებლობებს გამოცდის და ახალ მეგობრებსაც გაიჩენს. ამგვარი სასიამოვნო დაღლის შეგრძნება საშუალებას მისცემს, არსებული სიტუაცია მარტივად დაინახოს და შეუდგეს დასახული ამოცანის შესრულებას. სტრესის დასაძლევად აუცილებელია, თანამიმდევრულად თითო პრობლემა (და არა ყველა ერთად) მოაგვაროს. გარდა ამისა, მსუბუქი ვარჯიში, მეგობართან ან საყვარელ ადამიანთან სატელეფონო საუბარიც დაეხმარება მოდუნებასა და დაძაბულობის მოხსნაში. **ტყუპისთვის** შემოქმედებითი იდეის და ჩანაფიქრის განხორციელება ასევე კარგი საშუალებაა სტრესისგან გასათავისუფლებლად.

**4. კირჩხიბი კი ზოდიაქოს ყველაზე მგრძნობიარე და ემოციური ნიშანია, თუმცა, ზოგჯერ გრძნობის გამოხატვა უჭირს, რაც მასში იწვევს გულის ტკენას, იმედის გაცრუებას, შფოთვას, უკმაყოფილებას და სტრესს.** ზეწოლისას მას ძალუძს, დროებით ყველაფერი მიატოვოს და განმარტოვდეს სახლში. უფრო მძიმე შემთხვევაში კი ახლობლებთან შეხვედრაც არ ისურვოს, დიდი ხნით იყოს იზოლაციაში და შეეცადოს, საკუთარ პრობლემას თავად გაუმკლავდეს. კირჩხიბის ნიშნით დაბადებულს ფარული შიშებისა და განცდების გარდა, სტრესულ სიტუაციაში ან არასტაბილურობისას ახასიათებს ემოციური აფეთქებები. **მისთვის, როგორც წყლის სტიქიის წარმომადგენლისთვის, ტირილი და ცრემლების საშუალებით ემოციებისგან გათავისუფლება აუცილებელიცაა და სასარგებლოც. გარდა ამისა, მეტად სასიკეთოა მედიტაცია.** ასევე კარგია მეტი გულახდილობის, გულღიაობის გამოვლენა გარშემო მყოფებთან და ემოციების დაუფარავად წარმოჩენა, მითუფრო, რომ თავად მუდმივად გრძნობს ოჯახის წევრების, საყვარელი ადამიანისა და ახლო მეგობრისგან დიდ სიყვარულს. **კირჩხიბი** სასურველია, სტრესის დროს დაეყრდნოს უახლოეს გარემოცვას, რათა მათგან დახმარება და რჩევა მიიღოს, რომელთა მეშვეობითაც ფსიქოლოგიურ ბარიერს და სტრესს დაძლევს.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***




## 24 – 30 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
თუ ვერ გრძნობთ გარშემო მყოფების მხარდაჭერას, ძალისმიერად ნუ იმოქმედებთ და მეტად მიენდეთ ინტუიციას. ჩაუღრმავდით საოჯახო პრობლემებს და ეცადეთ, მოიწესრიგოთ პირადი ცხოვრება. სასიყვარულო ურთიერთობაში ნუ დასვამთ რთულ შეკითხვებს, რათა მიიღოთ გულახდილი პასუხები იმ კითხვებზე, რომლის მიხედვითაც გსურთ დასკვნების გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება. კარგი დროა დასვენებისა და მკურნალობის ჩასატარებლად. მოგზაურობისას კი აუცილებელია ყურადღება.

**კურო** (21.04-20.05)
იმოქმედეთ პრაქტიკულად და წინადახედულად. პირადი მიზნების მისაღწევად გამოიყენეთ ცოდნა და საკუთარი ქარიზმა. ყოველდღიური საქმეები ბევრ დროს წაგართმევთ. შესაძლოა, მოუცლელობის გამო უარი თქვათ მეგობრულ თავყრილობებსა და ქალაქგარეთ მგზავრობაზე. დროის სწორად დაგეგმარება მის რაციონალურად და მომგებიანად გამოყენების საწინდარი იქნება. ხარჯი დაუკავშირდება ოჯახსა და მშობლებს. სასიყვარულო სფეროში შესაძლოა, მოგიწიოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება.

**ტყუპი** (21.05-22.06)
მოიმატებს შემოსავლებიც და ხარჯებიც, არასწორი ინფორმაცია ან ტყუილი თქვენს საქმეებს უკან დახევს, ამიტომ ნუ ენდობით უცნობებს და გადაამოწმეთ ყველა სიახლე. კონფლიქტური და მტკივნეული სიტუაციები საკუთარ ქცევებზე დაგაფიქრებთ. საყვარელ ადამიანთან, ბავშვებთან ან მეუღლესთან კამათისას ეცადეთ, არ დაკარგოთ ტაქტის გრძნობა და ზედმეტი არაფერი თქვათ. დაღლილობის შეგრძნებისას აუცილებლად დაისვენეთ და აღიდგინეთ ძალები.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
შეიგრძნობთ სასიცოცხლო ენერგიის მოზღვავებას, ინტუიციისა და შემოქმედებითი ხედვის გამძაფრებას. სამსახურსა და საქმეებში მოსალოდნელია დადებითი ცვლილებები, მაგრამ რეალური შედეგები შესაძლოა, ჯერ ვერ შეიგრძნოთ, თქვენი კონტაქტების უმრავლესობას საქმიანი ხასიათი ექნება და შემოსავლის გაზრდას მოემსახურება. შვილების ან საყვარელი ადამიანის პრობლემებმა შესაძლოა, გარკვეული მიზნების მიღწევაში შეგიშალოთ ხელი. მოერიდეთ ალკოჰოლსა და მძიმე საკვებს.

**ლომი** (23.07-23.08)
ნათესავების მეშვეობით პროფესიონალურ სარბიელზე შესაძლოა, ახალი პერსპექტივები გამოგიჩნდეთ. ნაკლები ილაპარაკეთ გეგმებსა და საქმეებზე, რათა არავინ გამოიყენოს თქვენგან მიღებული ინფორმაცია. საქმისთვის შეიძლება აუცილებელი გახდეს დამატებითი ფინანსების მოძიება. შემოსავალს კი შემოქმედებითი საქმიანობა მოგიტანთ. ეცადეთ, თავი დააღწიოთ ფანტაზიებს და რეალურად შეაფასოთ თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა, რათა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას არ მოტყუვდეთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ეცადეთ, მეტად ობიექტური იყოთ როგორც ოჯახის წევრების, ასევე თანამშრომლებისა და საყვარელი ადამიანის მიმართ. ინფორმაცია მშვიდად გააანალიზეთ და მხოლოდ შემდგომ მიიღეთ გადაწყვეტილება. განსაკუთრებული საჭიროების გარეშე სხვის ცხოვრებაში ნუ ჩაერევით. ტყუილუბრალოდ ძალასა და დროს ნუ დახარჯავთ უქმ საუბრებზე, რათა არ გაგიუარესდეთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. შორეული მოგზაურობა გადადეთ, რათა სხვაგან ყოფნისას თავი შეუძლოდ არ იგრძნოთ და გეგმების შეცვლა არ მოგიხდეთ.

## 24 – 30 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
გაგიჭირდებათ კრიტიკისა და წინააღმდეგობების ატანა, ამიტომ კონფლიქტებია მოსალოდნელი არამარტო კოლეგებთან და ოჯახის წევრებთან, არამედ ქუჩაში გადაადგილების დროსაც. აკონტროლეთ ემოციები, რათა არავისატკინოთ გული ისე, რომ ველარ შეძლოთ ურთიერთობის გაგრძელება. მოსალოდნელია შემოწმებები, ამიტომ ეცადეთ, ყველა საბუთი წინასწარ მოაწესრიგოთ, საყვარელ ადამიანთან გულწრფელი საუბარი შინაგან დაძაბულობას მოგიხსნით.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
გაიზრდება გადაადგილებების, მოგზაურობების, შეხვედრებისა და მიმოწერის რაოდენობა. დროებითი სამუშაოს შესრულებისას მოერიდეთ ცვლილებებსა და ნოვატორულ მეთოდებს. ნუ დაუპირისპირდებით კოლეგებს და შეინარჩუნეთ შინაგანი სიმშვიდე. შემოსავლის ძირითად წყაროს სამსახური წარმოადგენს, თუმცა, ფინანსები შეიძლება არ გეყოთ ყველა თქვენი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ამ პერიოდში სასიყვარულო განცდები და მღელვარება შეიძლება მეტად გაგიძლიერდეთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
რთული პერიოდია, როდესაც თქვენი სიტყვებითა და ქცევით შეიძლება მიიზიდოთ ექსტრემალური სიტუაციები და კონფლიქტები. საქმიან ურთიერთობებში მოგიწევთ, გაერკვეთ როგორც საკუთარ თავში, ასევე შესაძლო ცვლილებებში და დროულად გააკეთოთ არჩევანი. სიფრთხილე გმართებთ სასიყვარულო ურთიერთობაში, რადგან ეჭვიანობა ჩხუბის მიზეზი შეიძლება გახდეს. ჯანმრთელობის გამოსასწორებლად და ნერვული სისტემის დასამშვიდებლად სასურველია დასასვენებლად გამგზავრება.

**თხის რქა** (22.12-19.01)
საკმაოდ ენერგიული და აქტიური იქნებით. საერთო ინტერესების საფუძველზე დაუახლოვდით საქმიან პარტნიორებს და აქტიურად ჩაებით საზოგადოებრივ საქმიანობაში. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისას არაერთ წინააღმდეგობას გადააწყდებით. შესაძლოა, გაიზარდოს ოჯახის ხარჯებიც. ასევე შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს სასიყვარულო ურთიერთობას. აკონტროლეთ ემოციები და ხშირად დაისვენეთ. მოგზაურობა ამ პერიოდში მხოლოდ დამატებით სირთულეებს შეგიქმნით.

**მერწყული** (20.01-18.02)
შეიცვლება თქვენი პრიორიტეტები და მოგიწევთ საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, რის დროსაც სასურველია, იხელმძღვანელოთ არა ინტუიციითა და ლოგიკით, არამედ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული უტყუარი ინფორმაციით. ნურავის ენდობით და დაიბევეთ სათადარიგო სვლის გზები. მაღალია მოტყუების ალბათობაც. ჯობს, გეგმაზომიერად გააგრძელოთ დასახული მიზნისკენ სვლა. ამაში კი დიდ მხარდაჭერას იგრძნობთ საყვარელი ადამიანებისგან.

**თევზები** (19.02-20.03)
გაგიძლიერდებათ ფანტაზიის უნარი და გონებრივი შესაძლებლობები. შესაძლოა, ახალი იდეები დიდ გამოგონებას დაედოს საფუძვლად. საზოგადოებრივ ცვლილებებს ინტუიციით შეიგრძნობთ. ახალ ინფორმაციას ადვილად აითვისებთ, თუმცა, მის გამოსაყენებლად დაგჭირდებათ მოქნილი აზროვნება და ქცევა. მომთმენი იყავით კრიტიკის მიმართ, რათა არ წამოეგოთ პროვოკაციებს. ახლო მოგზაურობები რომანტიკულ ხასიათს ატარებს და გამოგისწორებთ გუნება-განწყობას.

**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია**
**25, 26, 29 და 30 ივნისი**
**22 ივნისი – სავსემთვარეობა;**
**6 ივლისი – ახალმთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 24 ივნისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.41 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.11) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 22.06 საათზე, ჩადის 25 ივნისს 06.26 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 23.45 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.07 საათიდან 07.15 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მაღალია ფსიქოლოგიური ტრავმის მიღების ან წამლით მოწამვლის ალბათობა. ნურაფერს დაგეგმავთ, იმოქმედეთ თავისუფალი გრაფიკით. კარგი დღეა სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, კომპიუტერის, აირ და ელექტროდანადგარების შესაძენად, განცხადებებისთვის, რეფორმისთვის, ინტელექტუალური განვითარებისთვის. არ არის სასურველი ემოციების გამოვლენა, ნერვიულობა და ფორიაქი, ზედმეტი ლაპარაკი, საიდუმლოს გამხელა, მცენარეთა დარგვა-გადარგვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 25 ივნისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.40 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 22.38 საათზე, ჩადის 26 ივნისს 07.43 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 23.58 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მაღალია ინტრიგების, თვითმოტყუების ალბათობა. ეცადეთ, ხაფანგში არ გაებათ. ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ, დედის რჩევას დაუჯერეთ. ნურაფერს დაგეგმავთ და იმოქმედეთ თავისუფალი გრაფიკით. არ არის სასურველი ფორიაქი, ნერვიულობა, თვალების გადაღლა, საიდუმლოს გამხელა (მეგობრულ წრეშიც კი), ფეხზე დიდხანს დგომა. კარგი დღეა რეფორმებისთვის, ნოვატორობისთვის, კომპიუტერის, ელექტრო და აირმოწყობილობების შესაძენად, სახლის მშენებლობისთვის, რემონტისთვის, სესხის ასაღებად, ბინის შესაცვლელად, განცხადებებისა და რეკლამებისთვის. **ჯანრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 26 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.40 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.01) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 23.04 საათზე, ჩადის 27 ივნისს 09.00 საათზე (მთვარის მე-20 დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.31 საათიდან 10.09 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სულიერი და შემოქმედებითი ზრდისა და მუშაობის დღეა. აკონტროლეთ ემოციები. არ არის სასურველი ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, თავის დაბანა, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება-გაცემა, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალების მიღება, საიდუმლო საქმის წარმოება (გამოაშკარავდება!). გააკონტროლეთ (დღეს და ხვალ) საჭმელ-სასმლის ხარისხი. კარგი დღეა ვაჭრობისთვის, სააბაზანო ოთახის ნივთების შესაძენად, ქორწინებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ქველმოქმედებისთვის, სპონსორის საძიებლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 27 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 19.40 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 23.09 საათზე, ჩადის 28 ივნისს 10.16 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 01.06 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** სასიკეთო დღეა უფროსი თაობის ნათესავებთან და ძველ მეგობრებთან ურთიერთობისთვის. უცხოსთან კონტაქტი შეზღუდეთ. ბავშვებთან მეტი დრო გაატარეთ, შესაძლებელია გარეგნული იმიჯის შეცვლა. არ არის სასურველი საიდუმლო საქმის წარმოება, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, ახალი საქმის დაწყება, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ახალი ფეხსაცმლის ჩაცმა ანდა ყიდვა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, მგზავრობისთვის, შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის, სპონსორის მოძიებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 28 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 19.40 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.55) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 23.29 საათზე, ჩადის 29 ივნისს 11.30 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 01.13 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** ყურადღება გმართებთ, იმატებს გულმავიწყობა. მაღალია კონფლიქტების, პროვოკაციების ალბათობა. მოერიდეთ სარისკო ქმედებას. მიუხედავად ამისა, სამართლიანობა და სიკეთე გაიმარჯვებს. სასიკეთოა ბუნებასთან კონტაქტი. შესაძლებელია ვალების გასტუმრება. კარგი დღეა მგზავრობისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ხელმძღვანელთან კონტაქტისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, ფიზიკურ-ემოციური და თვალების გადატვირთვა. ეფექტურია ენდოკრინული სისტემის, თირკმლების, კანის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 29 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 19.40 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 23.50 საათზე, ჩადის 30 ივნისს 12.44 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 01.19 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 01.55 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან **შავი მთვარე ლილიტი** გადაინაცვლებს **სასწორის** ზოდიაქოში 9 თვით. ამ პერიოდში მოერიდეთ სასამართლო პროცესის წარმოებას და ეცადეთ, ყველა იურიდიული საბუთი წესრიგში იქონიოთ. მოიმატებს პარტნიორის ღალატის ალბათობა. ასევე დასუსტებული იქნება ენდოკრინული და შარდსასქესო სისტემა, თირკმლები. იმატებს ალერგიული რეაქციებიც. დღეს არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, მოლაპარაკებების წარმოება, ფიზიკურ-სულიერი გადატვირთვა, კაპიტალდაბანდება, საფინანსო ოპერაციები, ქორწინება. კარგი დღეა მგზავრობისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, სპორტული ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 30 ივნისი , კვირა

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.30 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.15) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 00.13 საათზე, ჩადის 13.58 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 01.26 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.58 საათიდან 16.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან პლანეტა სატურნი რეტროგრადული ხდება (15 ნოემბრამდე), რაც ხელს შეუწყობს ძველ, მათ შორის, საკანონმდებლო და იდეოლოგიურ საკითხებთან დაბრუნებას ან გამოაშკარავებას, ძველი ურთიერთობის აღდგენა-განახლებას, ახლებურად განვითარებას. დღეს ხელი შეეწყობა სახლის გათავისუფლებას ძველი უსარგებლო ნივთებისგან. არ არის სასურველი კამათი, სულიერ-ფიზიკური გადაღლა, ემოციები აკონტროლეთ. მოერიდეთ ხელშეკრულების დადებას, ქორწინებას, ფინანსურ ოპერაციებს. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, საღამოს კი — ახალი ნაცნობობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი. **საღამოს** — მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეიტრალურია** დანარჩენი ზოდიაქოს ნიშნებისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



25 ივნისი — ხსენება ღირსისა იოანე მთაწმიდელისა, სვინგელოზისა



30 ივნისი — ხსენება შალვა ახალციხელისა

✝ **24 ივნისი. ორშაბათი. სულთმოფენობის შემდგომი დღესასწაული. სულიწმიდის ორშაბათი.** მოციქულთა: ბართლომესი და ბარნაბასი; ღმრთისმშობლის ხატისა, რომაელსაც ეწოდება „ღირს არს". ჩინელ მოწამეთა, 1900 წელს წამებულთა.

✝ **25 ივნისი. სამშაბათი. ღირსისა იოანე მთაწმიდელისა, სვინგელოზისა;** ღირსისა ონოფრე დიდისა; ღირსისა ისიდორე სამთავნელისა, ცამეტ ასურელ მამათაგანისა; ღირსთა: იოანესი, ანდრიასი, ირაკლემონისა და თეოფილესი; ღირსისა პეტრე ათონელისა.

**26 ივნისი. ოთხშაბათი. მცხეთის ჯვრის დღესასწაული. ლომისობა;** მღვდელმოწამისა ანთიმოზ ივერიელის, უნგროვლახეთის მიტროპოლიტისა; ქალწულმოწამისა აკვილინასი; ტრიფილე კვიპრელი ეპისკოპოსისა; ქალწულმოწამისა ანტონინასი; ანტიპატროს ბოსტრელი ეპისკოპოსისა; ღირსთა: ანასი და ძისა მისისა იოანესი.

✝ **27 ივნისი. ხუთშაბათი.** წინასწარმეტყველისა ელისესი; მეთოდე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ **28 ივნისი. პარასკევი.** წინასწარმეტყველისა ამოსისა; მოწამეთა: ვიტესი, მოდესტისა და კრისკენტია მზრდელისა; მოწამისა დულა კილიკიელისა; ღირსისა დულე ვნებადამთმენისა, ეგვიპტელისა; ღირსისა იერონიმე სტრიდონელისა; ნეტარის ავგუსტინესი, იპონიელი ეპისკოპოსისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ღირსისა თეოდორე სიკეოტისა, ანასტასიოპოლელი ეპისკოპოსისა; კეთილმორწმუნისა ლაზარესი, სერბეთის მთავრისა; ეფრემისა, სერბეთის პატრიარქისა.

✝ **29 ივნისი. შაბათი. სულთმოფენობის დღესასწაულის წარგზავნა. ღირსმოწამისა ქაიხოსრო ქართველისა;** მოციქულისა ფორტუნეტესი; ტიხონ ამათუნტელი ეპისკოპოსისა.

✝ **30 ივნისი. კვირა. ყოველთა წმიდათა კვირიაკე; პეტრეპავლობის მარხვის აღება.** მოწამისა შალვა ახალციხელისა; მოწამეთა: მანოელისა, საბელისა და ისმაილისა.




მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის პირველი სტუმრობიდან 57-ე წელია,

მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. პასტილა; 9. მუმუ; 11. ჯამაგირი; 12. რივზი; 13. სარკოზი; 14. ნირი; 15. პარანოია; 16. ზორგე; 17. რანჩერო; 18. სენა; 19. ბურატინო; 23. ნიელო; 24. კორიდა; 27. ტასო; 28. ქირომანტი; 29. კიტა; 31. ზოდიაქო; 32. ბია; 34. მიჩიგანი; 37. რენდი; 38. დომინო; 41. სპირიტიზმი; 43. დილემა; 46. ლამბადა; 47. სილიო; 50. მექა; 52. ვანილინი; 53. დარი; 55. ნესტარი; 56. კარიესი; 58. სატრაპი; 59. დეკარტი; 60. დეკემბერი; 61. პარიზი.

შვეულად: 1. მარაბუ; 2. ტაბაკა; 3. პილოტი; 4. პისარო; 5. სორენტო; 6. იროკეზი; 7. არიზონა; 8. კვარტეტი; 9. მინესოტა; 10. მარინისტი; 19. ბაქო; 20. რურკი; 21. ტემპი; 22. ნენია; 24. კიზი; 25. როდეო; 26. დრაფი; 29. კორო; 30. ტანკი; 32. ბიზე; 33. ალფა; 34. მოპსი; 35. ჩარლი; 36. გეტა; 38. დილა; 39. მამბა; 40. ნიავი; 42. ზნე; 43. დანია; 44. ლილვი; 45. მინისტრი; 47. სინოდი; 48. ლუსაკა; 49. ონაგრი; 50. მაისი; 51. ქარტია; 53. დიაცი; 54. რეიდი; 56. კაკო; 57. რემა.

ტირიფიგაროტელექსიკაბალაგანიმედიუმიაკიმიმი
საგანილოსიონიქიაჩელინიგერილიახვიჩაკაკოალა

ძეწნა | ესპანეთში სიკვდილით დასჯა დახრჩობით | ამა თუ იმ ენის სიტყვების მარაგი | საცირკო წარმოდგენებისთვის განკუთვნილი დროებითი ნაგებობა | შუამავალი ადამიანებსა და სულებს შორის | აგულის ვაჟი (ფილმი) | მე-სამე ნოტი

სასრო-ლეთი | სევილიელი დალაქი | სააბონენტო ტელეგრაფირების საერთაშორისო ქსელი | მონური დამოკი-დებულება | პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი | ესკიმოსების ნავი | პანტო-მიმის მსახიობი



თარაზულად: 4. ხილის ერთგვარი ტკბილეული; 9. გერასიმეს ძაღლი (ტურგენევი); 11. ხელფასი; 12. ამერიკელი მსახიობი კიანუ ...; 13. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი; 14. ზნე, ხასიათი; 15. ერთგვარი ფსიქიკური დაავადება; 16. სსრკ-ის მზვერავი იაპონიაში; 17. რანჩოს მეპატრონე; 18. მდინარე საფრანგეთში; 19. ხის კაცუნა ტოლსტოის ზღაპრიდან; 23. მოსავადების ტექნიკა; 24. ხარების ბრძოლა; 27. იტალიელი პოეტი; 28. ხელისგულის ხაზებით მკითხავი; 29. მწერალი ... ბუაჩიძე; 31. ე.წ. ცხოველების წრე; 32. კომში; 34. აშშ-ის შტატი; 37. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფულის ერთეული; 38. ერთგვარი სამასკარადო სამოსი; 41. ცრურწმენა, რომლის მიხედვით შესაძლებელია მიცვალებულის სულის გამოძახება; 43. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; 46. ბრაზილიური ცეკვა; 47. ერთგვარი საჭმელი სოკო; 50. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი; 52. ვანილის სუროგატი; 53. კარგი ამინდი; 55. სადასტაქრო დანა; 56. კბილის რბილი ქსოვილის ანთების პროცესი; 58. ძველი სპარსეთის პროვინციის მმართველი; 59. ფრანგი ფილოსოფოსი, ფიზიკოსი; 60. ზამთრის თვე; 61. მოდების კანონმდებელი ქალაქი.

შვეულად: 1. ყარყატების ოჯახის დიდი ფრინველი; 2. ბრტყლად შემწვარი ვარია; 3. თვითმფრინავის მძღოლი; 4. ფრანგი ფერმწერი; 5. ქალაქი იტალიაში; 6. ინდიელთა ერთ-ერთი ტომის წარმომადგენელი; 7. აშშ-ის შტატი; 8. ოთხი შემსრულებლის ანსამბლი; 9. აშშ-ის შტატი; 10. ზღვის ხედების მხატვარი; 19. აზერბაიჯანის დედაქალაქი; 20. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 21. რისამე მიმდინარეობის სისწრაფე; 22. მიცვალებულთა დატირების საგალობელი ბევრ სახლში; 24. ამერიკელი მწერალი; 25. კოვბოების შოუ; 26. შალის ერთგვარი ქსოვილი; 29. ფრანგი ფერმწერი; 30. ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა; 32. ფრანგი კომპოზიტორი; 33. ბერძნული ასო „ა“-ს სახელი; 34. ოთახის პატარა ძაღლი; 35. მსახიობ ჩაპლინის სახელი; 36. იაპონური ხის ფეხსაცმელი; 38. საუზმის დრო; 39. გველის სახეობა; 40. სიო; 42. ხასიათი, ბუნება; 43. ჰამლეტის სამშობლო; 44. მბრუნავი ღერო მექანიზმებში; 45. მთავრობის წევრი; 47. პატრიარქის სათათბირო ორგანო; 48. ზამბიის დედაქალაქი; 49. გარეული ვირი ავღანეთში; 50. გაზაფხულის თვე; 51. პაპირუსის გრაგნილი ძველ საბერძნეთში; 53. ქალის განმარტება ძველად; 54. მოულოდნელი რევიზია; 56. ი. ჭავჭავაძე — „... ყაჩაღი“; 57. ცხენების ჯოგი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

ფრანგი მწერალი ფრანსუაზ ... | ერთგვარი პარფიუმერული სითხე | ქართველი მწერალი | აფრიკის სახელმწიფო | მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში | ზულუსების მმარ-თველი | ჩანთოსანი დათვი

გოლზუორთი – „ფორსაიტების ...“ | მდინარე აფრიკაში | ფრჩხილის ბუდის ანთება | იტალიელი ფერმწერი | პარტიზანული ომის სახელი ესპანეთში | ... კვარაცხელია | ილიას „ყაჩაღი“ პერსონაჟი | ... პუგაჩოვა

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზედაარჩიული
ასავალ დასავალი
2024 წლის 24 – 30 ივნისი №27 (1545)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol